ჯიჯე ბოსია

საღვთო სახისმეტყველება

ზუგდიდი—1995

სოხუმის აკად. ი. ვეკუას სახელობის ინსტიტუტი
ენებისა და ლიტერატურის კათედრა

ტიტე მოსია

ს ა ღ ვ თ ო
ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა

ზუგდიდი 1995

შალვა მოსიახ, ისაკ ქორთუას, შალვა შენგელის ნათელ ხსოვნას უძღვნის ამ წიგნს ავტორი.

ნაშრომში შესწავლილია იესო ქრისტეს არსების გამომხატველი ძირითადი სახე-სიმბოლოები თუ მეტაფორები ბიბლიური წიგნებიდან, სასულიერო მწერლობის ძეგლთა ტექსტებიდან მოხმობილი საილუსტრაციო ნიმუშები ეპითეტებისა, სიმბოლო-მეტაფორებისა თვალსაჩინოს ხდის საღვთო სახისმეტყველების გენეზისსა და გამოვლენას საეკლესიო ლიტერატურაში.

რედაქტორი ფილოლ. მეცნ. დოქტორი,
პროფ. ო.ჭურღულია
რეცენზენტები: დოც. ა.გაღდილია
დოც. რ.სალია

„ზედ ბულზედ ვიბი იბი ka, კაცია ნი და ლვთიანი“

მესიანური სასოება, მაცხოვრის, მხსნელის იდეა ძველი ებრაელი ხალხის წიაღში ჩაისახა. ხალხისა, რომელიც ვერ უმკლავდებოდა ისტორიის მანძილზე თავს დამტყდარ უბედურებას და სუნთქავდა ერთადერთი რწმენით - მომავალი მხსნელის იმედით. მრავალტანჯულმა ებრაელმა ხალხმა ესაიას პირით თქვა: „მხიარულ ვართ მაცხოვრებისა ნუკრისა ზედა, რამეთუ ესე არს უფალი, რომლისა არს მოლოდება. ვიხარებდეთ და ვიშუბდეთ მაცხოვრებისა ჩუენისა“. მხსნელის მოელინების იდეას სხვადასხვა ეპოქიდან ეპოქამდე ესაია წინასწარმეტყველისა თუ ძველი აღთქმის სხვა წიგნებში: „მე შეგიწყე შენ, იტყვის ღმერთი მხსნელი შენი წმინდა ისრაელ“. „მე ვარ უფალი მხსნელი და შემწე ძალისა იაკობისი“. სასულიერო პოეზიაშიც მინიშნებულია, რომ ქრისტეს განხორციელების საიდუმლოება ჯერ კიდევ წინასწარმეტყველთათვის გამხდარა ცხადი: „ესმა, უფალო, წინასაწარმეტყველსა საიდუმლოდ განკაცებაი შენი“. წინასწარმეტყველება მიქაიასი გვეუბნება: „და შენ, ბეთლემ, სახლი ეფრთასი, მცირე ხარ ყოფად ათასეულთა შორის იუდასთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს ჩემდად ყოფადი მთავარ ისრაელსა ზედა და გამოსავალნი მისნი დასაბამით ღლეთაგან საუკუნოისათა“. ეს სიტყვები გვაგონებს მათეს სახარების ერთ პასაჟს: „და შენ, ბეთლემ, ქუეყანა ეგე იუდასი .....შენგან გამოვიდეს წინამძღუარი, რომელმან დაჰმწყსოს ერი ჩემი ისრაელი“ (მათე, 2.6).

„იესო“ ებრაული სიტყვიდან „იეშუა“ - მომდინარეობს, ხოლო „ქრისტე“ კი ბერძნულია და „ცხებულს“ ნიშნავს. აქვე დავსძენთ, რომ წინასწარმეტყველთა წიგნებში ღვთის სინონიმად ნახმარია შემდეგი სიტყვები: „მესია“, „მაცხოვარი“, „მხსნელი“. მიუთითებენ, რომ იესო ქრისტეს აღმნიშვნელი გამოთქმები - „მხსნელი“, „მაცხოვარი“ - მხოლოდ და მხოლოდ

„გადამრჩენის“ სინონიმია[1]. საგანგებოდ შევნიშნავთ: ძველი ბერძნული ძითოსის თანახმად, ადამიანთა ხსნა შესაძლებელია ოდენ ღმერთების წყალობით. ა.დონინი წერს: „აღმოსავლეთის თითქმის ყველა ოვითმპყრობელი პერიოდულად იღებდა იმავე ტიტულს თავისი ხალხის მხსნელის ან ღვთის სურვილთა შემსრულებლის სახით. ჰამურაბის კანონებში მეფე სიდატაკეში ჩავარდნილი ხალხის მხსნელად აწოდება. შუმერის სამართლის წიგნში ლიპიტ იშთარში კანონმდებელი წარმოგვიდგება ნიპურის, ისთნის და ურის მოქალაქეების „მონობისაგან განმათავისუფლებლის სახით“ (ა.დონინი). რუსულ ფოლკლორშიც გვხვდება ხალხის მხსნელთა ნაირგვარი ტიპები (კ.ჩისტოვი).

ქრისტიანული მოძღვრებით, „მესია“ ქრისტეს სახელით მოეელინა ცოდვილ ადამიანებს: „ერთ არს ღმერთი და ერთ არს შუამდგომელი ღმერთისა და კაცთა, კაცი იესო ქრისტე“ (ტიმ. 2.5). ამ შუამავალს, შუაკაცს უნდა ეხსნა ცოდვილი კაცობრიობა. საგულისხმოა უფლის სიტყვები ეზრას მიმართ: „და აჰა ყამი მოვალს და იქნების ოდეს მოვლენ სასწაულნი...და გამოჩნდეს სძალი და განცხადებული მეჩვენოს...რამეთუ განცხადნეს ძე ჩემი იესო მათ თანა...ძე ჩემი ქრისტე“. შესაქმით ადამიანი შეცოდების გამო განუდგა ღმერთს, ნებსით თუ უნებლიედ დასცილდა ღვთიურ ბუნებას. ღვთაებას საბოლოოდ მაინც გასაწირად არ ეძლეტება „ხატად და მსგავსად მისად“ შექმნილი არსება, ამიტომ ცდილობს, ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინოს მასზე. ხან დამუქრებით, ხანაც დასჯით ადამის ძე მოიყვანოს გონს და განაშოროს „ცოდვის ლიას“.

ქრისტიანული მსოფლშეგნებით, უფალს ცოდვილ ადამიანებთან საერთო ენის გამონახვა და მათი შემორიგება შეეძლო შუამავლის, მოციქულის მეოხებით. ამ კონცეფციის თანახმად, საჭიროა ადამიანთა მოდგმა განიწმინდოს

---

[1] ნ.ნაიაძე, მითი და ხინამდვილე, თბ., 1978, გვ.52.

ცოდვებისაგან, მონანიებით გამოისყიდოს დანაშაული, მიუახლოვდეს ღვთაებას. ამის მოსაწესრიგებლად კი ოდენ მამაზეციერს ეკუთვნოდა პირველი სიტყვა. სწორედ მას უნდა გამოეგზავნა ზეციდან დედამიწაზე ისეთი მოციქული, რომელიც ღვთიური და ადამიანური ბუნებით იქნებოდა შემკული. ამ ღმერთკაცს შეეძლო შეეკრა კავშირი უფალსა და კაცთა შორის. იგი გახდებოდა ადამის მოდგმის მხსნელი, მთელი კაცობრიობის მესია. ყოველივე ეს განპირობებული იყო იმ მოტივით, რომ სწორედ განსხეულებულ ღმერთკაცს ხორცისავე წამებით უნდა გამოესყიდა ის ცოდვები, რომელიც ხორციელი მოიხოვნილების ნიადაგზევე იტვირთეს ადამმა და ევამ. მას საკუთარი სისხლის დათხევით უნდა „განექარა ხორცი იგი ცოდვისაი" (რომ. 6,3-7) და კაცთა მოდგმა დაეხსნა შემკვიდრეობითი ცოდვისაგან.

ღვთის განსხეულების საიდუმლო მისია იმაში მდგომარეობს, რომ მისი მიზანი იყო მამაზეციერის ფიზიკური დაახლოება ადამიანებთან, რათა „ჩაეტი მისი" ამით უფრო დარწმუნებულიყო მის არსებობასა და ადამიანებზე მზრუნველობაში. ერთი სიტყვით, ღმერთი ადამიანების კეთილდღეობისათვის ჩამოდის დაბლა დედამიწაზე. ამ მხრივ ნაშანდობლივია „ევსტათი მცხეთელის წამების" ჩვენება: „მოავლინა ღმერთმან ძე თვისი ქრისტე სოფლად და შეეიდა მუცელსა წმინდისა ქალწულისასა და ხორცნი შეისხნა და განკაცნა წმინდისა მარიამისაგან და საშოითგან წმინდისა გამოვიდა და ღმერთეებაი ხორცითა დაიფარა. უკეთუმცა ღმერთეებაი ხორცით არა დაეფარა, კაცმცა ვერ მიეახლა ღმერთსა...ღმერთეებასამცა კაცი ვერ მიეახლა, ამისათვის ხორცნი შეისხნა".[1]

როგორც შენიშნულია, რელიგიურ სისტემაია გრძელ ისტორიულ რიგში ქრისტიანობაა პირველი რელიგია, რომელმაც ღმერთი ჩვეულებრივი ადამიანიდან შობილად

---

[1] ძველი ქართული ავიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.I, თბ., 1963, გვ.310.

ალიქვა, ჩვენივე მსგავსი ხორციელი არსებობით შემოსა, მიწიერ სინამდვილეში აცხოვრა და ჯვარცმულის ქვლის გვირგვინი ადამიანთა ხელით დააღგა თავზე[1]. აი, რას ამბობს ლუთერი: „ამით რომ მოსე ადამიანს უწოდებდა „ღვთის ხატს", „ღვთის მსგავსს", ამით მას სურდა ბუნდოვნად ეფიშნებინა იმაზე, რომ ღმერთი ადამიანად უნდა ქმნილიყო". [2]ეს ის ღმერთია, რომელმაც ადამიანთა ცოდვის გამოსყიდვის ფასად ნებით ჯვარს აცვა საკუთარი ხორცი და დათხია სისხლი. თუ კაცი ინანიებს ცოდვებს, მისი წყალობით ცრემლები ჩნდება, რომელიც ცოდვითვე გაბინძურებული სულის განბანვას იწვევს. ამის მიღწევით ადამიანი თავის თავს ითავისუფლებს ცოდვის ჭუჭყისაგან. ამ გზით მას საკუთარი არსებობისათვის მოაქვს სიკეთე და არა სხვისთვის. ქრისტე კი ის არსებაა, რომელიც ადამიანთა ბოროტებისაგან ხსნისათვის, მათი სიკეთისათვის მოელინა ქვეყნიერებას. მაცხოვარმა თავისი სისხლით ცოდვილთ ნამორეცხა ბიწი და მწიკვლი. ეს მოტივი ძირითადი და წამყვანია სასულიერო მწერლობაში, რასაც, ცხადია, დასაბამი ახალმა აღთქმამ მისცა: „სისხლი იგი იესო ქრისტეს, ძისა მისისა განმწმენდს ჩუენ ყოვლისა ცოდვისა" (I კათ.ეპ.იოან. 1,7). „ქრისტემ განგვბანა ცოდვათა ჩუენთაგან სისხლითა თვისითა" (გამოცხ. 1,5). ჰიმნოგრაფიაში ვკითხულობთ: „ქრისტე...დაშრიტე ან შემწუველობაი ცოდვისაი ნაკადულთა სისხლისა და წყლისაითა, რომელი გუერდით შენით გარღამოეცა". „აბოს მარტვილობა" გვაუწყებს: „პატიოსნითა სისხლითა მისითა (ქრისტესი ტ.მ.) სყიდულ ხართ". აქედან გამომდინარე, საერთოდ, ადამიანის სხეულიდან დადენილი სისხლი მიიჩნეოდა ცოდვის განბანვის უებარ საშუალებად. ვარსქენმა შეუბრალებლად, უმოწყალოდ სცემა შუშანიკი, „დაბძარული და

---

[1] გ.ფარულავა, მხატვრული ხატის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, თბ., 1982, გვ.22.

[2] ლ.ფეიერბახი, ქრისტიანობის არსება, თბ., 1956, გვ.91.

განსიეებული“ ქალის სახის ხილვისას იაკობ ხუცესი ეუბნება მას: „მიბრძანე და მოვბანო სისხლი ეგე პირსა შენსა“...შუშანიკის პასუხი კი ასეთია: „მაგას ნუ იტყვი, რამეთუ სისხლი ესე განმწმედელ არს ცოდვათა ჩემთა“. წამებისას გობრონმა „გამოიძრო ხელი ნეტარმან მან კრულების მისგან და სისხლი იგი თვისი გამოიწერა ჯუარისა სახედ შუბლსა თვისსა“ (ძეგლები, I, გვ 182). სწორადაა შენიშნული, რომ მსხვერპლსა და სისხლს ღმერთთან შერიგების, ცოდვათა მონანიების, ან მადლობის გამოცხადების დანიშნულება ჰქონდა.[1] კირილე ალექსანდრიელის მიხედვით, „იესო მაცხოვარმა ჯვარზე თავისი სისხლის დაღვრით კაცობრიობის ცოდვა გამოისყიდა, კაცი ღმერთთან შეარიგა და მას ცოდვა მოანანიებინა...ესაა ყოველად შემრიგებელი სამსხვერპლო სისხლი იესო ქრისტესი“.[2] ასე რომ, ღვთის სისხლი დატვირთულია ადამიანთა ხსნის ფუნქციით.

მამაღმერთმა თავისი ძე მოავლინა დედამიწაზე, რათა მან ადამიანები იხსნას ეშმაკის ცდუნებისაგან. ძველ აღთქმაში თვალნათლივ ვხედავთ, რომ ეშმაკი ადამიანებს შორის „შინაურულად“ გრძნობს თავს, ადვილად ეუფლება მათ სულს. გავიხსენოთ თუნდაც ადამისა და ევას, ან იობის ეპიზოდები. ახალ აღთქმაშიც ქრისტეს გამომცდელად მოგვევლინა ეშმაკი. რა ხერხსა და ცდებს არ მიმართავ მან, მაგრამ მაინც ვერ შეძლო მისი გადაბირება. იესომ ასე მიმართა ეშმაკს: „არა განცადო უფალი ღმერთი შენი“ (მათე, 4,7).

მიწიერი იესო ქრისტე იწყებს ქადაგებას, იჩენს მოწაფეებს, კურნავს სენით შეპყრობილ ადამიანებს. აი მისი რჩევა დარიგებანი: გშიოდეთ და გწყუროდეთ სიმართლე, კაცის მკვლელი, ძმის მრისხველი ჯოჯოხეთში მოიკალათებს; მთხოვნელს მიეცი, მსესხებელს ასესხე, მოძულეს კეთილი უყავი,

---

[1] ენიუბაძე. ეეუხისტეაისნის საზოგადოებათმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე. 1958, გვ.213.
[2] იქვე.

იყავი სრული, „ვითარცა მამა თქუენი ზეცათა სრულ არს“; იყოს ქუეყანის საქმე თქუენი ფარულად, საუნჯეს ნუ დაფარავთ, მას მლილი გარყვნას, ჭურდი მოიპარავს; „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ, „ერიდეთ ცხვრის ქურქში გახვეულთ, ხოლო შინაგან იყუნენ მგელ მტაცებელ“. მომიმენი ცხონდება, უნდა დავიმარხოთ ყველაზე ღიღი მცნება: „შეიყუარო ღმერთი და მოყუასი შენი“. დაიმახსოვრეთ, რომ „სული უფროს არს საზრდელისა და ხორცნი საამოსლისა“. იცოდეთ, რომ „მცირესა ზედა სარწმუნო ძრავალსა ზედა სარწმუნო არს“. იოანეს სახარება გვასწავლის: „რჯული მოგვეცა მოსესგან, მადლი და ჯეშმარიტება ქრისტეს იესოს მიერ იქმნა“. ქრისტე მორწმუნე ადამიანებს უქადაგებს, რომ „მე ვარ პური ცხოვრებისა“, „მე ვარ აღდგომა და ცხოვრება“, „ნათელი ვარ სოფლისა და ვინც მიწამებს, ბნელში არ მოხვდება“. „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება“, „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი“.

ამდენად, მაცხოვარი თავისი ცხოვრების აზრს ამქვეყნად სიმართლის, სიკეთის დამკვიდრებაში ხედავს, ამისთვის თუნდაც საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად გალებაც რომ დასჭირდეს. სახარების მიხედვით, ქრისტე მხსნელად მოევლინა არა მხოლოდ ებრაელ ხალხს, არამედ მთელ კაცობრიობას. ეს მომენტი მას აპირისპირებს იუდაიზმთან, რომლის თანახმად მესია იხსნის მხოლოდ ებრაელ ხალხს. ახალი აღთქმის ავტორები გვამცნობენ: „და ჰრქუა მათ ანგელოზმან მან უფლისამან: „ნუ გეშინინ, რამეთუ, აჰა, ესერა, გახარებ თქუენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა“ (ლუკა, 2,10). „იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“ (იოანე, 1,9).

მ.ლუთერი ამბობს: „ჩვენ გულდასმით უნდა მივყვეთ ქრისტეს მაგალითს, მისმა მაგალითმა უნდა აღგვიძრას და მოგვიწოდოს, რომ ჩვენც გულითა და ხალისით დავეხმაროთ და ვეძებოთ ადამიანებს, თუნდაც იგი სამძიმოც იყოს და მის გამო ვეწამოთ

კიდევაც".[1] სწორედ ამაში მდგომარეობს ქრისტეს ჯვარცმის აქტი და საიდუმლო.

ქვემოთ ყურადღების გავამახვილებთ და შესწავლის ობიექტად გავიხდით იმ სახე-სიმბოლოებს, ატრიბუტებს, მეტაფორებს, რომლებიც მაცხოვრის შინაგანი ბუნების გამოსახატავად გამოუყენებია შუა საუკუნეების ქართულ ქრისტიანულ კულტურასა თუ სახისმეტყველებას.

„უკვდავების წყაროს იგავთ ახსნა"

ამ მოკრძალებულ ნაშრომში მიზნად გვაქვს დასახული სასულიერო მწერლობიდან გამოვავლინოთ ქრისტიანული მოძღვრების ძირითადი სიმბოლოები, რომლებიც უკავშირდებიან კონკრეტულად მაცხოვრის მეტაფორულ სახელებს. საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ჯერ კიდევ მე-8 საუკუნეში იოანე საბანისძეს თავისი მშვენიერი ნაწარმოების - „მარტვილობაი ჰაბოისი" - შესავალშივე მოუცია ქრისტეს მეტაფორულ სახელთა მოკლე ახსნა, რომლის რიცხვი 16-ს შეადგენს. ვიდრე ამ სიმბოლოთა განმარტებას მოგაცემდეს, ჰაგიოგრაფი მკითხველს აუწყებს წინა აბზაცში: „რამეთუ უსცეველ და განუკერძეველ არს შემდგომად ხორცთა შესხმისა და შეერთებისა ღმერთებისა იგი ბუნებაი, რომლისთვის უკეთუ შემძლებელ ვიქმნეთ, თითოეულსა ამის სახელისათვის ჭეშმარიტად უწყებად თქუენდა, გარნა მადლითავე მისითა გაუწყო თქვენ, ქრისტესმოყვარეთა". ამის შემდეგ მწერალი განმარტავს ქრისტეს 16-ვე სიმბოლოს, როგორიცაა: კარი, გზა, ტარიგი, მწყემსი, ლოდი, მარგალიტი, მარილი, ყვავილი,ანგელოზი, კაცი, ღმერთი, ნათელი, ქვეყანა, მარცვალი, მატლი, მზე სიმართლისა.

აღნიშნულ საკითხზე ჩვენი მოკრძალებული მუშაობა

---

[1] შდრ. ლ.ყელიერაძისი, ქრისტიანობის არსება. გვ.102.

უპირველესად ემყარება იოანე საბანისძის მეთოდს: მწერალი ჯერ ასახელებს მაცხოვრის ამა თუ იმ სიმბოლოს, განმარტავს მის არსს, მნიშვნელობას და ამას ურთავს შესაბამის ციტატებს უმთავრესად ბიბლიური წიგნებიდან. მოვუსმინოთ თავად მწერალს: „ხოლო ესე არათუ რაიმე თავით თვისით განგიმარტე თქუენ, საყვარელნო და ქრისტემოყვარენო და სწავლისმოყვარენო, არამედ წამებითა წიგნთაგან საწინაისწარმეტყველოთა და მოციქულთა ქადაგებისაებრ, - წმინდათა სახარებათა წერილნი და ნეტართა მამათა მოძღვართა მიერ განსაზღვრებული სარწმუნოებაი“...

ანგელოზთა დამბადებელი. ღვთისმეტყველების მიხედვით, ანგელოზები სამყაროს შექმნამდე გაჩინა ღმერთმა, რომლებიც არიან შუამავალნი ღმერთსა და ადამიანებს შორის. ანგელოზები ყველაფერის (განსაკუთრებით კი ადამიანის) მფარველნი არიან. თითოეულ ადამიანს ჰყავს მფარველი ანგელოზი. ფსევდო - დიონისე არეოპაგელმა ანგელოზები დაყო სამ იერარქიად. უმაღლესი იერარქია (სერაფიმნი, ქერობიმნი, საყდარნი), საშუალო იერარქია (უფლებანი, ძალნი, ხელმწიფებანი), დაბალი იერარქია (მთავრობანი, მთავარანგელოზნი, ანგელოზნი).[1] ღვთისმეტყველებაში ანგელოზების საერთო სახელად დამკვიდრებულია ძალნი ზეცისანი. სასულიერო მწერლობაში (განსაკუთრებით ჰიმნოგრაფიაში) ისინი ხშირად ამ სახელით იხსენიებიან („მიუწდომელ არს და დაფარულ ძალთაგან ზეცისათა). იგი - „ეფეხისტყაოსანშიც“ გვხვდება. ავთანდილი ამბობს: „ცის ძალთა დასი“ მფარავსო. ბიბლიის მიხედვით, ანგელოზები ხშირად ეცხადებიან ადამიანებს, ესმით კაცთა მათი ხმა, ძილში ეჩვენებიან. „ცის ძალნი“ ერევიან ადამის ძეთა საქმიანობაში, ყოფაში.

---

[1] ჰეგრე ოპერიული (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს.ენუქაშვილმა, თბ., 1961, გვ.118-131.

ა ნ გ ე ლ ო ზ ი. ამ შემთხვევაში უნდა მოვიშველიოთ იოანე საბანისძის კომენტარი: „ანგელოზ ეწოდა, რამეთუ ერქმის მას წინაასწარმეტყველისა მიერ „ადიდისა ზრახვისა ანგელოზი საჯირველი, რომელი მამისა მიერ ჩვენდა მხსნელად მოვიდა“.[1]

ა რ ს თ ა მ ხ ა დ ი. როგორც სპეციალურმა დაკვირვებამ ცხადყო, შესიტყვება „არსთა მხადი“ (განსაკუთრებით კი გამოთქმა - „მხადი“) ძველი ქართული სიტყვიერი კულტურის ძეგლთა ტექსტებიდან მხოლოდ და მხოლოდ „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება:

„ყმამან უთხრა: „მაღლი ღმერთსა, შემოქმედსა, არსთა მხადსა, ვისგან ძალნი ზეციერნი განაგებენ აქა ქმნადსა.

იგი იქმან ყველაკასა, იდუმალსა, ზოგსა ცხადსა,

ხამს ყოვლისა დაჯერება, ბრძენი სჯერა მოწყენადსა“.

ალსანიშნავია, რომ სიტყვა „მხადი“ ვახტანგისეულ გამოცემაში „ვეფხისტყაოსნისა“ იკითხება როგორც „მხედი“: „ყმამან უთხრა: „ მაღლი ღმერთსა, შემოქმედსა, არსთა მხედსა“ (რეკა). მართალია, პოემაში გვაქვს ასეთი შესიტყვებაც: „არსთა მხედი“: „თუ რაცა მკითხო, ძალიმცა გიგმია არსთა მხედისა“. ვფიქრობთ, ვახტანგ მეექვსეს თვითნებურად გადაუკეთებია „მხადი“ „მხედად“, თუმცა ამას არცთუ ისე სასურველი კორექტივი შეაქვს სტროფში, რადგან ირღვევა რითმა „ადსა“:“მხედსა - ქმნადსა - ცხადსა - მოწყენადსა. საკითხავია, რატომ უნდა შეეცვალა იგი მეფე კომენტატორს. ვფიქრობ, ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ „მხადი“ მისთვის უცნობი სიტყვაა, ქართული ლექსიკური ფონდისთვის სრულიად უცნობი. აკი ზემოთაც ვახსენეთ, რომ იგი საერთოდ არ დასტურდება ჩვენი ეროვნული სიტყვიერი კულტურის ძეგლებში. ეტყობა, იგი რუსთაველის შემოღებულია, რასაც არც შემდგომში მოუკიდია ფეხი. მკვლევართა (დ.კარიჭაშვილი, იუსტ.აბულაძე, ა.შანიძე, ვ.ნოზაძე, ზ.სარჯველაძე, ნ.ნათაძე) განმარტებით მხადი ნიშნავს

---

[1] ძეგლები, I, გვ.47.

შემქმნელს, დამბადებელს, მომყვანს, გამჩენს, არსებათა სიცოცხლედ მომყვანს. ცხადია, „მხადის“ ამგვარი ახსნის საშუალებას თვით სტრიქონის ქვეტექსტი იძლევა. ნ.ნათაძე საანალიზო სიტყვის ორგვარი გაგების შესაძლებლობას უშვებს. 1. მ ხ ა დ ი შემქმნელი. იგულისხმება არსებობაში მომყვანი. ამდენად, ივივეა, რაც შემოქმედი ღმერთი. 2. მ ხ ა დ ი - მომწოდებელი. ღმერთი ყოველივე არსებულს - იერარქიულად დანაწილებული სამყაროს ყოველ საფეხურზე მდგომ არსებებს - თავისკენ მოუწოდებს. ყოველივე მისკენ ისწრაფვის. მკვლევარის აზრით, ამ მოძღვრებას შეიცავს დიონისეს შრომები, რომლებითაც რუსთაველი უხვად სარგებლობს.[1] ჩვენ პირადად ნ.ნათაძის მიერ მოცემული ეს მეორე გაგება უფრო გამართლებულად მიგვაჩნია. საქმე ისაა, რომ „ხადა“ - „ხდა“ - „ხადილი“ ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს: მოწოდებას, მოხმობას, ძახილს, წვეულებას: „ხადიან სახელსა უფლისასა გულითა წმინდითა“ (II ტიმ. 2,22), „ხადად სახელისა მამისა გინა დედისა“ (ეს. 8,4), „ხადილსა ჩემსა ესმა ჩემი ღმერთისა“ (ფს. 4,2). სწორედ „ხადა“ სიტყვიდან უწარმოებია რუსთაველს „მ ხ ა დ ი“, რაც მომწოდებელს გულისხმობს.

ამრიგად, შესიტყვება „არსთა მ ხ ა დ ი“ შემოქმედი ღმერთის სახელია, რომელიც სამყაროს ყოველ საფეხურზე მდგომ მის მიერ გაჩენილ არსებებს თავისკენ მოუწოდებს.

ა რ ს თ ა მ ხ ე დ ი. „ვეფხისტყაოსანის“ ერთ-ერთ თავში - „აქა ფატმანისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა“ - ფატმანი ავთანდილს ეუბნება ნესტანის შესახებ:

„მითხრა:“ შენ ჩემთვის, ლედაო, ხარ უმჯობესი დედისა,
რას აქმნევ ჩემსა ამბავსა, ‘ხლაპარი არის ყბედისა
ღარიბი ვინმე, შემსწრობი ვარ უბედოსა ბედისა,

---

[1] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ.ნათაძემ, თბ., 1976, გვ.635.

თუ რაცა მკითხო, ძალიმცა გიგმია არსთა მხედისა“.

შესიტყვება „არსთა მხედი“ ახსნილი აქვთ თეიმურაზ ბატონიშვილს, ვ.ნოზაძეს, როგორც არსებათა მიმკვლელი, მათთვის მზრუნველი. იგი არის განგება. ე. ი. რუსოველის თანახმად, ხილული თუ უხილავი სამყაროს შექმნის შემდეგ ღმერთი ღღენიადაგ აკონტროლებს მის მიერ შექმნილ არსებათა (უპირველესად ადამიანთა) მოქმედებას, მუდამ ძაიზე ფიქრობს, ზრუნავს. მას არც ნესტან-დარეჯანის უმწეო მდგომარეობა რჩება ყურადღების მიღმა. ასე სწამს ტარიელის სატრფოს, მისი ხსნის იმედი აქვს და ამიტომაც მოუხმობს მის სახელსაც.

ა ღ დ გ ო მ ა. ალდგომის სიმბოლიკაზე მსჯელობისას მკითხველის გონებაში უპირველესად გაიელვებს მაცხოვრის ჯვარცმის, მიწაში დაფლვის, მკვდრეთით ალდგომისა და ამაღლების ეპიზოდები. ასე იქცა ალდგომა გაცოცხლების, მკვდრეთით ფენიქსებრ წამოდგომის, სულიერად ღაცემულის განახლების სიმბოლოდ.

ქრისტეს ჯვარცმული ალსრულება, საფლავიდან გამოსვლა და ამაღლება ოდენ სახარების წიგნში არ მოგვეპოვება. აქ საჭიროა იმ ეპიზოდების შესხენება ბიბლიიდან, სადაც ნაჩვენებია, საერთოდ, მკვლრის გაცოცხლებას სურათები. ელია წინასწარმეტყველმა ღვთის შემწეობით მკვდარ ყრმას ღაუბრუნა სიცოცხლე: „და ისმინა უფალმან ღაღადება ელიასი და მოიქცა სამშვინველი ყრმისა მის გვამადეე მისა და გაცოცხლდა“ (III მეფ. 17,22). ადამიანთა მკვლარი სულის კვლავ ალორძინება - გაცოცხლების შესახებ უალრესად საგულისხმო სასწაულია ნარეული ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში: „და აჰა ძრვა და მოიყვანნა ძვალნი, ძუალი ძუალისა მიმართ, თითოეული შენაწევრებისა მიმართ მისისა...ზედაექმნეს მათ ძარღუნი და ხორცნი ალმოსცენდებოდეს და გარემოეფარეთ მათ ზედა ტყავი ზედა კერძო“ (ეზ. 37,7-8).

სახარებაში მოთხრობილი ამბავი ქრისტეს მიერ ჯოჯოხეთში ჩასვლის, მისი ცოცხლის დაშრეტის, მკვდართა ძვლების

ხორცით დამოსვლისა და იქიდან. ამოყვანის შესახებ შეგვახსენებს ერთ უპირველს ძველი ალთქმის წიგნიდან: „აბრაა იტყვის უფალი, უფალი: აჰა მე აღვახუნე სამარენი თქუენი, ერო ჩემო, და აღმოგიყვანე თქუენ საფლავთაგან თქუენთა“ (ეზ. 37,12). ანალოგიური სურათი იხატება ესაიას წინასწარმეტყველებაში. ღვთის წყალობით „აღდგენ მკუდარნი, და აღემართნენ საფლავთა - შინანი, და იშუებდნენ შორის ქუეყანასა, რამეთუ ცუარი შენმიერ (მიემართება ღმერთს - ტ. მ.) საკურნებელ მათდა არს“ (ეს. 26,19). ბათეს სახარებაში ვკითხულობთ: „მკუდარნი აღდგებიან და გლახაკთა ეხარების“ (მათე, 11,5). ან კიდევ: „საფლავნი აღეხუნენ და მრავალნი შესუენებითა წმინდათა გუამნი აღსდგეს, გამოვიდეს საფლავით მათით“ (მათე, 27,51-53). საფიქრალთოდ გახმაურებული სასწაულია ჩართული სახარებაში ქრისტეს მიერ თავისი მეგობრის - ლაზარეს - გარდაცვალების, მესამე დღეს საფლავიდან გამოყვანის თაობაზე (ი. 11,43-44).

ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა სახარების გაძეოლი თემაა. მიწაში დამარხული მაცხოვარი მესამე დღეს ტოვებს საფლავს და ცად ამაღლდება. იესომ ჯვარცმით დათრგუნა საკუთარი ხორცი და ამით გაშოისყიდა ადამ-ევანი თუ მათი შთამომავლების ხორციელი შეცოდებანი. იგი სამი დღით იმიტომ ჩავიდა საფლავში, რომ ამით შესაძლებლობა მიეცა ჯოჯოხეთის ციცხლის დამრეტის, ცოდვილი ადამიანების გაცოცხლებისა და საფლავიდან წამოყენებისა. ქრისტე თავად ამბობს: „მე ვარ აღდგომა და ცხოვრება“ (ი. 11,25). სასულიერო პოეზიის ერთ-ერთი წარმომადგენელი მაცხოვარს ასე მიმართავს: „შენ რომელი საფლავით ამოჰბრწყინდი, აღდგომაი და ცხოვრებაი“.[1] ქრისტე გახდა სიმბოლო დაცემულთა და ყოველთა აღდგომისა, გაცოცხლებისა: „რომელ აღდგომაი ხარ ყოველთაი, გუაცხოვენ

---

[1] უმჯობესი იაღგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და სამეცნიერო დაურთეს ელ.მეტრეველმა, ც.ჭანკიევმა და დ.ხევსურიანმა, თბ., 1980, გვ.413.

ჩუენ".[1]

ღმერთის საკვლილისა და ალდგომის ისტორია ოღონ მაცხოვრის თავგადასავლით არ იწყება. ამასთან დაკავშირებით საჭირო გავიხსენოთ ოსირისი (ეგვიპტეში), ადონისი (ფინიკიაში), თამუზი (ბაბილონში) და სხვ. ქრისტეს ალდგომა უდიდეს რელიგიურ ღღესასწაულად იქცა. 325 წლის ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო ყრილობამ ალდგომის ზეიმის ალნიშნა დაადგინა გაზაფხულის ბუნიობიდან (ღღისა და ღამის თანასწორობის, საუნე მთვარის) მომდევნო კვირას (იუდეველთა პასექის დასასრულს, მისგან განცალკევებით და კვირის ბოლოს). ეს ხდება ახ. სტილით 4 აპრილიდან 8 მაისამდე).

ა ხ ა ლ ი ა დ ა მ ი. ერთ-ერთ ჰიმნში აკტორი მარიამ ღვთისმშობელს მიმართავს: „შენ რომელი ღელა იქმენ ახლისა ადამისა".[2] საერთოდ, ჰიმნოგრაფები ვერ მალავენ ალტაცებას მესიის მოვლინების გამო, რადგან მან განაახლა კაცთა დაძველებული, შერყვნილი ბუნება, გამოისყიდა ცოდვილთა დანაშაული. იესომ თავისივე ხორცის გვემა-წამებით აღამიანი გაათავისუფლა ჯოჯოხეთისაგან და სამოთხეში დააბრუნა. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ცოდვილი ადამი იწოდება ძველ კაცად, ქრისტეს მიერ ალდგენილი კი - ახალ კაცად: „მესამე ღღეს ალსდგა ქრისტე მკუდრეთით და ძველი იგი კაცი, ადამ, განაახლა, ესე არს ღმერთი ჩუენი".[3] ამ თვალსაზრისით ახალი ალთქმიდან მოვიტან ერთ პასაჟს: „ეანიძარცუეთ ძველი იგი კაცი და მეიმოსეთ ახალი იგი განახლებული მეცნიერება მსგავსად ხატისა მის დამბადებლისა მისისა" (კოლას. 3,9-10).

---

[1] უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს. გამოკვლევა და სიძიებლები დაურთეს ელ.მეტრეველმა, ც.ჭანკიევმა და დ.ხელსურიანმა, თბ., 1980, გვ.474.

[2] ბიბლიურ ძველეულის ჰიმნები, II, ტექსტი გადმოწერა ლეონიდან და გამოსაცემად მოამზადა ვ.ვეფხვიაძემ, თბ., 1978, გვ.9 (ქვეყნიერ-ბიბლიური ჰიმნები)

[3] უძველესი იადგარი.

მაგრამ ამჯერად გვაინტერესებს ძარიამის არსებაში განსხეულებული მაცხოვრის მონაიკვეთი ახალ ადამად, რისი ნიმუშიც ზემოთ დავიმოწმეთ. ეს, ცხადია, ჰიმნოგრაფიის მიერ მოაზრებულია მესიის ღვთიურ ბუნებასთან ერთად ადამიანური ბუნების მქონედ აღიარების საფუძველზე. მაგრამ ეს არის არა ცოდვიანი ადამი, არამედ ახალი (განახლებული) ბუნების პატრონი: „განახლდების დღეს ადამი ხაშოსა ქალწულისასა".[1] ვფიქრობთ, გამოთქმაში - „ახალი ადამი" იგულისხმება ადამის ის ბუნება, რაც მას ცოდვის ჩადენამდე გააჩნდა. აქ ხაზი ესმება მის წმიდანობას. უფრო სწორი ვიქნებით, ალბათ, თუ ვიტყვით, რომ „ახალი ადამი" ის კაცური ბუნების მქონე ღმერთია (ღმერთკაცი), რომელიც ადამიანის ცოდვილი ბუნების დამთრგუნველია, ადამიანის ახლად შემოქმედი: „რომელ არს შემოქმედი და განმაახლებელი და მაცხოვარი".

ა ხ ა ლ ი დ ღ ე. სასულიერო მწერლობაში გვხვდება შესატყვისები „ახალი ადამი", „ახალი ნოე", „ახალი კაცი", „ახალი ნინო", მაგრამ „ახალი დღე", გარდა „დავითიანისა", ვერსად დავადასტურეთ:

„ახალმან დღემან გაწმინდა ღვარძლიან ნაკმაზიანი".

„სანამ ღღე ძველი დღეს ახალს ჩვენ ღღედ არ გაგვითენებდა"[2]

ამ ბოლო სტრიქონით მხატვრულად არის ნათქვამი, რომ მამალმერამა (ძველმა ღღემ) მოგვივლინა (გაგვითენა) მხსნელი ქრისტეს სახით (ახალი ღღე). აქ აშკარაა, რომ დავით გურამიშვილს „ახალი დღე" განუსახოვნებია „ძველი დღის" ანალოგიით. „ძველი ღღე" კი სასულიერო მწერლობაში მრავალგზის ფიგურირებს, როგორც მამალმერამის სიმბოლო. ე.ი. „ძველი ღღე" განახლების შედეგად მოგვევლინა „ახალ ღღედ".

---

[1] ძლისპირნი, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელ.შეტრეველმა. თბ., 1971, გვ.59.

[2] ღ.გურამიშვილი. დავითიანი, თბ., 1955, გვ. 157

პოეტის ოქმით, ძველი ღვთის განახლებამდე, ანუ ახალის გათენებამდე, ბზიანი იფქლი ყალოზე ეყარა განურჩევლად, ახალმა ღვთემ (ქრისტემ) კი „განწმინდა ღვარძლიან ნაკმაზიანი“, სარგებლისა და ზიანის გარჩევის საშუალება მოგვცა, ქვეყანა „დანაშვენა“, ყურითაც კარგი მოგვასმენინა და თვალითაც კარგი გვაჩვენა“. დავით გურამიშვილის რწმენით, ახალი ღვთის (მაცხოვრის) გარეშე „ჩვენსა დაშლილსა ვერავინ აღაშენებდა“.

ა ხ ა ლ ი ნ ო ე. „ძველი მეტაფრასული კრებულის“ წიგნში ეროგან ვკითხულობთ: „გიხარიოდეს, კიღობანო, ღმერთოვ დარითულო სარითულო, საუნჯეო სოფლისაო, ახლად აღშენებულო, ვინაი-იგი გამოვიდა ქრისტე, ახალი ნოე, აღმავსებელი ზეცისა სოფლისაი უხრწნელებაი“[1]. ამ ფრაზაში მოცემულია მიმართება მარიამისადმი. იგი წოდებულია კიღობანად, საიდანაც იშვა („ვინ იგი გამოვიდა“) ქრისტე, ახალი ნოე. ეს პასაჟი ბიბლიური წარღვნის ლეგენდასთან გვაახლოებს. მამაზეციერმა გადაწყვიტა ცოდვილი ადამიანების აღგვა პირისგან მიწისა. უფალმა ნოეს, ვითარცა „მართალ და სრულ კაცს“, დაავალა კიღობნის აგება, რათა მასში მოეთავსებინა თავისი ცოლ-შვილი და ყოველი სულიერი არსება. ამ გზით გადაურჩნენ წარღვნას ნოე და მისი ჯალაბობა, ასევე „ყოველთაგან საცხოვართა წმიდათა“ შვიდ-შვიდი მამალი და დედალი, ხოლო „საცხოვართაგან არაწმინდათა“ ორ-ორი მამალი და დედალი. თეოლოგიაში ნოე დასახულია ქრისტედ - ქვეყნის მაცხოვრად, ხოლო კიღობანი კი ქრისტეს ეკლესიად, რომელშაც ცხონდებიან ქრისტეს მორწმუნენი[2]. ზემოთ დამოწმებულ საანალიზო ფრაზაში, როგორც ვთქვით, კიღობანი (ხომალდი) მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა, რომელმაც ახალი ნოე

---

[1] ძველი მეტაფრასული კრებულები, ტექსტები გამოსაცემად მზადაა, კომენტარები და ხასიათსაცნობი ლაურთი ნ.გოგუაძემ, თბ., 1986, გვ. 109.

[2] ბარნაულ-ლაწყვეთი დარიგება სალეთო სკვეულის სნაელებაზე, ეს შემლგენელი ნ.ეფებანეიშვილი, ქუთაისი, 1915, გვ. 19.

(ქრისტე) მოუვლინა კაცობრიობას გადასარჩენად.

ბრწყინვალე მზე. სასულიერო მწერლობაში ღვთის მეტაფორული სახელია მზე მისთვის ყველაზე დამახასიათებელი ატრიბუტებით: „ბრწყინვალე მზე", „ნათელი მზე" და ა. შ. ერთ-ერთ ჰიმნში ბიბლიურ იაკობს ასე მიმართავს შემოქმედი: „გიხარიოდენ იაკობ, რამეთუ თესლისაგან შენისა აღმოცენდა ღელეს მზეი ბრწყინვალე"[1]. ამით ჰიმნოგრაფი მიგვანიშნებს, რომ იაკობის ხორციელი შთამომავალია ქრისტე ანუ ბრწყინვალე მზე. მორწმუნე ქრისტიანს შუა ღამეს ეცხადება მაცხოვარი ბრწყინვალე მზედ: „ამან (ნინომ - ტ.მ.) წმინდანმან აღანთო გულსა ჩემსა სანთელი ნათლისაი და შუვა ღამეს მეჩუენა მე მზე ბრწყინვალე, ქრისტე ღმერთი ჩუენი"[2]. იოანე მინჩხი მესიას უწოდებს ბრწყინვალე მზეს, სიონის განმანათლებელს, ბაიის რტოთი სიმბდაბლით მომავალსა: „ვითარცა მზესა ბრწყინვალესა, სიონისა გამნათებელსა, სიმბდაბლით მომავალსა რტოითა ბაიისაითა"[3].

საეკლესიო მწერლობაში ქრისტესთან ერთად ანგელოზებიც ბრწყინვალე მზედ იწოდებიან, ასევე ეწვენებიან მორწმუნეებს. ასევე ანგელოზის პირი მზის ბრწყინვალებასთან არის შედარებული: ვარაზ-ბაკურს „მიეჩუენა, წარმოუდგა მას ანგელოზი უფლისაი ბრწყინვალე და დიდებული, მოსილი სამოსლითა სპეტაკითა ელვარედ და ბრწყინავდა პირი მისი ვითარცა მზისა-თუალი"[4]. არა მარტო ქრისტე და ანგელოზნი, არამედ ეკლესიაც მზის ბრწყინვალებადაა წარმოსახული შემოქმედთა მიერ: „ალიხალსა (პეტრე ქართველმა - ტ.მ.) და იხილა სიმაღლესა შინა ცათასა ეკლესიაი შუენიერად შემკული, და ბრწყინვიდა,

---

[1] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, ტ.3, 1963, გვ. 46.
[2] ძეგლები, I, გვ. 158.
[3] იოანე მინჩხის პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლ.ხარბედამ, თბ., 1987, გვ. 269.
[4] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, V.II, გვ. 217.

ვითარცა მზე"[1].

X საუკუნის პოეტ-ჰიმნოგრაფს ეზრას ეკუთვნის ეფთვიმე პალესტინელისადმი მიძღვნილი საგალობელი - „დასდებელნი წმინდისა ეფთვიმი მოღვაწისანი". ხორცთაგან განსვლის შემდეგ სათნოების კიბით ცისკენ მიმავალ ეფთვიმის სულს ჰაერთა მცველნი შიშითა და რიდით გზას უთმობდნენ. მისი სული, მსხვერპლი ქრისტესი, რომელიც ანგელოზებს აღჰყვიდათ ცაში, ნათობდა ვითარცა „მზეი ბრწყინვალეი". აქ ჩვენ გვაინტერესებს ეფთვიმი დიდის სულის შედარება ბრწყინვალე მზესთან. ამით ავტორი მიგვანიშნებს, რომ მაცხოვრის, ანგელოზის, ეკლესიის ძალას ედარება დიდი მოღვაწისა და წმინდანის პიროვნება. სწორედ ამიტომაა იგი შეჭებული იმ ეპითეტებით თუ მეტაფორით, რითაც უპირველესად ანგელოზნი გამოიხატებიან: „აღჰყვიდა რაჲ ანგელოზთა სული შენი, მსხუერპლი ქრისტეისი, ნათობდა ვითარცა მზეი ბრწყინვალეი და შიშით გზას გცემდეს აერთა მცველნი"[2]. იოანე მირიხი მარადიულ ადამიანებს მზის ბრწყინვალებასთან აიგავებს: „და მარადიულნი ბრწყინვიდენ ვითარცა მზენი სამარადისოდ"[3].

გ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ე ლ ი მ ზ ე. ქრისტე დედამიწაზე მოვიდა როგორც ბნელეთის დამამხობელი, წყვდიადის განმამზეველი, ღვთის მიერ ყოველთა დაბადებულთა განმანათლებელი, მათთვის მზის მომფენი, ნათელში დამამკვიდრებელი: „გამოჩნდა თვით მნათობი სიმართლისა იგი მზე განმანათლებელად თვისთა დაბადებულთა"[4].

გ ა ნ უ ხ ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ნ ა თ ე ლ ი. თეოლოგიური მრწამსით, ღმერთი არის დაუბადებელი, შეუქმნელი, დაუსაბამო,

---

[1] ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ.II, გვ. 230.

[2] ქართული პოეზია ჩვიდმეტ ტომად, ტ.I. შემდგენელი ს.ცაიშვილი, თბ., 1979, გვ. 115.

[3] იოანე მირიხის პოეზია, გვ. 240.

[4] მიქაელის ბიძნები, გვ. 75.

დაუსრულებელი არსება. ღვთის მეტაფორული სახელია ნათელი. აქედან გამომდინარე მაცხოვარი მონათლულია როგორც განუსაზღვრელი ნათელი. უფრო სწორად, ანტონ კათალიკოსის სიტყვით რომ ვთქვათ, უფალი არის „განუსაზღვრელი ნათელი". ქართველები ასე ჰგოდებენ ლუარსაბ მეფის ტრაგიკული აღსასრულის გამო: „განგუეშორები ამიერითგან, ნათელო ჩუენო და ეზიარე ნათელსა განუსაზღვრებელსა"[1]. ამას ვკითხულობთ ანტონ კათალიკოსის „მარტირიკაში". „განუსაზღვრებელი" ნიშნავს უსაზღვროს, დაუსრულებელს, გამოთქმა: „ეზიარე განუსაზღვრებელსა ნათელსა" გულისხმობს წამებული ლუარსაბის სულის დამკვიდრებას ღვთის სასუფეველში.

გ ვ რ ი ტ ი. გვრიტი ტყის ფრინველია მტრედების ოჯახისა. ალ. ნეიმანს თავის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში" მტრედის სინონიმად ჩამოუთვლია: გვრიტი (გარეული მტრედი), ქედანი, გვიძინი"[2]. გვრიტი ძველ ქართულ ლექსიკურ წიალში მტრედის მართვედაა აღიარებული, „სინურ მრავალთავში" ვკითხულობთ: „მუნ ორნი გურიტნი, ანუ ორნი მართუენი ტრედისანი შეიწირვიდეს"[3]. გვრიტი ბიბლიურ ტექსტებში მრავალგზის იხსენიება: „რამეთუ სირმანცა ჰოა სახლი, და გურიტმან ბუდესა დაისხნა მართუენი თვისნი" (ფს. 83,4). საკითხთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს იოანე ოქროპირის თხზულება – „გურიტისათვის", რომელიც „სინურ მრავალთავ-შია" შესული[4]. იოანე ოქროპირს საოანადო ადგილები მოაქვს ძველი აღთქმის ტექსტებიდან, სადაც გვრიტია ნახსენები და უკეთებს მას ჩვენთვის მეტად საგულისხმო კომენტარებს. ეს

---

[1] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. VI, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს. გამოკვლევა, ლექსიკონი და სახელებლები დაურთეს ე.ბაბიძაშვილმა და მ.ქაჯაიამ, თბ. 1980, გვ. 64.

[2] ალ.ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, გვ. 397.

[3] სინური მრავალთავი, გვ. 70

[4] იქვე, გვ. 225-231.

იმაზე მიგვანიშნებს, რომ ბიბლიაში დამკვიდრებული „გვრიტი“ სიმბოლურ-ალეგორიულ სახესაც მოიცავს. მაგ ალითად, წიგნში „ქება ქებათა სოლომონისა“ ვკითხულობთ: „ხმაი გურიტისაი ისმა ქუეყანასა ‘ხედა“ (ქებ. 2,12). ამ სიტყვებს იოანე ოქროპირი ასეთ განმარტებას აძლევს: „ეს გვრიტი ახსენა ქებასა მას ქებათასა და თქუა, ვითარმედ: ხმაი გურიტისაი ისმა ქუეყანასა ჩუენსა, ხმაი გურიტისაი მის, რომელი იგი ცით იყო, რამეთუ ქრისტე მოსულად იყო ზეცით და ამას გუაუწყებდა ჩუენ“[1].

ამღენად, იოანე ოქროპირის „გვრიტის ხმაში“ ალეგორიულად ქრისტეს ხმა „ესმის“. ე. ი. გვრიტი მესიის სიმბოლოდ გაუაზრებია. გარდა ამისა, იგი „გვრიტს“ ეკლესიის მეტაფორადაც სახავს. მოჰყავს რა სათანადო პასაჟი იერემია წინასწარმეტყველის წიგნიდან, სადაც ვკითხულობთ: „გურიტმან და ძეჭურინავმან და ძერცხალმან, ველისა სირთა, დაიცვნეს ჟამნი შემოსლვისა მათისანი... “(იერ. 8,7). იოანე ოქროპირი წერს: „რამეთუ გურიტი ყოველათურო წმინდაი ეკლესიაი თქუა...“[2] ამ დიდი მოღვაწის მიერ სულიწმინდის სიმბოლოდ გვრიტია მოაზრებული. იგი დავით წინასწარმეტყველის გამოთქმაში - „გურიტმან ბუდესა დაისხნა მართუენი თჳისნი“, მიიჩნევს, რომ ფლასმუნომგალობელი „გვრიტის“ ქვეშ სულისწმინდას გულისხმობს: „რამეთუ გურიტსა ამსგავსა სული წმინდა და ეკლესიაი“.

ჰაიოგრაფიულ ძეგლებში წმინდა მამები, დაყუდებული ბერნი გვრიტად არიან წარმოსახულნი. გიორგი მცირე გიორგი მთაწმინდელზე მოგვითხრობს: „ოვა (გიორგიმ - ტ.მ.) მთასა საკვირველსა ნაპრალსა შინა კლდისასა ბერი წმინდაი შეყენებული (საუბარია გიორგი შეყენებულზე - ტ.მ.), ვითარცა გურიტი უბიწოი“[3]. იოანე ზედაზნელი წარმოდგენილია უდაბნოს მოყვარე გვრიტად: „ესრეთ უდაბნოს მოყუარე ესე გურიტი,

---

[1] სინური მრავალთავი, გვ. 226.
[2] სინური მრავალთავი, გვ. 226.
[3] ძეგლები, II, გვ. 122.

ვითარ სჩუან ვინძე იოანე წინამსრბოლი სიუათა სათნოებათა, დამკიდრებულ იქმნა თავსა ზედა ამისდა ჩუენებულისა მის მთისასა"[1].

ზემოთ მოტანილი ძასალების საფუძველზე ირკვევა, რომ გვრიტი წარმოსახულია მაცხოვრის, ეკლესიის, წმ. მამების სიმბოლოდ. საინტერესოა, რომ გვრიტი საერო მწერლობაში დახატულია მეუღლეობრივი სიყვარულის სიმბოლოდ. „ბდულმესიანში" ვკითხულობთ: „გვრიტთა მართვისა, თვარ აქუს მართ ვისა თქუენებრ სურეილი მეულლობისა"[2]. ამ ტაეპმა საშუალება მისცა ა.ბარამიძეს, გაერკვია ხოტბის ობიექტის საკითხი „ბდულმესიანში". იგი წერს, რომ პოემაში უცილობლად ორი პიროვნებაა შექებული. თხზულებაში რომ თამარ მეფეა შექებული, ეს უეჭველია. ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა, რომ მეხოტბეს თამართან ერთად შეექო მისი ღირსეული მეულლე და თანამეფე დავით სოსლანი[3]. შემდეგ მეცნიერს მოაქვს ზემოთ დაფიქსირებული სტრიქონი და შენიშნავს: „ესე იგი, ,,ნუ არა გვრიტთა ოჯახს (გვრიტების ბარტყებს), აბა სხვას ვის აქვს თქვენსავით (მშვიდი, მყუდრო, ტკბილი) მეუღლებრივი ცხოვრებაო"[4]. ა.ბარამიძის მოსაზრება გაგრძელებაა ა.წერეთლის დაბეჯითებითი მტკიცებისა, რომ ეს სიტყვები („გვრიტთა მართვისა...") შეეფერება არა დავით ალმაშენებელსა და ყივჩაყთა მეფის ასულს, არამედ თამარს და დავით სოსლანს[5].

გზა ა. იოანე საბანიძის თანახმად, იესო ქრისტეს „გზა ეწოდა, რამეთუ თქვა: „მე ვარ გზაი და ჭეშმარიტებაი და ცხოვრებაი", რამეთუ ზეცად ალმავალთა გვექმნების ჩვენ გზა"[6].

---

[1] ძეგლები, III, გვ. 91.
[2] ქართული პოეზია, I, გვ. 216.
[3] ა.ბარამიძე, ნარკვევები, ტ. I, თბ., 1945, გვ. 128.
[4] იქვე
[5] შდრ. ლ.შენაბდე. XIXს. ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1973, გვ. 167-168
[6] ძეგლები, I, გვ. 47.

გ რ ძ ე ლ ი დ ღ ე. დავით გურამიშვილს ეკუთვნის გამოთქმა „გრძელი ღღე“:

„მიუწდომელო ნათელო, გრძელო, ძველო ღღეო“[1].

შესიტყვება „გრძელი ღღე“ ამ შემთხვევაში მამალმერცის სახელია. ეს ტაეპი ციტირებულია ლექსიდან - მზეთა - მზის შესხმა“. აქვე მამალმერცის სხვა ეპითეტებიცაა მოხმობილი: უბერებელი, უკვდავი, მყოფი, შეურყეველი, მზეთამზე, ძველი ღღე.

ალნიშნულ ლექსში მამაზეციერის მეტაფორად გამოყენებული „გრძელი ღღე“ უშუალოდ პოეტის ფანტაზიიდან უნდა მომდინარეობდეს, რადგან მისი წყაროების ძებნამ ამაოდ ჩაიარა. არადა მკითხველი გრძნობს, რომ ღვთის სიმბოლოდ „გრძელი ღღე“ თავისებური სახეა. ერთი შეხედვით, იგი მეორენაირად უნდა გავიგოთ როგორც „დაულამებელი ღღე“, ან „დაულამებელი ნათელი“. ეს სახეები კი დამახასიათებელია სასულიერო მხატვრული აზროვნებისათვის. ეტყობა პოეტი მისი შთაგონებით ქმნის ალნიშნულ სახე ხატს. აქ უთუოდ ყურადღების ღირსია იოანე დამასკელის ეროი ასეთი კონცეფცია სულიერ არსში, საწყისი მატერიის მიმოქცევისას „ჟამი ღღითა და ღამით არ აღირიცხება“, არამედ დადგება მარადიული საუკუნე და იქნება „ერთი ღღე დაუმწუხრებელი“, „ოდეს იგი მზე სიმართლისაი. მართალთა ზედა ჰაეროვნებით ბრწყინავდეს“[2]. „ერთი ღღე დაუმწუხრებლის“ ვარიაციულ სახესხვაობას მოგვაგონებს „გრძელი ღღე“. ამ სახის („გრძელი ღღე“) ლიტერატურულ წყაროს ნათელყოფასთან საეროო არაფერი გააჩნია, მაგრამ უბრალოდ შორეული პარალელის მიზნით გაგელისხმოთ “სიმღერა როლანდზე“. ამ თხზულებაში ღმერთი კარლოს დიდის

---

[1] დ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 73.

[2] ციტატები მოტანილია **ალექსანდრეს** "ვალობანი სინანულისანის" ლაურა გრიგოლაშვილისეულ მეცნიერულ პუბლიკაციაზე დართული შენიშვნებიდან (იხ. ლიტერატურა, №3, გვ. 195).

თხოვნით აგრძელებს დღეს - აწერებს მზეს ერთ ადგილას.

დ ა უ ვ ა ლ ი მ ზ ე. სასულიერო მწერლობაში აურაცხელი მაგალითი მოგვეპოვება ღვთის ეპითეტებისა, ატრიბუტებისა, ნაცვალსახელებისა, რომელთა შორის უნდა დაკასახელოთ დაუკალი მზე. მზე ქრისტეს სახელია. იგი დაუკალია იმიტომ, რომ არასოდეს არ აძოსულა. ეს მზე ფიზიკური კი არ არის, არამედ სულიერი, ციურ მნათობთა გაჩენამდე არსებული. მას დრო და სივრცე არაფერს დააკლებს, რადგან მათ გარეშე არსებობს. გამოთქმა „დაუვალი მზე" არც ისე ხშირად ფიგურირებს სასულიერო მწერლობაში. ძველ მეტაფრასულ კრებულში ვკითხულობთ: „ხოლო მას საცნაურისა მის და დაუკალისა მზისა (ღვთისა - ტ.მ.) მიმართ ხელნი განეჰყრიან და ღამის თევად იწყის"[1].

დ ა უ ვ ს ე ბ ე ლ ი მ ზ ე. უფალი ისეთი მანათობელია, რომელიც არასოდეს არ დაიშრიტება, არ ნაქრება. რადგან იგი დაუვალი მზეა, მუდამ ნათობდეს და კაშკაშებდეს იქნება, რათა ადამიანები გამუდმებით ნათელში ამყოფოს, აკილოს მათ „ბნელი ულმრთოვებასაი". მიქაელის ჰიმნების კრებულში ავტორი წერს: „გამოგვიბრწყინდა მზეი დაუვსებელი, რომელმან განდევნა ბნელი ულმრთოვებისაი"[2].

დ ა უ ს ა ბ ა მ ო მ ზ ე. მაცხოვარი დაუვალი, დაუვსებელი და დაუსაბამო მზეა, რადგან მას დასაბამი არ გააჩნია. იგი არ გაჩენილა დროსა და სივრცეში, არასოდეს არ დაბადებულა და არ მოკვდება: „**დაუსაბამოისა მზისა** ნათლისა ნათლისლებითა დამდაბლებულ არიან და დაბნელებულ უკუნისამდე მავნებელნი სულნი ბოროტნი..."[3].

დ ა უ ღ ა მ ე ბ ე ლ ი მ ზ ე. მზის (ქრისტეს) დაუვალობა, დაუვსებლობა, დაუსაბამობა თავისთავში მოიცავს მის დაულა-

---

[1] ძველი მეტაფრასული კრებულები, გვ. 54.
[2] მიქაელის ჰიმნები, გვ. 130.
[3] ჰ.ინგოროყვა, თხზულებანი, III, გვ. 239.

მებლობას: „გამოჩნდა მზეი იგი დაულამებელი“[1], „დაულამებელი მზე ქალწულისა საშოისაგან გამობრწყინვებად მოვალს“.[2]

დ ა უ ბ ა დ ე ბ ე ლ ი ნ ა თ ე ლ ი. ბიბლიური კოსმოგონიით ნათელი ორგვარია: უკამო, დაულამებელი, დაუბადებელი ნათელი და ხილული ანუ ფიზიკური ნათელი. ფიზიკური მზე და მნათობი დაუბადებელი ნათლის მიერაა შექმნილი. დაუბადებელი ნათელი კი ღვთაების სახელია. ღმერთი ისეთი ნათელია, რომელიც არ შექმნილა, არ დაბადებულა და არც დაიშრიტება არასოდეს. როგორც მზე, ასევე ნათელიც ღვთის სახელებია. „ქრისტე სიბრძნეო და სიტყვაო მამისაო და თანა მყოფო სულისა წმინდისაო, რომელი ჰნათობ შორის ორთა მათ ცხოველსა ნათელი დაუბადებელი.[3]

დ ა უ ს ა ბ ა მ ო ნ ა თ ე ლ ი. ქრისტე დაუსაბამო ნათელია, ვინაიდან ამ ნათელს დასაბამი არ გააჩნია, ივი სულიერი ნათელია: „თუალთაგან გონებისა ჩემისათა მოსძარცუე ბნელი უმეცრებისაი ნათელო დაუსაბამოო ქრისტე“. „დაუსაბამოი ნათელი ცხოვრებისაი აღმობრწყინდი საფლავით მესამესა დღესა“ მარიამ ღვთისმშობელი დაუსაბამო ნათლის მშობელია: „ნათლისა დაუსაბამოისა, მშობელი“[4].

დ ა უ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი ნ ა თ ე ლ ი. ქრისტე როგორც დაუბადებელი, დაუსაბამო, ასევე დაუსრულებელი ნათელია, მას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული: არჩილ მოწამე საპყრობილეში შეყვანისას „აკურთხევდა ღმერთს და ითხოვდა მისმიერსა შეწევნასა, რაითი მოწყალებითა მისითა ღირს ყოს თავი მიმთხუევად და მკვიდრ ყოფად ნათელსა დაუსრულებელსა...[5]

---

[1] მიქაელის ჰიმნები, გვ 113.
[2] იქვე, გვ. 77.
[3] უძველესი იადგარი, გვ. 425
[4] სეკუმირებული ძლისპირნი, გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ, თბ. 1982, გვ. 747.
[5] ძეგლები, II, გვ. 210.

დ ა უ ღ ა მ ე ბ ე ლ ი ნ ა თ ე ლ ი. ზემოთ დაუღამებელ მზეზე ვისაუბრეთ. რადგან „მზესთან“ ერთად „ნათელიც“ ღვთის სახელია, ამდენად, ეპითეტი „დაუღამებელი“ ნათელზეც გავრცელდა ანუ გამეორდა. სასულიერო მწერლობაში ხშირია შესიტყვება - „დაუღამებელი ნათელი“. მარიამ ღვთისშობლისადმი მიძღვნილ საგალობელში პოეტი ჰიმნოგრაფი ამბობს: „ეგიხაროდენ წმინდაო ღრუბელნო ნათლისაო, რომლისაგან გამოგვიბრწყინდა ნათელი დაუღამებელი“[1]. ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლა, ცოდვილთა განთავისუფლება, მკვდრეთით წამოყენება და სიბნელიდან სინათლეზე გამოყვანა ასე წარმოსახვია ჰიმნოგრაფს: „ღამე ბნელი, წყუდიადი განგუეშორა, რაჟამს ნათელი დაუღამებელი მოეფინა ქუეყანელთათა“[2]. დაუღამებელი ნათლის ანუ მაცხოვრის ხილვა შეუძლია მხოლოდ წმინდანს, რომელიც ხორცისაგან განსვლის შემდეგ ცის სასუფეველში დაიდებს ბინას: ჰაგიოგრაფის რწმენით, სიკვდილის შემდეგ იოანე ზედაზნელი შვებას იპოვის „ზეცისაი ტალავართა და სასძლოთა დამკვიდრებული“ და იხილავს თავის მხსნელ ღმერთს: იოანე „იშუებს საშუებელთა ზეცისა ტალავართა და სასძლოთა დამკვიდრებული და ხედავს ნათელსა მას დაუღამებელსა საღმოსა დიდებისასა მოხარული კეთილითა ზედა გამოუთქმელთა“.

დ ღ ე. სასულიერო მწერლობაში ქრისტეს სახელად მოიაზრება „ღღეც“. ივ.ჯავახიშვილს შენიშნული აქვს, რომ მზის უძველესი სახელია „ღღე“[3]. „ვეფხისტყაოსანის“ ვახტანგისეულ კომენტარებში ვკითხულობთ: „ეროი მზე ეროი ღღე არისო“. ახლა ვნახოთ საოანადო ნიმუშები ღღე - ქრისტეს

---

[1] ნეკმირეული ძლისპირნი, გვ. 563.

[2] ძეგლები, III, გვ. 106.

[3] ი.ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტ.ეთნოლოგ.ნარკვევები, თბ., 1950, გვ. 137-146.

შესახებ: „გაკურთხნეს ოქუენ და შვილ ნათლისა და დღისა“ (ე.ი. ქრისტესი - ტ.მ.).[1] ან კიდევ: „ღამის წარსვლითა (წარმარადობის უგულვებელყოფით - ტ.მ.) მოგუეახლა დღე “ (ქრისტე - ტ.მ.)[2]. „დღე“ ქრისტეს მეტაფორაა „დავითიანშიც“: „ვიკარგვი ბნელის ღამითა (მაჰმადიანურ გარემოცვაში - ტ.მ.), დღევ (ქრისტევ - ტ.მ.), რად არ მომიძიებო“[3]; „ბრწყინვალესა დღესა უკუანაისკნელსა, ვითარცა ცისკარსა განთიადისასა აღმოსვლად განმზადებულნი მიველოდით“[4]. „დღე“ შედარების ობიექტადაცაა ქცეული სასულიერო მწერლობაში. ფსალმუნთა წიგნში ერთგან ვკითხულობთ: „რამეთუ ბნელი შენ მიერ არა დაბნელდეს, და ღამე, ვითარცა დღე, განათდეს“ (ფს. 138,12), „უფალო... ნათელო თუალო - შეუდგამო, ხოლო ღამე, ვითარცა დღე, განათლდეს“[5].

დ ი ლ ი ს ძ ე. შესიტყვება „დილის ძე“ გალაკტიონამდე ქართულ სიტყვიერ კულტურაში არ შეგვხვედრია: „და მესმის ხმა იდუმალი: წამოდექ, ძეო დილისა“, „ო, ძეო დილის, აწ განვლის გრძნობა სიბნელის ნაფლეთის... “ ლ.სორდიამ სამართლიანად მიუთითა, რომ „დილის ძე“ პოეტის მიერ ნაწარმოებია სასულიერო მწერლობაში გაბატონებული გამოთქმის-„ნათლის ძის“, „დღის ძის“ ანალოგიით თუ მიბაძვით[6]. მკვლევარი მის სიმბოლიკას შემდეგნაირად ხსნის: „სიმბოლურად გალაქტიონი პოეზიის ქრისტეა, მარიამის ძე. მარიამი კი ცისკარია, იგივე დილა და, ალბათ, ამის გამო უწოდებს პოეტი თავისთავს დილის ძეს“[7].

---

[1] ძეგლები, III, გვ. 196.

[2] ჭილ-ეტრატის იადგარი, გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა.შანიძემ, ა.მარტიროსოვმა და ა.ჯინშიაშვილმა, თბ., 1977, გვ. 111.

[3] დ.გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 75.

[4] ძეგლები, II, გვ. 107.

[5] ძეგლები, III, გვ. 167.

[6] ლ.სორდია, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, თბ., 1991, გვ.22-24.

[7] ლ.სორდია, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, თბ., 1991, გვ.22-24.

შესაძლოა ეს ასეც იყოს, მაგრამ მაინც მიგვაჩნია, რომ „დიდების ძე" გულისხმობს ღვთისმშობლის ძე ქრისტეს. ასე უნდა ჰქონდეს იგი დიდ პოეტს მოაზრებული და არა საკუთარი თავის განსაჯიდებლად. აღსანიშნავია, რომ ბითოლოგიაში წმ. გიორგი წოდებულია „ღვთის ძედ"[1], ე. ი. ქრისტეს მემკვიდრედ.

ე ლ ვ ა. სახარებაში მაცხოვრის („ძისა კაცისა") დელამიწაზე მოელინება გაჭოლებულია ან უკეთ შედარებულია ელვასთან, ძის ბრწყინვალებასთან: „ვითარცა ელვა რა გამობრწყინდის მზისა აღმოსავალით და ჩანნნ ვიდრე დასავალამდე, ეგრეთ იყოს მოსვლა ძისა კაცისა" (მათე. 24,27). ლუკას სახარებიდანაც დავიმოწმებ ერთ პასაჟს: „რამეთუ ვითარცა ელვა ელავს ქუეშე ცისაგან ვიდრე ქუეშე ცისამდე ბრწყინვენ, ასეთი იყოს ძე კაცისა ღღეთა მისთა" (ლ. 17,24). დ.გურამიშვილის შთაგონებით მარიამ ღვთისშობელი სულთა მანათობელი ელვაა, მტერთა გამანადგურებელი ქუხილი: „ქუხილო მტერთა მკეთელო, ელვავ სულთ მანათობელო".[2] იოანე მინჩხს აღმოსავლეთით უფლის ჯვრის გამობრწყინება ელვას აგონებს: „უფალო, ვითარცა ელვაო, გამობრწყინდეს აღმოსავალით ჯუარი შენი".[3]

სასულიერო მწერლობაში ვითარცა მზისა და მისი მშობელი, უფლის ანგელოსიც ელვად ეცხადებიან ადამიანებს: „ეჩუენა ლოღსა ზედა ვითარცა ელვაი უფლისა ანგელოზი"[4]. ანგელოზი ბრწყინვალებს ელვის დარად და სახედ: „ელვის სახედ მნათობი ანგელოზი"[5]. იოანე საბანისძე წამებული აბოს მდინარეში ჩაყრილი ძელების წყლიდან ნათლისსვეტად ამობრწყინების

---

[1] ლ.ალრიკაშვილი, ნოლისა და ცეცხლის მეტაფორული მნიშვნელობა ქრისტიანობაში. "მაკნე" (ენისა და ლიტერატურის), N6, 1962, გვ. 114.

[2] დ.გურამიშვილი, ლაეთიანი, გვ. 86.

[3] იოანე მინჩხის ბიუსია, გვ.272.

[4] იოანე მინჩხის ბიუსია. გვ. 277, შდრ. მიქაელის ბიბლია, გვ. 437.

[5] მიქაელის ბიბლია, გვ. 366.

ელვას ადარებს: „ალმობრწყინდეს ნათელნი სუეტნია მსგავსად, ვითარცა ელვანი"[1]. ბიბლიოგრაფი წმ. ეფთიმეს სათნოებას ელვას ამსგავსებს და ამით მკითხველისათვის ნათელს ქმნის მის უღიდეს შინაგან ბუნებას: „ვითარცა რაი ელვისა მცხინვარებანი საკნაურად ბრწყინვენ სათნოებანი შენნი".[2]

ე რ თ ი მ ზ ე. დავით გურამიშვილი ერთ-ერთ ლექსში „დავითის შესხმა პირველი" წერს:

„დავით ისამა და განისამა,
არამთუ იგი ერთი დაკარგა.
ბობღნით, ებნითა, ჰპოვა ძებნითა,
სამად ეროი მზე მოგვეფინა კარგა".[3]

პოეტის მიერ ამ სიტყვებით მინიშნებულია იმაზე, რომ ქრისტე დავით წინასწარმეტყველის მემკვიდრეა. ღვთისმეტყველებაში მაცხოვარი დავით ფსალმუნთმგალობლის ხორცეულ მემკვიდრედაა შერაცხილი. ღმერთი ერთარსება ერთია. ნაწ) წლის მეექვსე საეკლესიო ყრილობის დადგენილებით გამოცხადდა: „ალვთაებრივ უფალსა ჩვენსა და ჭეშმარიტსა ღმრთისა იესო ქრისტეს ერთსა, მას წმიდასა და ერთარსებისა სამებისაგანსა". ღმერთი ერთია, მაგრამ სამპირეთანი: პირველი პირი არის მამა ღმერთი, მეორე - ძე ღმერთი, მესამე - სული წმინდა ღმერთი. ამიტომ ღმერთს ვუწოდებთ ყოველად წმინდა სამებას, ერთარსებას და განუყოფელს[4]. სამებისა და ერთარსების საკითხი მოცემულია პეტრე იბერიელის (ფსევდო დიონისე არეოპაგელის) არეოპაგიტიკაში: „ესე იგი არს, რომელ ვიტყვი სამებითა ერთობისა, ერთ - ღმერთებისა და ერთ სახიერებისა არცა გამოიქუმაი, არცა მოგონებაი შესაძლებელ არს". ამასთან დაკავშირებით საჭიროა ბასილი დიდის სიტყვების

---

[1] ძველები, I, გვ. 75.
[2] ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 35.
[3] დ.გურამიშვილი, ლაეთანი, გვ. 113.
[4] პირველლაწყობითი ღარიბება ხალეთი ხელეთის სწავლებაზე, გვ. 93.

გახსენება: „ერთი არის სამი, რომელი არის ღმრთეება, ვითარცა სამი მზე ერთი მეორეში ჩასმული, ერთი განფენა ნათლისა“[1] გრიგოლ ნაზიანზელიც წერს: „ეს არის ერთი და იგივე ღმრთეება სამი პირით, თითქო სამი მზე, საკსებით გაერთიანებული, მხოლოდ ერთსა და იმავე სინათლეს გამოსცემდეს... უნდა ვეთაყვანოთ სამებას ერთში და ერთს სამებაში“[2]. წმინდა ათანასეს მიხედვით, „სამება არის ერთი მზე და მისი ბრწყინვალება და ერთი ნათელი მზეში და ბრწყინვალებაში“[3]. მაგალითების მოტანა შორს წაგვიყვანდა. ერთი კი ცხადია: ქრისტიანულ კულტურაში ღვთისა და სამების ცნების ნაცვალსახელად ხშირად ფიგურირებს „მზე“. ეს ტრადიცია გამოაცისებული ჰქონია დავით გურამიშვილს, როდესაც ამბობდა: „სამად ერთი მზე მოგვფინა კარგა“. ამით პოეტმა მიგვანიშნა ღვთაების ერთარსებაზე და მის სამგვამოვნებასა თუ სამპიროვნებაზე. ყოველივე ზემოთ თქმულის უფრო მარტივ და კონკრეტულ ახსნას გვაძლევს პოეტი თავის ერთ - ერთ ლექსში:

„მზე და სხივი და ნათელი ვით სამად გალექსულია,
იგ სამივ ერთი მზე არის, არ ცალკე გაქსაქსულია;
ეგრეთ მამა და ეგრეთ ძე, და ეგრეთ წმინდა სულია.
ვისაც სამება არა სწამს, სულთაგან გარდასულია“.

ეს სტრიქონები აშკარად მეტყველებენ დავით გურამიშვილის მიერ სამების არსის მზესთან გაიგივების (სულიერ მზესთან) თაობაზე ქრისტიანული კულტურის ტრადიციების ღრმა ცოდნასა და გაცნობიერებაზე.

ვ ა რ დ ი. ვარდის თემას სიტყვაკაზმულ მწერლობაში საპატიო ადგილი უკავია. სასულიერო და საერო მწერლობაში

---

[1] პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, გვ. 10.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ვარდის სიმბოლიკა განსხვავებული ფუნქციითაა დატვირთული. სასულიერო ლიტერატურაში იგი მაცხოვრის და ღვთისმშობლის ბუნების გამოსახატავად გამოიყენება, საერო მწერლობაში კი ვარდი ქალისა და კაცის გარეგნობის, სილამაზისა თუ მშვენიერების გამოხატვის სიმბოლოა. მივმართოთ ზოგიერთ ნიმუშს. პოეტი - ჰიმნოგრაფი მაცხოვარს ასე გვისურათხატებს: „აღყუავნა ნერგი იგი ვარდისაი მორწი უნაყოფოთაა გამომლებელი ყუავილისა ცხოვრებისაი"[1]. ღ.გურამიშვილი იესო ქრისტეს ასე მიმართავს:

„დავითის ვარდო, აბრამის ყვავილო დაუჭკნობელო".[2]

პოეტი ასე იმიტომ უწოდებს მესიას, რომ გაცნობიერებული აქვს თეოლოგიაში გავრცელებული აზრი ქრისტეს დავით წინასწარმეტყველისა და აბრამის ხორციელი მემკვიდრეობის შესახებ. „დავითიანში" გვხვდება აღვგორიული ხასიათის ერთი ლექსი — „სიმღერა", სადაც ვარდი მაცხოვრის სახებას გულისხმობს, ხოლო ყვავი კი ურწმუნოს, რჯულდავიწყებულს, არაქრისტიანს:

„მე ვარდი ვარ ბულბულთ მრთავი, ყვავს რად მოგცე თავი?"

ან კიდევ:

„მე არ მიყნოსე ვარდია,
ანძალას ზედ შევარდია".[3]

ე. ი. ქრისტეს რჯულს უარი უთხარი და სხვა სარწმუნოებაზე მოიქეცეო.

სასულიერო მწერლობაში ვარდი არა მხოლოდ მაცხოვრის, არამედ წმ. გიორგის, მოწამის, წმ. მამების სახე - სიმბოლოცაა. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა მოვუხმოთ მიქაელ მოდრეკილის ჰიმნების კრებულიდან ერთ ფრიად საგულისხმო ნაწყვეტს, სადაც პოეტი განადიდებს წმ. გიორგის, უწოდებს მას სულიერ

---

[1] მიქაელის ჰიმნები. გვ. 310.
[2] ღ.გურამიშვილი. დავითიანი. გვ. 116.
[3] იქვე. გვ.146.

ხეს, მშვენიერ ვარდს, სამყაროს მნათობთა ჯარს, მზესავით ბრწყინვალეს, ვარსკვლავს, ცვცხლივით მოელვარეს, მოუკლებელ ნათელს. უძღებესია ჰიმნოგრაფს მოვუსმინოთ: „სულიერო ხეო ვარდო შუენიერო, სამყაროისა მნათობია მიმსგავსებულო... ნათელო მოუკლებელო, ხატოანო ვარსკვლავო, მზეებრ ბრწყინვალეო, ცვცხლებრ მგზნებარეო"[1]. ოთხნე მღვდელ მშვენიერ ვარდს აღარებს წმ. გიორგის, რომელსაც სპეციალურად საგალობელს უძღვნის „სხუანი გალობანი წმინდისა გეორგისნი". აქ ეკითხულობთ: „ვითარცა ვარდი სურნელი, ფერითა შუენიერითა გამოშჩნდი ეკალთაგან უნაყოფოთა"...[2] არაბი აბოს მიერ მაპმადიანობის უგულებელყოფას და ქრისტიანობასთან ზიარებას შეძდეგნაირად განგვაცდევინებს იოანე საბანისძე: „ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან გამოგარჩია"[3]. ჰაგიოგრაფი აბიბოს ნეკრესელს მშვენიერ ნაყოფად, სპეტაკ ვარდად წარმოსახავს: „ნაყოფი შუენიერი, სპეტაკი ვარდი, ჰაერისა სულნელ მყოფელი"[4]. ბერი ხუედიოსი გრიგოლ ხანძთელის ძოყვარეთ თუ თანამოაზრეებს ნათლავს სიწმინდის ნაყოფად, სურნელოვან მცენარედ, მშვენიერ ვარდად, კეთილ ფინიკად, ნაყოფსავსე ზეთისხილად: „თქვენ ხართ სიწმინდისა ნაყოფი, მცენარენი სულნელნი, ვარდნი შუენიერნი, ფინიკნი კეთილნი და ზეთისხილნი ნაყოფსავსენი, ზეთითა მით სიწმინდისაითა პოხილნი".[5]

ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი. სასულიერო პოეზიაში ქრისტე დასახულია იაკობისაგან ამობრწყინებულ ვარსკვლავად: „ვარსკვლავი გამობრწყინდა იაკობისგან ქრისტე"[6] ან კიდევ: „ვარსკულავი

---

[1] ლ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 304.
[2] იოანე მესხის პოეზია, გვ. 336.
[3] ძეგლები, I, გვ. 80.
[4] იქვე, გვ. 241.
[5] იქვე, გვ. 255.
[6] ძველ-ქართული სახელიერო პოეზია, გვ. 62.

ალმობრწყინდა იაკობისაგან, ქრისტე წერილისაებრ"[1]. ამით იმაზეა მინიშნებული, რომ მაცხოვარი ხორციელი შთამომავალია, მემკვიდრეა ბიბლიური იაკობისა:

აბრაამი - ისაკი - იაკობი - იუდა - ფარეზი - ესრომი - არამი - ამინადაბი - ნაარონი - სალმონი - გოოსი - იობედი - იესე - დავითი - სოლომონი - რობოამი - აბაია - ასა - იოსაფატი - იორამი - ოზია - იოთამი - აქაზი - ეზეკია - მანასე - ამონი - იოსია - იექონია - სალათიელი - ზორობაბელი - აბიუდი - ელიაკიმი - აზორი - სადოკი - აქიმი - ელიუდი - ელეაზარი - მატთანი - იაკობი - იოსები - იესო ქრისტე. ჰიმნოგრაფიიდან ზემოთ დამოწმებული ციტატების სათაყვანო წიგნი რიცხუთა, სადაც ერთგან ვკითხულობთ: „უსუენო მას და არა აწ ვნატრო და არა მახლობელად გამობრწყინდეს ვარსკულავი იაკობისაგან და აღდგეს კაცი ისრაელისაგან და მოსრნეს მთავარნი მოაბისანი და წარტყუენნეს ყოველნი ძენი სეითისნი" (რიცხ. 24, 17). სწორედ იაკობისაგან ამობრწყინებულმა ვარსკვლავმა – ქრისტემ გაანადგურა ბნელეთი, სინათლე მოუტანა ადამიანებს, „ბნელში მგდებარე" გამოიყვანა გარეთ, სიცოცხლე და სიყვარული მიანიჭა მათ, დაიხსნა „ჯოჯოხეთისა მწვირისაგან" და სასუფეველისკენ გაუხსნა გზა.

ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი გ ა ნ თ ი ა დ ი ს ა. მოგვებს მხსნელის, მესიის შობა „ბეთლემის ურიასტანისასა" აღმოსავლეთით აღმობრწყინებულმა ვარსკვლავმა ამცნო, რაც გამოჰყვა მათ მეგზურად, ჩამოვიდნენ ბეთლემში, რათა საკუთარი თვალით ეხილათ აქ დაბადებული მეუფე, თაყვანი ეცათ მისთვის, ვარსკვლავი, რომელიც მოგვებს წინ უძღოდა, „დადგრა ადგილსა მას", სადაც იმყოფებოდა „ყრმა იგი", მომავალი მხსნელი ადამიანთა. ახალ აღთქმაში „ვარსკვლავი" ქრისტეს სიმბოლოდ იქნა მოაზრებული, კერძოდ, მაცხოვარი „განთიადის ვარსკვლავად" მოიხსენიეს. „იოანეს გამოცხადებაში" ქრისტეს

---

[1] მიქაელის ჰიმნები, გვ. 62.

ენით ნათქვამია: „მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისი, და ვარსკულავი ბრწყინვალე განთიადის“ (გამოცხ. ი. 22,16). აქედან დამკვიდრდა სასულიერო მწერლობაში „განთიადის ვარსკვლავი“ ქრისტეს მეტაფორად. განთიადი დედაძიწაზე ღვთის დამკვიდრების მაცნეა. ძე ღმერთიც სიბნელის დამამხობელად, ქვეყნიერებისათვის, ადამიანებისავის სინათლის მომტანად, განმანათლებლად მოგვევლინა: „ვარსკულავი განთიადისაი განმანათლებელი ყოველისა სოფლისაი“[1]. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა „დავითიანიან“ სტუმრობა. „ურჯულოს ქვეყანას“ ტყვედ ჩავარდნილი ჭაბუკი დავით გურამიშვილი მოუხმობს მაძალმერთის, ძე ღმერთისა და ღვთისშობლის სახელებს, რათა იხსნან იგი „ბნელის ლამისაგან“ (ე.ი. მუსლიმანური გარემოცვისაგან). პოეტი ემუდარება ქრისტეს:

„განთიადისო ვარსკვლავო, მის მზეთა - მზისა მოიებო,
ვიკარგვი ბნელის ღამითა, დღევ, რად არ მომიძიებო“[2].

სასულიერო ლიტერატურაში არა მხოლოდ მესია იწოდება „განთიადის ვარსკვლავად“ არამედ წმ. მამებიც. ამით მაინ როლი გათანაბრებულია მაცხოვრის მისიასთან თუ ბუნებასთან: „ცხოვრებაი წმინდისა და ნეტარისა და მოძღუარისა ყოველისა სოფლისა და ვარსკულავისა მის განთიადისაი მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაი“[3]. ჰაგიოგრაფის თანახმად, იოანე ზედაზნელის სასწაულმოქმედებანი „განთიადის ვარსკვლავის გამობრწყინებასთან არის შედარებული: „ხოლო სასწაულთა მოქმედებითა გამობრწყინდა, ვითარცა ვარსკულავი განთიადისაი“.[4]

ვ ა რ ს კ ლ ა ვ ი დ ა უ ღ ა მ ე ბ ე ლ ი. „დაუჯდომელში“

---

[1] ნევმირებული ძლისპირნი, გვ. 255.

[2] დ.გურ. ძიშვილი, ლავითიანი, გვ. 75.

[3] „ᲘᲝᲐᲜᲔ ᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲡ ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ.ვეარამიამ, თბ., 1983, გვ.1

[4] ძეგლები, I, გვ. 213.

ქრისტე დაულამებელ ვარსკლავადაა შერაცხული. აკეთორი მარიამ ღვთისმშობელს ამხნევებს და ეუბნება: „გიხარიდეს, ვარსკვლავთა დაულამებელისა დედაო". ასე რომ, მაცხოვარი დაულამებელი მზეა, დაულამებელი ვარსკლავიცაა.

ზემოთაც ვთქვით, რომ მარადის მოტყვინარე ვარსკვლავად იწოდებიან ღმერთთან ერთად ადამიანებიც, ქართველთა განმანათლებელი ნინო იქნება ის თუ სხვა წმინდანები. საღმრთო ნათლით შემოსილ ნინოს პოეტი - ჰიმნოგრაფი ვარსკვლავად წარმოგვისახავს: „სძალსა ქრისტესსა ნინოს, ქართლისა ქადაგსა, ვარსკულავსა მნათობსა საღმრთოითა მით ნათლითა"[1]. იოანე ზედაზნელის გამოჩენა მრავალმნათობ ვარსკლავთანაა შემსგავსებული: „ყოვლად განთქმული იოანე, ნიშებშემოსილი, გამოჩნდა, ვითარცა ვარსკვლავი მრავალ - მნათობი"[2]. გიორგი მერჩულის მიხედვით, უდაბნოს ვარსკვლავად გამოჩნდა გრიგოლ ხანძთელის ცოლეაწეობა: „ოდეს მოვიდეს ვარსკულავი (ე. ი. გრიგოლ ხანძთელი - ტ. მ.) უდაბნოითა, მაშინ განეცართოს საქმე"[3].

ვ ა ზ ი. ვენახი, ვაზი ქრისტეს, ღვთისმშობლის, წმ. მამების ერთ-ერთი გავრცელებული სიმბოლიკაა სასულიერო მწერლობაში (განსაკუთრებით ჰიმნოგრაფიაში). ძველ მეტაფრასულ კრებულში მარიამისადმი მიმართვაში ნათქვამია, რომ ის არის წარმოშობი, ალმომცენებელი ყოვლად ნაყოფიერი ვაზისა, ე. ი. ქრისტეს მშობელი: „მარიამ ალმომაცენებელო ვაზისა ყოვლად ნაყოფიერისა"[4]. აღსანიშნავია, რომ „მლვდელ-მოძღვართა სიქადული" კლიმი ჰიმნოგრაფის მიერ მონათლულია „შუენიერ ვაზად", „ვაზად რქაშუენიერად": „ჭეშმარიტი ვაზი რქაშუენიერის ქრისტეს ვენახისა ალმოსცენელი, კლიმი"[5]. თამარ მეფის მეხოტბე

---

[1] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 262.
[2] ძეგლები, III, გვ. 110, შდრ. ბუნოები, I, გვ. 197.
[3] ძეგლები, I, გვ. 287.
[4] ძველი მეტაფრასული კრებული, გვ. 152.
[5] მიქაელის ჰიმნებ., გვ. 239.

იოანე შავთელი მას სიწმინდის ვაზად, სიბრძნის ვაზად წარმოგვისახავს:

„სიწმინდის ვაზაო, არ ბილწად ავზად,
ნათლის ემბაზად დაარსებულსა...“
„ხარ სიბრძნის ვაზი, ნათლის ემბაზი,
სულისა ქნარი, ღმრთის მხილველისა“.[1]

გალაკტიონის პოეზიაში ვაზის სიმბოლიკა სიყვარულის, თავისუფლების, სიცოცხლის მომღერალ პოეზიას უკავშირდება. მან ვაზი ეროვნულობის, სიწმინდის, სულიერების, პოეზიის სიმბოლოდ აქცია.[2]

ვ ე ნ ა ხ ი. ქართველი კაცი უძველეს ხანაში, წარმართობის პერიოდში ვენახს „სიცოცხლის ხედ“ ნათლავდა. ცნობილია, რომ ღვთისმეტყველებაში „ხე ცხოვრებისა“ ღვთის სიმბოლოდ მოიაზრებოდა. ამდენად, ჩვენი წინაპრები მცენარეთაგან განსაკუთრებით აღმერთებდნენ ვენახს. რ. სირაძის თქმისა არ იყოს, სასულიერო პოეზიამ შეითვისა სილამაზის წარმართული სიმბოლოები ვენახი და მზე[3] სასულიერო მწერლობის წარმომადგენლებზე ვენახისა და ვაზის რტოს სიმბოლიზირებისას გადამწყვეტი გავლენა იქონია ქრისტეს სიტყვებმა: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და მამა ჩემი მოქმედი არს“ (იო. 15,1). მესიის ამ სიტყვების სათავედ უეჭველობლად უნდა მივიჩნიოთ ძველი აღთქმის ერთი პასაჟი: „მე, ვითარცა ვენახმან, აღმოვაცენე მაღლი და ყუავილი ჩემი, ნაყოფი დიდებისა და სიმდიდრისა“ (ზირ. 1,6). ქრისტე არის კურთხევის მტევნის გამომღები. ახლისა ვენახისა კვირტი: „ახლისა ვენახისა კვირტი, რომელმან ტევნი გამოიღო კურთხევისაი“[4]. ჰიმნოგრაფის ენით ქრისტე ამბობს: „დანერგულ ვიყავ მე, ვითარცა ვენახი მსხმოი

---

[1] ქართული პოეზია, I, გვ. 291,299.
[2] ლ.ხარდავა. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, გვ. 19-20.
[3] რ.სირაძე. სახისმეტყველება, თბ., 1982, გვ. 27.
[4] ხანური მრავალთავი, გვ. 47.

მათ შორის, გამომქონდეს, ვითარცა ყურძენი შუენიერი, მოწაფენი“...[1] მაცხოვარი ჰიმნოგრაფის მიერ გ ნსახოვნებულია აყვავილებულ ნაყოფიერ ვენახად, „რომელმან დაჰხსნა პატიჟნი ადამისნი[2]“. მუსიის მიერ ცოდვისაგან და ჯოჯოხეთის ალისაგან დახსნილი ადამიანებიც მის „საყურძნესა“ დანერგულ ვენახად თვლიან თავიანთ თავს, ე. ი. ქრისტეს სასუფეველში მყოფად: „უფალმან ჩუენმან მოგვიყვანნა ვენახსა თვისსა, დანერგულმცა ვართ, ვითარცა ვენახნი საყურძნესა ქრისტესსა, რამეთუ იგი თავადი არს ვენახი ჭეშმარიტი“.[3]

აუცილებელია ისეთი ნიმუშების მოხმობა, სადაც ქრისტე დასახულია „ვენახად ცხოვრებისად“ („და მით ვენახი ცხოვრებისაი ჯუარს გაცუეს, ხოლო ჩუენ მოვისოულეთ სიტკბოებაი შენი, მხსნელო“...[4] „რომელმან ვენახი ცხოვრებისაი დაჰნერგე... ქალწულო“[5]), „ვენახად ჭეშმარიტებისად“ („ჯუარს დაემსჭუალე, ვენახი ჭეშმარიტებისად მოისოულეს წარმართთა“[6]), „ტევნად ტკბილად“ („ტევანი ტკბილი აღმოცენდა ცხოველს მყოფელს დღეს ქუაბსა ბეთლეემისასა“[7]), „გონიერი ცხოვრების გამომღებელ ვენახად“ („ვენახი გონიერი ცხოვრების გამომღებელი ჯუარსა ზედა ამაღლდი“[8]), „ტევნად ჭეშმარიტად“ („ტევანი ჭეშმარიტი, რომლისგან მოვიღეთ ყოველთა ღვინოი იგი ცხოველს მყოფელი დაწნიხა ნეფსით ჯუარსა ზედა და საღრმთოითა მით სისხლითა უკვდავყო ბუნებაი მოკუდავი ვითარცა ღმერთ არს“).[8]

ძირითადად ჰიმნოგრაფიაში „ვენახი“ ქრისტესთან ერთად

---

[1] უძველესი იადგარი, გვ. 187.
[2] მიქაელის ჰიმნები, გვ. 317.
[3] შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ.გიგინეიშვილმა და ელ.გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ.305.
[4] იოანე მინჩხის პოეზია, გვ. 273.
[5] მიქაელის ჰიმნები, გვ. 540.
[6] უძველესი იადგარი, გვ. 204.
[7] იქვე, გვ. 414.
[8] უძველესი იადგარი, გვ. 406.

ღვთისმშობლის მეტაფორადაა გაცნობიერებული. ძე ღმერთის დედა არის ახლად აყვავებული, ედემში დანერგული, რტოკვეთილი ვენახი („შენ ხარ ვენახი ახლად აყვავებული, მორჩი კეთილი ედემსა დანერგული"...[1]), სალმრთო ვენახი („სალმრთოსა ვენახსა, მტკვრთველსა ცხოვრებისა ტკბილსა"...[2]), მარად მშვენიერი ვენახი („გიხაროდენ, მარადამ მიძალებულო, ვენახო, მარადის შუენიერო"...[3]), მშვენიერრტოიანი ვენახი („ვენახი რქაშუენიერი, ანნასაგან აღმოსცენდა და ტკბილი სიტკბოებისაი აღყუავალნა"[4]).

„დავითიანში" ლიტერატურული ტრადიციების გაცლენით შემოსულა მაცხოვრის მეტაფორად - „ვენახი", „ვაზი":

„სახით ვით ნორჩი, ნაყოფით ძირ - კეთილ, შტოვ ვაზისაო"[5].

დავით გურამიშვილი ერთგან წერს:

„ძირი ვენახთა შტოზედ რტოდ, ვით ახალ მორჩი ბაგითა,
აგრეთვე მზრდელი ყოველთა ვსცანი გასაზრდელი ბაგითა"[6].

პირველ სტრიქონში ნახმარი სიტყვა - „ბაგითა" ნიშნავს ახალ ვენახს (ახალშენს)[7]. აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ მწერლობაში ეს იშვიათად გამოყენებული სიტყვა გაუჯოცხლებია პოეტს. „დავითიანში" „ვენახი" „ვაზთან" ერთად ღვთისმშობლის სიმბოლოცაა:

„ნაყოფიერო ვენახო, ვით ვაზო მორჩ - უჭკნობელო"[8].

საინტერესოა, რომ გალაქტიონის „მშვიდობის წიგნში" „ვენახი" ერის სულის სიმბოლოა.[9]

---

[1] ქართული პოეზია, I, გვ. 133.
[2] ნეემიერეული ძლისპირნი, გვ. 341.
[3] ხინური მრავალთავი, გვ. 6.
[4] ძველი მეტაფრასული კრებულები, გვ. 121.
[5] დ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 41, 113.
[6] იქვე, გვ. 38.
[7] სულხან-საბა ორბელიანი, ხიტყვის კონა, გვ. 52.
[8] დ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 87.
[9] ლ.ხიჩილაია, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, გვ. 19.

ზ ა ფ ხ უ ლ ი. ერთ - ერთ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში ქრისტეს ამქვეყნად მოვლინება შედარებულია ზაფხულთან (ზაფხული ძველი ქართული ენით გაზაფხულს გულისხმობს), რომელმაც დაამხო ზამთრის სიბნელე: „და კულად ამისა შემდგომად გამობრწყინდა დიდებული მოსლვაი იესუ ქრისტესი, ეითარცა ზაფხული, რომელმან - იგი განდევნა სიბნელე ზამთრისაი და დაჰხსნა სიცბილი უკეთურთაი"[1].

ზ ე ც ი ს ე ტ ლ ი. იოანე მინჩხას პოეზიაში მაცხოვარი ზეცის ეტლადაა მონათლული: ქრისტე „არარაი არს მსგავსი შენი, ეტლო ზეცისაო, ქერობინო ქუეყნისაო"...[2]

ზ ე ც ი ს ს ი ძ ე. სალვთისმეტყველო მწერლობაში ჩახელილთ კარგად მოეხსენებათ, რომ „სიძე" ქრისტეს მეტაფორაა, რომელიც ციურ სასუფეველში იმყოფება. სწორედ სიძე - მაცხოვარმა დაუდო საფუძველი ახალი აღთქმა ციურ სამოთხეში დამკვიდრებისა. აქედან წარმოსდგა შესიტყვება - „ზეცის სიძე". ხოლო უფლის ღვდა კი ზეცის სძლად იწოდება: „გადიდებთ შენ, ზეცისა სძალსა (ე.ი. ღვთისმშობელს - ტ. მ.), ღმრთისა დედასა... გადიდებთ შენ, ზეცისა სიძესა (ქრისტეს - ტ.მ.), შობილსა ალწულისაგან"[3].

თ ვ ა ლ თ ა ნ ა თ ე ლ ი. ფრიად საინტერესო ლექსია დავით გურამიშვილის „ტირილი ღვთისმშობლისა". შეილმკვდარი დედის-მარიამ ღვთისმშობლის მწარე განცდები ისევ მოტანილი მკითხველამდე, გვგონია ქართველი ქალი დასტიროდეს უდანაშაულოდ დალუპულ შვილს. მაგრამ ამჯერად საკითხთან დაკავშირებით ამ ლექსიდან ერთი სტრიქონი გვაინტერესებს, სადაც ღვთისმშობელი ეკარცმულ შვილს - ქრისტეს თვალთა ნათელს ეძახის: „ვაიმე თვალთა ნათელო, სხეო მის მზეთა მ'ხისაო"[4]

---

[1] იოანე იერუსალიმის ცხოვრება, გვ. 1.
[2] იოანე მინჩხის პოეზია, გვ. 221.
[3] ჭილ-ეტრატის იადგარი, გვ. 103.
[4] დ.გურამიშვილი. დავითიანი, გვ. 41.

ე. ი. მაცხოვარი ადამიანთათვის „თვალთა ნათელია“. ეს გამოთქმა გვაახლოებს ძველი ალთქმის ერთ - ერთ წიგნთან: „ვაიმე, შვილო, ნათელო თუალთა ჩემთაო“ (ტობ. 10,5).

თ ვ ა ლ შ ე უ დ გ ა მ ი ნ ა თ ე ლ ი. თეოლოგიური მრწამსით, ქრისტე ისეთი ნათელია, ან ნათებაა, რომ მისთვის თვალის გასწორება ადამის ძეს არ ძალუძს. ღმერთი იმყოფება „მიუწვდენელ ნათელში“, რომელთანაც ახლოს ყოფნა მხოლოდ ანგელოზებს შეუძლიათ. სასულიერო მწერლობაში არცთუ იშვიათად შეეხვედებით მაცხოვრის ატრიბუტად „თვალშეუდგამ ნათელს“: „ეშვა ბეთლეემს ხორცითა და განიბნია ცოდვის ნისლი, რომელი გამობრწყინდა ნათელი თუალთ შეუდგამი“[1], „ნათელი თუალთშეუდგამი დაეშკვიდრა ხორცეულად ტაძარსა მას შინა ხორცთასა“[2]. ამდენად, „თვალთშეუდგამი ანუ ძნელად სახედველი ნათელი გულისხმობს ღმერთს.

თ ვ ა ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა. ლიტურგიკულ პოეზიაში ძე ღმერთის ერთ ერთი გავრცელებული სახელია „თუალი ცხოვრებისაი“. სიტყვა „თუალი“ ძველ ქართულ ლექსიკურ ფონდში სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია. თვალი ადამიანის სხეულის ნაწილია, რომლითაც იგი ფიზიკური სამყაროს მომზირალია. ამავე დროს „თვალი“ ძვირფასი, პატიოსანი ქვების სახელია: ძვირფასი თვალი, პატიოსანი თვალი. „თუალი“ აგრეთვე „ბორბლის“ სინონიმია. ამასთანავე „თუალი“ „წყლის სათავეს“ ნიშნავს. ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „თუალის“ ეს უკანასკნელი გაგება. როდესაც პოეტი - ჰიმნოგრაფი მარიამ ღვთისმშობელს მიმართავს: „ანგვიმარტე სანატრელო, ვითარ დაიტიე შენ თუალი იგი ცხოვრებისაი და შემოქმედი საუკუნეთაი“[3] ჩვენთვის აშკარაა, რომ გამოთქმაში „თუალი იგი ცხოვრებისაი“

---

[1] მიქაელის ჰიმნები, გვ. 91.
[2] ნეოპირეული ძლისპირნი, გვ. 565.
[3] მიქაელის ჰიმნები, გვ. 74.

იგულისხმება ცხოვრების წყაროს სათავე თუ მიმნიჭებელი - მაცხოვარი. ან კიდევ: „თუალი ცხოვრებისაი ქრისტე"[1], „რამეთუ ჰშვენ ქრისტე. თუალი ცხოვრებისაი"[2]

თინათინი. ქრისტიანულ ლიტერატურაში „მზე" ქრისტეს ფართოდ გავრცელებული სახელია, ეს არის სულიერი მზე, რომლის შემოქმედების შედეგია ფიზიკური მნათობი. დავით გურამიშვილი მაცხოვრის სახელად როდესაც მზეს იყენებს, მკითხველს ურჩევს, არ აერიოს იგი ფიზიკურ მნათობთან, რომელსაც თინათინი ჰქვია:

„ისმინე, ლექსთა მკითხველო, სიტყვა აგიხსნა წინადა:
ძეს ღმერთს კაცებთ მზედ ვსახავ, სახით მზეს თინათინადა".

ან კიდევ:

„მისთვის საწუთროს მნათობმან მზემ თინათინი ორქოსა"[3].

სულხან - საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში" თინათინი ასეა განმარტებული: „თინათინი სარკითა თუ მისთანათა რათამე მზის შუქი კედელზე ციალებდეს"[4]. ინგილო ჯანაშვილის თანახმად, უძველეს ხანაში მზეს ქართულად ერქვა „თინა". თინა ნიშნავს მზეს ან მზის სხივს[5]. ცნება „თინათინი" გამოყენებული აქვს შოთა რუსთაველს. „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა". ამ ტაეპს დ. ჩუბინაშვილი ასეთ კომენტარს უკეთებს: „ე. ი. თინათინ თუმცა მზეს სწუნობდა, მაგრამ მზის მსგავსად შუქს გადასცემდაო"[6]. ამდენად, „ვეფხისტყაოსანი" გვაძცნობს, რომ საქართველოში „თინათინი" ლამაზი, მშვენიერი ასულის საკუთარ სახელადაც ქცეულა.

დავით გურამიშვილი არა მხოლოდ მიგვანიშნებს საწუთროს

---

[1] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 81.
[2] ნეკმარებული ძლისპირნი, გვ. 535.
[3] დ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 75.
[4] ს.ს.ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ. 241.
[5] გაზ. "საქართველო", 1918, 27 მარტი. N67
[6] დ.ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984, გვ. 565.

მზის სიმბოლოდ თინათინის დასახელებაზე, არამედ ამ ცნების განმარტებასაც კი გვაძლევს:

„საწუთროს მზის თინათინი მოვითხრა რაცა ფერია:

სარკით მზის შუქის ციალსა უწოდენ ქართველთ ერია“[1].

მკითხველი ალბათ ხვდება, რომ ამ კომენტარის საფუძველი სულხან - საბა ორბელიანის „სიტყვის კონაა“.

თ უ ლ უ ნ ი. დავით გურამიშვილს აქვს ერთი ლექსი („ინოვნა გაძლექსავისაგან“), რომელიც თომა ბარათაშვილისადმია მიძღვნილი. ამ ნაწარმოებში პოეტი ერთმანეთს უპირისპირებს „ქალთა - მზეს“ (ამქვეყნიურ სიყვარულს) და „მზეთამზეს“ (ქრისტეს სიყვარულს), ცხადია, უპირატესობას ანიჭებს ამ უკანასკნელს, ვინაიდან „ქვეყანაზედ არცად არის იმ სილამაზეო“.[2]

ბოლოს პოეტი დასძენს:

„ჩემს თეთრს თულუნს არავინ გაცვლის შენს შავ არაბზეო“.

„მზეთამზე“ და „თულუნი“ ქრისტეს მეტაფორაა, „ქალთა - მზე“ და „არაბზეო“ ამქვეყნიური ქალი - საბრფოსი. „თულუნის“ სინონიმური სიტყვაა - შევარდენი, „არაბზეო“ არაბული ცხენია. მოცემულ შემთხვევაში შავგრემანი ქალი - მიჯნურის ეპითეტია. თუ პრეტენზიულ გამოთქმაში არ ჩაგვეთვლება, მაცხოვრის მეტაფორად „თულუნი“ „დავითიანის“ გარდა სხვაგან არ შეგვხვედრია.

ი ფ ქ ლ ი. ასევე „იფქლიც“ ძვ ღმერთის სიმბოლოდ მხოლოდ დავით გურამიშვილის ზემოთ ხსენებულ ლექსში დაადასტურეა:

„გამოვარჩიე მე იფქლი, შენ შახვეტე ბზეი“.

ე.ი. მე ქრისტეს („იფქლს“) ვუერთიგულე, შენ კი (მიემართება თომა ბარათაშვილს - ტ. მ.) ამქვეყნიური ქალის („ქალთა - მზის“) სიყვარულით დატკბი („შახვეტე ბზეო“).

კ ა რ ი. „ჰბოს მარტვილობის“ შესავალშივე განმარტებულია

---

[1] დ.გურამიშვილი, დავითიანი. გვ. 75.
[2] დ.გურამიშვილი, დავითიანი. გვ. 83.

ამ სიმბოლოს არსი. კერძოდ, აქ ნათქვამია „კარ ეწოდა (ქრისტეს - ტ. მ.) რამეთუ თქვა (მაცხოვარმა - ტ. მ.): „მე ვარ კარი ცხოვარისაი“, რამეთუ ჭეშმარიტად მორწმენენი მისნი მის გამო ვითარცა კარსა მას სასუფეველისასა შევალთ“[1].

კ ა ც ი. კვლავ მოვუხმოთ იოანე საბანისძის კომენტარს: „კაც ეწოდა (ქრისტეს - ტ. მ.), რამეთუ თქვა წინასწარმეტყველმან: „კაცი არს და ვინ იცნას იგი?“ ჭეშმარიტად სრული კაცეაი შეიმოსა თვანიერ ცოდვისა და ღმერთეებაი თვისი ჩვენ გამოგვიცხადა“[2].

კ ვ ე რ თ ხ ი. წიგნში „გამოსელათა“ მკითხველი ეცნობა სასწაულმოქმედ კვერთხს. ერთ შემთხვევაში კვერთხი იქცევა გველად (გამოს. 4,3), მეორე შემთხვევაში - ვეშაპად (გამოს. 7,9). კვერთხის შემწეობით მდინარე იქცევა სისხლად (გამოს. 7, 17-20), მდინარეზე კვერთხის ღარტყმით ბაყაყმა დაფარა მთელი ეგვიპტე (გამოს. 8,3-6), კვერთხის მიწაზე ცემით „გამოხდეს მიერ მუმლი“ (გამოს. 8,16). ღვთის შემწეობით მოსემ კვერთხი „სცა კლდესა“, საიდანაც გამოქუხდა წყალი და უდაბნოში მოხეტიალე მწყურვალი ებრაელები წყლით დაკმაყოფილდნენ (გამოს. 17,6). კვერთხთან დაკავშირებული სასწაულებიდან ეს ბოლო მომენტია ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმო. მოსეს მიერ კლდეზე კვერთხის ცემა და იქიდან წყლის გამოსვლა ღვთისმეტყველებაში ალეგორიულადაა გაცნობიერებული. მაგალითად, კვერთხი მარიამ ღვთისმშობელადაა დასახული, კლდიდან გამომდინარე წყალი კი - ქრისტედ. ახლა იოანე მინჩხს მოკუსმინოთ: „სასწაულ მოქმელი კუერთხი მოსესი... სახე იყო ძელისა მის ჯუარისა ცხოველისა, რომელმან შეაძრწუნა ეშმაკი და ჯოჯოხეთი“[3]. დაძებნილი გვაქვს მთელი რიგი მაგალითები, რომელთა მიხედვით მაცხოვარი იესეს ძირიდან

---

[1] ძეგლები, I, გვ. 47.
[2] იქვე, გვ. 48.
[3] იოანე მინჩხის პოეზია, გვ. 149.

გამოსული კვერთხია: „კუერთხი იესეს წყალი ცხოველი მოგუცა ღღეს“, „კუერთხი იესეს ძირიდან აღმოგვიცენდი შენ, ქრისტე“[2]. დავით გურამიშვილს აქვს ასეთი სტრიქონი:

„ჩვენ, ცხოვართა, მწყემსის კვერთხო, ძველო ცხოვრებისა ხეო“[3].

ვფიქრობთ, აქ „მწყემსი“ მაძალმყრთია, ხოლო „კვერთხი“ ქრისტე.

ა ლ დ ე. მოსემ ეგვიპტელთა ტყვეობიდან გამოიყვანა ებრაელები. მათ აღიქმულ ქვეყანაში ჩასვლამდე თურმე 40-წლიანი ფათერაკებითა და შიმშილ - წყურვილით აღსავსე „მგზავრობა“ ელოდათ. ერთი ეპიზოდი უნდა დავიმოწმოთ ისრაელთა თავგადასავლიდან. უდაბნოში ხეტიალის დროს მათ („უდაბნოთ სინით“) დაიბანაკეს რაფიდიმს შინა. ხოლო არა იყო წყალი სასუმელად ერისა“ (გამოს. 17,1). ერი „ჭუოდა მოსეს მიმართ“ და მტკიცელ კატეგორიული ტონით სთხოვდა წყალს. თანაც შესჩივიდნენ მას: „რატომ მოგვიყვანე ეგვიპტიდან „მოწყურდა ნუკდა“. ეს ყველაფერი ხდება ქორების („ქორიბის“) მთასთან. უფლის შთაგონებით განსაცდელში ჩავარდნილმა მოსემ სასწაულთმოქმედი კვერთხი დაჰკრა კლდეს („კლდესა ქორებს“), საიდანაც წყლის ნაკადი დაიძრა და ეგი „სუა ერმან“ და უწოდა ადგილსა მას „განცდაა და ღრტვინვაი“ (გამოს. 17,7). ბიბლიიდან მოტანილ პასაჟში მოხსენიებულ კვერთხს, კლდეს, კლდიდან გადმომსკდარ წყალს ალეგორიული ახსნა ეძლევა. „ვამოსვლათა“ წიგნში ყოველგვარი ალეგორიულობის გარეშე პირდაპირ ვეცნობით ებრაელთა გასაჭირს. ისინი უწყლობით იხოცებიან, მაგრამ გადაურჩნენ უბედურებას. მათ მხსნელად მოევლინათ კვერთხი და კლდე, რომელთა წყალობით მოიკლეს წყურვილი. სასულიერო მწერლობაში კვერთხი, კლდე და

---

[1] მიქაელის ჰიმნები, გვ. 129.
[2] ძლისპირნი, გვ. 40.
[3] დ.გურამიშვილი, დაბადება. გვ. 73.

წყალი სიმბოლოდ იქცნენ. კერძოდ, ისინი მოაზრებულ იქნენ ქრისტესა თუ ღვთისმშობლის სიმბოლოდ. მოსემ კვერთხი კლდეს დაჰკრა მამა ღმერთის რჩევით და შეგონებით. ქრისტიანული მოძღვრებით კი მამამ მოავლინა ძე ადამიანთა სახსნელად. კვერთხში, კლდეს თუ წყალში ფარულად გამოკვეთილი ჩანს მესიის ხატება. ამათვალსაზრისით გადავხედოთ ახალი აღთქმის ერთ - ერთ წიგნის ასეთ ფრაზას: „ყოველთა იგივე სასუმელი ჰსუეს, რამეთუ ჰსუმიდეს იგინი სულიერისა მისგან კლდისა, რომელიცა შეუდგა; ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე" (I კორ. 10,4). ე. ი. გაძოდის, რომ ქრისტიანი ავტორის გააზრებით, ქორიბის კლდე და იქიდან გამომჩქეფარე წყალი თურმე სულიერი კლდე და სულიერი სასმელი ყოფილა, ხოლო მათში მაცხოვრის სახეა დანახული. აღსანიშნავია, რომ იესო ქრისტე თავის ერთ-ერთ მოწაფესაც (სვიმონი) კლდეს უწოდებს: „რამეთუ შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი" (მათე, 16,18). ქრისტიანი მკითხველისათვის ბუნდოვანი რომ არ ყოფილიყო აღსაქმელად კორინთელთა წიგნიდან ზემოთ მოტანილი პასაჟი, ქართველი ჰიმნოგრაფი შემდეგ „კომენტარს" უკეთებს მას, უფრო ნათელსა და შევსებულს: „მოსემ კვერთხი დაჰკრა კლდეს და „გამოუტევნა მდინარენი კლდისაგან ხმელის (მშრალი - ტ. მ.) ცემითა კუერთ- ხისაითა... ვითარცა იტყვის პავლე მოციქული, „რამეთუ სუმიდეს იგინი (ისრაელნი - ტ. მ.) სულიერსა მისგან კლდისა, რომელსაცა შეუდგეს, ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე". ან კიდევ: „კლდე იგი სახე ქრისტესი იყო და კუერთხი იგი აჩრდილი ჯუარისაი" („ცხოვრება იოანე ზედაზნელისაი")[1].

ამდენად, მწერლის წარმოსახვით კლდე ქრისტეს ხატი იყო, ხოლო კვერთხი-„აჩრდილი ჯუარისაი". ჰიმნოგრაფიც ასე მიმართავს მესიას: „კლდე იგი იყო სახე შენდა, ქრისტე, რომელსა დაეფუძნა ეკლესია"[2]. ერთ - ეროი ჰიმნის მიხედვით,

---

[1] ძეგლები, I, გვ. 212.
[2] ძლისპირნი, გვ. 107.

მამა ღმერთის შთაგონებითა თუ მითითებით თურმე მოსეს ჯვრითხმა როლი გამოადინა წყალი კლდიდან, არამედ მაცხოვარმა: „კლდე განაპო ქრისტემან და განაძლო ერი იგი წყურიელი“[1]. როგორც ვნახეთ, კლდე (ქორიბის მთის კლდე) იქცა ქრისტიანულ სიმბოლიკად. მას (კლდეს) საგანთა სიმბოლიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. შუა საუკუნეების მხატვრულ აზროვნებაში კლდე სიმტკიცის სიმბოლოდ განსახიერდა.

რა მღვიმარეობაა მოცემული თვალსაზრისით დავით გურამიშვილის სიმბოლიკათა სისტემაში? „დავითიანის“ მკითხველთ კარგად მოეხსენებათ, რომ სასულიერო მწერლობაში დამკვიდრებული მაცხოვრის ძირითადი სიმბოლოები, ეპითეტები, ატრიბუტები მოხმობილი აქვს დავით გურამიშვილს თავის პოეტურ სამყაროში. ეაგრამ აქ კლდე, როგორც ქრისტეს მეტაფორა, არსად დასტურდება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოეტს კლდის სიმბოლო საერთოდ არ გამორჩენია ძველდაბადებიდან, თავის ერთ - ერთ სისტერესო თხზულებაში მას „კლდე“ მარიამ ღვთისმშობლის სახელად მოუცია:

„კვლავ კლდეო, წყლისა მომცემო, ისრაელო ცრემლთა მშრობელო, მასვი მე ძადლით მწყურვალსა, იესოს ქრისტეს მშობელო“[2].

მკითხველი სრულიად მარტივად ერკვევა: „კლდე“ ღვთისმშობელია, რომელმაც მოგვცა „წყალი“, ანუ შვა ქრისტე-ადამიანთა (ისრაელთა) ძხსნელი, მათი „ცრემლის მშრობელი“). დავით გურამიშვილს ღრმააზროვნად ესმის, რომ მესია მარტო ებრაელთა („ისრაელნი“) გალამრჩენელი როდი იყო, არამედ მთელი კაცობრიობისა. ამ შემთხვევაში კი პოეტი მხოლოდ ისრაელთ ახსენებს, რათა მკითხველი მიხვდეს, რომ „გამოსვლათა“ წიგნის ენით ლაპარაკობს - ალეგორიულად „კლდეში“ მარიამს ხედავს., კლდიდან გამომდინარე „წყალში“-ქრისტეს, ხოლო

---

[1] ნეემირეული ძლისპირნი, გვ. 67.
[2] დ.გურამიშვილი, დაკითიანი. გვ. 87.

გამოთქმაში - „ისრაელთ“ - მთელ კაცობრიობას.

კ რ ა ვ ი ღ მ რ თ ი ს ა ი. ჰიმნოგრაფიაში მესიის მეტაფორად ხშირად ფიგურირებს - „კრავი ღმრთისაი“. მისი სათაე ოანეს სახარებაა. ნათლისმცემელმა შენიშნა მომავალი მაცხოვარი და თქვა: „აჰა ტარიგი ღუთისა, რომელმან აღიხუნეს ცოდუანი სოფლისანი“ (ი. 1,29). პოეტი - ჰიმნოგრაფი მოტანილი პასაჟიდან ამოდის და ამბობს: „ქრისტე, კრავი ღმრთისაი, ტარიგი წმინდაი... აღიხუნა სოფლისა ცოდეანი“[1], „ჯუარსა ზედა აპმაღლდი, ვითარცა კრავი, და მძლავრებით ჯოჯოხეთი წარმოსტყუენე“[2]. ერთ- ერთი ჰიმნოგრაფი მარიამ ღვთისმშობელს ასე მიმართავს: „რომელი ნათლისა თუალთ - შეუდგამისა დელად ღირსი იქმენ და გამოუთქმელად ძე და კრავი ღმრთისაი“[3], „იტვირთე კრავი ღმრთისაი აღმხუმელი სოფლისაი“[4]. საკითხთან დაკავშირებით შეუძლებელია არ გავიხსენოთ ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი-„გამოსელათა“. ებრაელები ემზადებიან ეგვიპტელთა ტყვეობიდან თავდასახსნელად. ღვთის შთაგონებით მოსე ებრაელ ხალხს გააცნობს ასეთ დაკალებას. მათ უნდა დაეკლათ ბატკანი, რომლის სისხლი უნდა წაეცხოთ თავიანთი სახლის კარებისათვის. ეს იმისათვის იყო საჭირო, რომ ეგვიპტელთა შვილების შემმუსვრელ ანგელოზს არ დაეხოცა ებრაელებიც. ამას კი იგი გამოიცნობდა სახლის კარებზე წასმული ბატკნის სისხლით. ებრაელები გამოვიდნენ ეგვიპტედან. ღმერთმა შთააგონა ებრაელი ხალხი, რომ ყოველ წელს ზეიმით აღენიშნა ეგვიპტელთა ტყვეობიდან გაქცევის დღე, რომელსაც პასექი ეარქვა. პასექი კი უბედურებიდან თავდახსნას გულისხმობს. როგორც საღვთო სჯულის სწავლებაში შენიშნულია, პასექის კრავი (ბატკანი) მოასწავებდა იესო ქრისტეს“.

---

[1] ქართული პოეზია, I, გვ. 94.
[2] უძველესი იადგარი, გვ. 413.
[3] იქვე.
[4] მიქაელის ჰიმნები, გვ.6.

ლ ე კ ვ ი ლ ო მ ი ს ა. იესო ქრისტე ჰიმნოგრაფიაში ლომის ლეკვადაა შერაცხილი: „ლეკუ ლომისად იწოდე ღმრთისა სიტყუაო მხოლოდშობილო, რომელმან ძლიერებით შემუსრე თავი გუელისა მის"[1], „ღმერთმა, ვითარცა ლეკუმან ლომისმან, განილეიძოს და ვითარცა ლომი იბრდღუენღეს"[2]. (რიცხ. 23,24). ეს სიტყვები კი ძველი აღთქმის ერთ - ერთი წიგნიდან - „რიცხუითა"

ამოვიწერეთ საგანგებოდ, რათა მიგვანიშნებინა მიქაელის ჰიმნების კრებულიდან ზემოთ დამოწმებული სტრიქონების სათავეებზე. „ლეკვი ლომისა" ნიშნავს-მამის ძეს, ე. ი მაცხოვარს.

ლ ო მ ი. სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში „ლომი" ძლიერების, გმირობის, რაინდობის მეტაფორაა. ამ თვალსაზრისით იგი გამოუყენებია „ვეფხისტყაოსნის" ავტორსაც. მკითხველს, ალბათ, გაახსენდა პოემის პროლოგის ასეთი ტაეპი:

„ვის ჰშვენის, - ლომსა, - ხმარება შუბისა, ყარ - შიმშერისა".

ზემოთ შევეხეთ შესიტყვებას - „ლეკვი ლომისა", რომელიც ძე ღმერთის მამიდან წარმოშობილობაზე მიგვითითებდა. ამასთანავე ქრისტე „ლომადაც" იწოდება. ეს სურათს არ ცვლის, რადგან მამას და ძეს დავით გურამიშვილის თქმისა არ იყოს, „სიტყვით აქვს განყოფილობა", თორემ ერთარსება ღმერთად ითქმიან. განსაკუთრებით იოანე მინჩხის პოეზიაში მაცხოვარი წარმოსახულია საფლავში მძინარე ლომად. ქრისტეს, „ვითარცა ლომსა, სძინავს სამარეს"[3], „ვითარცა ლომმან მიიძინა ცხედარსა ზედა მიწისასა"[4]. კიდევ ერთ ნიმუშს მოვიტანთ: „დამბადებელ- მან მლვიძარეთამან ღმერთმან, ვითარცა ლომმან მიყრდნობით მიიძინა ბუნებითა ხორცთაითა საფლავსა შინა"[5].

მ ა რ გ ა ლ ი ტ ი. სასულიერო მწერლობაში „მარგალიტი" ქრისტეს, ღვთისმშობლის და წმ. მამების მეტაფორაა. ამჯერად

---

[1] მიქაელის ჰიმნები, გვ.67
[2] რიცხ. 23,24
[3] იოანე მინჩხის პოეზია, გვ. 283.
[4] იოანე მინჩხის პოეზია, გვ. 193.
[5] იოანე მინჩხის პოეზია, გვ. 294.

გავეცნოთ სასულიერო ხასიათის ნაწარმოებიდან ამოწერილ რამდენიმე ნიმუშს, სადაც „მარგალიტი“ მაცხოვრის სიმბოლოა: „ჰოვე უსასყიდლოი იგი მარგალიტი ქრისტე თუალი ცხოვრებისაი...“[1] ჰიმნოგრაფი მოუწოდებს ადამიანებს ღვთისმშობლის განდიდებისკენ, რომელმაც გვიშვა ქრისტე: „მოვედით, მორწმუნენო, ვადიდებდეთ ქალწულსა, მტვირთველსა მარგალიტისა სამეუფოისა მრავლისა მის სასყიდლისაო“[2]. მარიამი წოდებულია სამეუფო მარგალიტის ჭურად: „ჭურო მარგალიტისა მის სამეუფოსა“[3].

დავით გურამიშვილი „მარგალიტს“ არცთუ იშვიათად იყენებს როგორც ქრისტეს, ასევე ღვთისმშობლის მეტაფორულ სახელად. მაცხოვარს ერთგან პოეტი ასე ეუბნება:

„საყვარელო, სახით თქმულო, უსასყიდლო მარგალიტო“[4].

პოეტი მზად არის მუდამ ქრისტეს ერთგულებისთვის. მას სხვა რეალზე იგი არასოდეს არ გასცვლის:

„რაგინდ მე ასრე გავგიჟდე, თავი ვახალო ტინზედა,
მხეცნი, ფრინველნი ვასერო (ეკავსშმო-ტ.მ.) ჩემსა ხორცსა და ტვინზედა ეგ მარგალიტი თალლითზე, ოქრო გაეცვალო სინზედა...“[5]

როგორც ზემოთ გაკვრით ვთქვით, მაცხოვართან ერთად „მარგალიტი“ წმ. მამების სიმბოლური სახელიცაა. ამით ხაზგასმულია ის, რომ ეს ღმერთშემოსილი მამები თავიანთი სულიერი ღვაწლითა და მოქმედებით უახლოვდებიან ღვთიურ ბუნებას: „შენ (მიემართება ბასილი დიდს - ტ. მ.) მარგალიტო მრავალსასყიდლისაო, შუენიერო, სასწაულთა მოქმედო“...[6] კიდევ ერთ საგულისხმო ნიმუშს ამოვიწერთ: „პატიოსანი ესე

---

[1] მიქაელის ჰიმნები, გვ. 260.
[2] ნეემიერეული ძლისპირნი, გვ. 591.
[3] ძლისპირნი, გვ. 148.
[4] დ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 73.
[5] იქვე, გვ. 75.
[6] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 202.

ლარნაკი შეაქმზადა (გიორგიმ - ტ. მ.) საუნჯედ შემწყნარბელად მზისა უბრწყინვალესთა და მარგალიტისა... ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ეფთვიმისთა"[1].

მ ა რ ი ლ ი. მარილიც ქრისტეს სიმბოლური სახელია. ამის შესახებ იოანე საბანისძე მოგვახსენებს: მაცხოვარს „მარილ ეწოდა, რამეთუ ცოდვითა განრყვნილთა ამათ ხორცთა ჩუენთა მოგვეახლა და სიმყრალეი იგი კერპთმსახურებისაი განგვაშორა და სულნი ჩუენნი სარწმუნოებათა ღმერთისმსახურებისაითა სულნელად შეზავნა"[2].

მ ა რ ც ვ ა ლ ი. ჰიმნოგრაფი ბეთლემს უკვდავების პურის სახელად სახავს, სადაც აღმოცენდა მარცვალი ქრისტეს სახით: „სახლად პურისა მის უკვდავების გამოჩნდი ბეთლემ, რაჟამს მას შინა აღმოცენდა ღღეს მარცუალი იგი ცხოველს მყოფელი ქრისტე"[3]. ახლა კი „ჰაბოს მარტვილობაში" ჩავიხედოთ: ქრისტეს „მარცვალ მდოგვის ეწოდა, რამეთუ დაიკნინებს თავსა თვისსა და მოგვემსგავსების ჰასაკსა ჩუენსა, რაითა ურნატსა სულისა ჩუენისასა დაენერგოს და ღრმად ძირნი ღაიბნეს და რტოთა მათ ზედა ჯვარისა მისისათა შეგვიკრიბნეს და აღმაღლდეს და ჩუენ აღგვამაღლნეს"[4].

მ ა ტ ლ ი. იოანე საბანისძე ამ სიმბოლოს ვრცელ კომენტარს გვაძლევს: მესიას „მატლ ეწოდა, რამეთუ თქვა: „მატლ ვარ და არა კაც" გამობრწყინვებითა ღმრთეებისაითა, ვითარცა სამჭედური მატლსა შინა, ეგრეთ ხორცთა შინა თვისთა დაფარა ღმრთეებაი იგი თვისი და უფსკრულთა ამის სოფლისაითა შთააგდო და აღმოიქვა, ვითარცა კეთილმან მეთევზურმან, რომლისათვისაცა იტყვის: „შეიპყრა ვეშაპი იგი საჭედურითა და

---

[1] ძეგლები, II, გვ. 131.

[2] ძეგლები, I, გვ. 47.

[3] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ.75-76. შდრ. ძველი მეტაფრასული კრებულები, გვ. 110.

[4] ძეგლები, I. გვ. 48.

განულო დანდალი ყმასა მისსა და ხარტუკი ცხვირსა მისსა". ესე იგი არს ეშმაკი, რომელი შეიპყრა და შემუსრნა მარქანებაი მისნი, რომლისათვის წამების მეფსალმუნე დაეთ: „შენ შეაშმუსრე თავები ვეშაპისაი მის"[1].

მ დ ი ნ ა რ ე. წყალი, წყარო, მდინარე მაცხოვრის მეტაფორული სახელებია სასულიერო მწერლობაში. ამყამად მდინარის სიმბოლიკაზე შეგნერდებით. უკვდავების მდინარის (ქრისტეს) აღმომცენებელი და მომნიჭებელია ღვთისმშობელი. სწორედ მისგან „მივიღეთ მდინარეი უკვდავებისაი, რომლისგან აღეთვსენით წყურიელნი ძაღლისაგან"[2]. „რომელი წყაროისა მდინარისაგან აღმოგეცენდა ,ეურნებაი პირველთა ბრალთა ჩუენთაი"[3]. იოანე ოქროპირს ჰიმნოგრაფი სიბრძნის მდინარეს უწოდებს, რომელიც ცისკიდეთა რწყავს სწავლითა მისითა: „სიბრძნისა მდინარეო რომელი მორწყავ ცისკიდეთა სწავლითა შენითა"[4].

მ ე ო რ ე ა დ ა მ ი. ზემოთ შეეხეთ ქრისტიანულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ შესიტყვების - „ახალი ადამი", რაც ქრისტეს მეტაფორული სახელია. ამავე მნიშვნელობით გამოუყენებიათ ჩვენს წინაპრებს „მეორე ადამი". შენიშნულია, რომ ძველ ქართულში „ახალი" სხვა აზრსაც გამოხატავდა - „მეორე". ზ.გამსახურდიას მიხედვით „ახალი" ძველ ქართულში ნიშნავს რიგით პირველსაც[5]. პირველცოდვილი, დაძველებული ადამის მხსნელად, განმაახლებლად დედამიწას მოევლინა ღმერთკაცი - მეორე ადამი - ქრისტეს სახით: „ხორცნი ადამეანნი მიიხუენ, მხსნელო, და ხორცითა გამოშჩნდი მეორეი ადამ

---

[1] ქებანები, I, გვ. 48.
[2] ძილისპირნი, გვ. 174.
[3] მიქაელის ჰიმნები, გვ. 386.
[4] იქვე, გვ. 256,260.
[5] ზ.გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ., 1990, გვ. 51

განახლებად ჯოჯოხეთისა ურწმუნოთ დაძუელებულისა“. ე.ი. „მეორე ადამი“ არის მხსნელი, უცოდველი, ღვთიურ ბუნებასთან ერთად ადამიანური ბუნების მატარებელი - მაცხოვარი, რომელმაც ჯოჯოხეთისგან გაანთავისუფლა ცოდვილნი.

მ ე ხ ი. საინტერესოა „მეხის“ სულხან საბა ორბელიანისეული განმარტება: „რა ფრიალი სიხშო ნისლისა დადგების ქუეყანასა ზედა, ალიდებს მტუერთა ილეკროთაგან. ესენი ყოველნივე ოთხთა კავშირისაგან არიან და ნისლთა მათ შინა მოკრებიან და ერთად შეგუამდებიან და განფიცხლებიან; რა ჰაერი ველარ იტჳირთავს, განსქდების და ჩამოიჭრების, მხისაგან ესეთი სიმხურვალე აქუს, რასაც ეცემა ცეცხლისაგან უმეტეს შესწუავს“[2].

დავით გურამიშვილი სხვა აურაცხელ ატრიბუტთან ერთად მაცხოვრის სახელად „მეხსაც“ იყენებს:

„მეხო, ქუხილის ისარო, მტერთ გულზე დასარჭობელო“[3].

სიტყვაში „მტერთა“, ცხადია, იგულისხმებიან ბოროტი ძალები, ეშმაკნი, ურჯულონი, წარმართნი.

მ ზ ე თ ა მ ზ ე. „დავითიანში“ მზეთამზე კონკრეტულად მამაღმერთის სიმბოლოა:

„სახით იგივად (ე. ი. ალეგორიულად - ტ. მ.) სათქმელად მამა მზეთა - მზედ ითქოსა“[4].

დავაკვირდეთ დავით გურამიშვილის ზოგიერთი თხზულების საიაურსაც: „მზეთა - მზის ვედრება დავითისაგან“[5], „მზეთა - მზის შესხმა და ჭეშმარიტის გზის თხოვნა დავითისაგან“[6]. ცნება „მზეთამზე“ შემოშავებული ჩანს სასულიერო მწერლობაში

---

[1] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ.239, შდრ. მიქაელის პიმნები, გვ. 52,70.
[2] სულხან-საბა ორბელიანი, ხიტყვის კონა, გვ. 206.
[3] დ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 206.
[4] დ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 75.
[5] იქვე. გვ. 76.
[6] იქვე. გვ. 78.

დამკვიდრებული მეთოდის საფუძველზე, როგორიცაა: „ღმერთსა ღმერთსასა“, „ღმერთი ღმერთთა“, „უფალი უფლებათა“, „უფალსა უფალთასა“. ამის გაცნობიერების საშუალებას თვითონ პოეტი გვაწვდის:

„ღმერთთა ღმერთობით, მზეთა - მზედ მაძას ვსახ თქმად
ხასმინადა“[1].

მეცნიერთა (ს. ცალიშვილი, შ. ძიძიგურის) კონცეფციით, ღმერთის სიმბოლოდ მზეთამზე სასულიერო ხასიათის ჰიმნებში პირველად დავით გურამიშვილის პოეზიაში ჩანს თავს. „ქართლის ჭირის“ ავტორის ამოსავალ პუნქტად ხალხური პოეზია გამოიყურება[2].

„დავითიანში“ მზეთამზე ღვთაების სიმბოლოა, საერთ ძეგლებში (სიტყვაკაზმული მწერლობა, საისტორიო პროზა და ა. შ.) კი იგი ქალის გარეგნობის ან შინაგანი ბუნების გამომხატველია. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით „მზეთამზე“ თამარ მეფის მეტაფორაა: „შესატკეცისი ქმრისა.ა პირ მზისა, ტან - ლომისა, თვით მზე - მზეთა შუენებითა და მოფენაობითაცა“[3]. საერთოდ, ქართული ენაში „მზეთამზე“ სინონიმია „ლამაზისა“[4]. დასახელებულ საისტორიო ძეგლში თამარზე ნათქვამი „მზე - მზეთა“ გულისხმობს ლამაზი მანდილოსნების მეფეს, ულამაზეს ასულებზე უფრო მშვენიერს. „ვეფხისტყაოსანშიც“ ფიგურირებს „მზეთამზე“:

„მაკოცეს, ადგეს ორნივე, თვით იგი (ფარსადანი და ანი მეულლე - ტ. მ.) მზენი მზეთანი.“

ან კიდევ „მას ავთანდილ თაყვანისცა - ლიმია ლიმანს მზეთა მზესა“.

---

[1] დ. გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 7[illegible]

[2] ს. ცალიშვილი, მარადიული სახეები, თბ., 1981, გვ. 120. შ. ძიძიგური, დავით გურამიშვილის ენა, თბ., 1980, გვ. 93

[3] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ანგარიშები, რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941, გვ. 71.

[4] ალბაგელი, ქართული სინონიმთა ლექსიკონი, გვ. 223

არჩილის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ - ვკითხულობთ:

„მიპბაძა რუსთან ევასა, განვარდა სამოთხისაგან,
შესცოდა მზესა მზეთასა სიტყვითა სად - ოთხისაგან“[1].

ვფიქრობთ, აქ „მზესა მზეთასა“ სიმბოლოა როგორც უზენაესი არსებისა, ისე თამარ დედოფლისა. ამ თვალსაზრისით უთუოდ ყურადღებას იქცევს ონანა ქობულაშვილის ანბანთქება:

„ეს ახლა ითქმის შესხმანი, ვაქებდე მზესა მსესათასა“[2]. აქ „მზესა მზესათა“ ღვთაების სიმბოლოა, რაც შესაძლოა დ. გურამიშვილის ერთ - ერთ მთავარ ლიტერატურულ წყაროდ ვიგულვოთ.

„მზეთამზის“ სიმბოლიკა გალაკტიონსაც აქვს გამოყენებული, მაგრამ იგი დაცლილია სასულიერო შინაარსისაგან. XX ს. განუმეორებელი შემოქმედი შოთა რუსთაველს „მზეთამზედ“ სახავს: „მზეთა მზეო შოთა“[3]

მ ზ ე. საქმეში ნახსენებულ მკითხველს ნათლად მოეხსენება, რომ ქრისტიანულ ლიტერატურაში „მზე“ ქრისტეს ყველაზე პოპულარული და გავრცელებული სახელია. ამიტომ შემთხვევით არ ამტკიცებენ (ნემოევსკი), რომ ქრისტე არისო იგივე მზე - ღვთაება. სასულიერო და საერო სიტყვაკაზმულ მწერლობაში მზის მხატვრული ფუნქცია განსხვავებულია.

მზე ბიბლიაში ქრისტეს და ანგელოზის სახელია. ბიბლიის ტრადიცია გავრცელებულია სასულიერო მწერლობაში, განსაკუთრებით ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში. „განკურნენ უკვე ან მზემან, ოდეს არს ღმერთი შენი“[4]. არეოპაგიტიკაში ვკითხულობთ: „ვითარმედ ღმერთი არს მზე და ვითარცა დაბა-

---

[1] ქართული პოეზია, III, გვ. 354.

[2] ლ.ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში (XVIII ს.), თბ.,1958, გვ.210.

[3] შდრ. ლ.სორდია, გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, გვ.143.

[4] იოვანე იერუსალიმის ცხოვრება, გვ. 117.

ღებელი ამის ყოველისაი"[1]. „ნუკუნეი უცნაური იგი ღმერთი ზეცათაი მოიტოვა ანუ მ'ბისა ღმერთად წოდებასა დახუდა"[2].

ქრისტესთან ერთად მისი მშობელიც მზედაა დასახული:

„შენ, ღვთისმშობელო, კაცთათვის მანათობელი მზე ჩარა".

ეს სიტყვები თეიმურაზ პირველს ეკუთვნის. მიქაელის ჰიმნებიდან ერთ ფრაზას ამოვიწერთ: „ვითარცა მზეი ალმაღლდა და მთოვარე ღადგა წესსა თვისსა ქალწული ქალწულებისაეე თვისსა"[3]. პოეტი-ჰიმნოგრაფი მაცხოვრის საფლავიდან ამოსვლას ლრუბლიდან მ'ბის[4], გამოჩენას ადარებს: „ვითარცა-რაი მზე ლრუბელთაგან სიჩრდღისა მისგან საფლაესა გამოვიდა მაცხოვარი ჩუენი"[4].

მაცხოვართან, ღვთისმშობელთან ერთად ანგელოსებიც მზედ ასახლებიან: „რაჟამს წარსდგა გაბრიელ წინაშე მარიამისა, ნათობდა, ვითარცა მ'ზე და შეძრწუნდა დედოფალი"[5]. წმ. მამებიც თავიანთი დიდი დამსახურებისა და ღვაწლის გამო მ'ზესთან არიან გათანაბრებული ი.ე შემსგავსებულნი: „ვითარ მზე, დიდ ბასილი, მნათი კესარიისა" (ქ.ცხ.II, გვ. 15). იოანე „სასწაულთა მრავალთა აღსრულებითა გამობრწყინდა, ვითარცა მზე („ცხოვრება იოანე ზელაზნელისა"), „მწყემსსა ქართველთასა სანატრელსა დავითს, რომელმან, ვითარ მზემან, უკუნსა წყუდიადსა შინა მსჩდომარე ერი ქართველთა განანათლა („ცხოვრება დავით გარეჯელისა"), „უქმსა უღამოსა ვითარცა მზეი გამოშინდი" (მიემართება მამა ევთიმის - ტ. მ.). ნათელღე-ბული ადამიანები მზის ნათებას ეღარებიან: „მზეებრ ნათობენ ნათელღებულნი ადამეანნი"[6]. დავით გურამიშვილი ლიტერატურული ტრადიციების მიდევნებით ღმერთს, მაცხოვარს „მზეთამ-ზესთან" ერთად

---

[1] პეტრე იბერიელი, შრომები, გვ. 34.
[2] ძეგლები, III, გვ. ა.
[3] მიქაელის ჰიმნები, გვ. 36.
[4] იოანე მინჩხის პოეზია, გვ. 196.
[5] ნეკმირებული ძლისპირნი, გვ. 387.
[6] ქართული პოეზია, I, გვ. 102.

ხშირად „მზითაც“ იხსენიებს: „მოგვფინა მზეცდა ღვთის სიტყვა ძე და (114). მაქმადიანურ გარემოცვაში მყოფი პოეტი მწარეც განიცდის ქრისტესთან დაშორებას: „მზეს ღრუბლის გაძო ვერ ვხედავ, ან ბურმან დანისა დარი“ (14).

მ ზ ე ს ი მ ა რ თ ლ ი ს ა. ღმერთი არის ჭეშმარიტება, სიწრფოება, სიმართლე, სისწორე, ღვთის მეტაფორა რადგან მზეა აქედან წარმოსდგა მესიის სახელიც - „მზე სიმართლისა“. ამ ატრიბუტით იხსენიება იგი ქრისტიანული კულტურის ძეგლთა ტექსტებში, რომელთაგან მხოლოდ ორითოდე მაგალითს დავასახელებთ: „მნათობი ნათელი შეუხებელი ქრისტე, მზე სიმართლისაო“[1]. არსული ხოტბას ასხამს რა მაცხოვარს ეუბნება:

„შენ მზეო სიმართლისაო, აროდეს არ-დასულისა“.

ის სამეუფეო კარავი, სადაც ამობრწყინდა მზე სიმართლისა, არის მარიამ ღვთისმშობელი. ამიტომ გახდა იგი ქების უბრწყინვალესი ობიექტი სასულიერო მწერლობაში, განსაკუთრებით კი-ჰიმნოგრაფიაში: „კარვად სამეუფოდ გამოშენდი, ღვთისმშობელო, რამეთუ შენგან გამობრწყინდა სიმართლისა მზე“[2].

მ ზ ი ა ნ ი დ ღ ე. დავით გურამიშვილს აქვს ასეთი სტრიქონები:

„ვით ღამე ბნელსა მზიანი მოჰბმია დღე ნათლიერი,
ეგრეთ აბრამის ყვავილი, დავითზე ნაყოფიერი“.

ამ შედარება - ეპითეტის ახსნა - განმარტება ასეთ სურათს გვაძლევს: „ღამე ბნელი“ შამალმერთზე მიგვანიშნებს. მამაზეციერი ბნელი ღამეა იმდენად, რამდენადაც მოკვდავთათვის ფიზიკური თვალით მიუწვდომელია. უხილავია, შეუცნობელია, „მზიანი დღე“ ქრისტეს პიროვნების წარმომჩენია, რომელიც „დავითიანში“ დავით წინასწარმეტყველზე უფრო ნაყოფიერ ყვავილად („აბრამის ყვავილად“) გამოიყურება. „მოჰბმია“ ნიშნავს

---

[1] ქართული პოეზია, I, გვ. 82.
[2] უძველესი იადგარი, გვ. 414.

იმას, რომ ძე მამის თანაარსია. მარიამ ღვთისმშობელი, დავით გურამიშვილის ენით, ჯვარცმულ შვილს ეუბნება:

„ღღე ღამილამღი მზიანი, მით მომიეიდა ზიანი"[1].

როგორც ზემოთაც ვისაუბრეთ, „ღღე" ღვთის სახელია. „მზიანი ღღე" ნაწარმოებია „მზიანი ღამის" ანალოგით. „მზიანი ღღე" რადგან მაცხოვრის სახელდებადაა, ამღენად იგი არ არის ფიზიკური ღღე, ღრუბლისაგან, ავდრისგან განტვირთული, არამედ ის ღღეა, რომელიც ფიზიკური სინათლის, ციურ მნათობთა გაჩენამდე არსებობდა. ერთი სიტყვით, ის არის სულიერი ღღე, რომელსაც ამკობს ეპითეტი - „მზიანი".

მ ზ ი ა ნ ი ღ ა მ ე. დავით გურამიშვილი თავის ერთ - ერთ ლექსში („ამიკანად იგავი...") წერს:

„ვორემდის განახლდებოდა ძველი ღღე - ღამე მზიანი,
ოქვლი კალოზედ ყარა, განურჩეველი, ბზიანი"[2].

შესიტყვება „მზიანი ღამე" პირველად „ვეფხისტყაოსანში" დასტურდება, რომელიც სამწიგნიერო ლიტერატურაში საფუძვლიანადაა შესწავლილი. მკვლევართა ერთ ნაწილს რუსთაველის „მზიანი ღამე" საერთოდ უზენაესი არსების სიმბოლიკად მიაჩნია. ზოგიერთი მეცნიერი კი მტკიცედ ასაბუთებს, რომ „მზიანი ღამე" კონკრეტულად მაცხოვრის მეტაფორაა.

„დავითიანის" „მზიან ღამეს" ერთ - ერთმა პირველთაგანმა ს. ცაიშვილმა მიაქცია ყურადღება, რომლის თანახმად, ამ შესიტყვებაში ქრისტიანული ღმერთია ნაგულისხმები. ამთავითვე ვიტყვი, რომ „ძველი ღღე" მამაღმერთის სახელია, „ღამე მზიანი" კი - ძე ღმერთისა[3]. ამა'ხე მეტყველებს ისიც, რომ დავით გურამიშვილმა „ღამე მზიანი" „ძველი ღღის" გვერდით

---

[1] დ.გურამიშვილი, გვ. 140.
[2] იქვე. გვ. 57
[3] ამ საკითხის მტკიცებას მიუძღვნით ვრცელი ნარკვევი, რომელიც შეტანილია წიგნში „დავითიანის" ლიტერატურული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები, თბ., 1989.

მოიხსენია.

დაისმის კითხვა: „მზიანი ღამე“, რომელიც პირველად „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება, რუსთაველისაგან პირველქმნილი ხატია, თუ მას გარკვეული წყაროები ასაზრდოებდა? იგი სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია მსჯელობის საგნად იქცა. საკითხით დაინტერესებული მკვლევარნი რუსთაველის წყაროდ მიიჩნევენ ძველ საეკლესიო მწერლობას, განსაკუთრებით ჰიმნოგრაფიას, ან კიდევ ნეოპლატონურ ფილოსოფიას. ს. ცაიშვილი შენიშნავს, რომ დანტეს „საძოთხის“ 28-ე ქება, სადაც ლაპარაკია ღვთიურ წერტილზე (პირველი რკალი), რომელიც მზერას უხმობს ადამიანს ბრწყინვალეებისაგან, აშკარად ნეოპლატონური თეოგონიის გამოძახილია, სრულიად შესაძლებელია, რომ ამ სახის (მზიანი ღამე - ტ. მ.) სიმბოლო ქართულ საეკლესიო მწერლობაში და, კერძოდ, ჰიმნოგრაფიაში, არსებულიყო საერთოდ, სასულიერო და საერო მწერლობაში ეს ფიგურალურ - ხატოვანი გამოთქმა არსად შეინიშნება გარდა „ვეფხისტყაოსნის“, „დავითიანის“ და პეტრე ლარაძის პოეზიაში, მაგრამ ჰიმნოგრაფიულ ტექსტებში შეინიშნება ისეთი გამოთქმები, რომლებიც უსათუოდ უნდა ყოფილიყვნენ რუსთაველის ფანტაზიისათვის იმპულსის მიმცემნი. ამ უწყვეტულო ხატის შესაქმნელად. ამ თვალსაზრისით რუსთაველის უპირველეს წყაროდ პეტრე იბერიელის „არეოპაგიტიკას“ ასახელებენ.

როგორც ზემოთაც გაკვრით შევნიშნეთ, საერთოდ, „ვეფხისტყაოსანის“ „მზიანი ღამის“ შესაძლო წყაროებზე მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული. ამ შეხედულებათა ფიქსირებაც კი შორს წაგვიყვანდა. ამ მიმართულებით ჩვენ ჩავატარეთ გარკვეული სამუშაო, რომლის შედეგის ერთი ნაწილის ჩვენება, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის. სათანადო ნიმუშების დასახელებამდე საჭიროდ მიგვაჩნია იმის შენიშვნა, რომ „მზიანი ღამის“ შინაარსის მომცველი გამოთქმები, რომელსაც შეეძლო

რუსთაველისათვის გადამწყვეტი ბიძგი მიეცა საანალიზო სახის შესათხზველად, უპირველესად ეროვნულ წყაროებში (თეოლოგიური, ფილოსოფიური, მხატვრული) უნდა ვეძიოთ, ეს კი ყველაზე გამართლებულ გზად გვეჩვენება.

ქვემოთ დავიმოწმებთ სათანადო საილუსტრაციო მასალებს, რომლებშიც უთუოდ „მზიანი ღამის" ამრდილი დღის: „ხოლო ღმერთი უძღოდა მათ დღისა უკუე სუეტისა ღრუბლისასა ჩუენებად მათდა გზასა, ხოლო ღამე - სუეტითა ცეცხლისასა" (გამოს. 14,7), „ხოლო სახე დიდებისა უფლისაო ვითარცა ცეცხლი მოტყინარე თხემსა ზედა მთისასა წინაშე ძელთა ისრაელისათა" (გამოს. 24,17), „რამეთუ ღრუბელი უფლისაი იყო კარავსა მას ზედა დღისი და ცეცხლი იყო მას ზედა ღამე წინაშე ყოველისა სახლისა ისრაელისა" (გამო. 40,36); „ღამე იგი დღედ დაცღეე, ნათელი ახლოს არს პირსა წინაშე ბნელისასა" (იობ. 17,12), „განჰმარტა ღრუბელი საკრილად მათდა და ცეცხლი მნათობად მათდა ღამე" (ფს. 104,39), „გამოუბრწყინდა ბნელსა შინა ნათელი წრფელთა, მოწყალე და შემწყნარებელ და მართალ" (ფს. 111,4); „რამეთუ ბნელი შენ მიერ არა დაბნელდეს, და ღამე, ვითარცა დღე, განათლდეს, ვითარცა ბნელი მისი, ეგრეცა ნათელი მისი" (ფს. 138,12). ეფიქრობთ, საკითხით დაინტერესებულ მკითხველს არ მობეზრდება საჭირო საილუსტრაციო ნიმუშების ამოწერას თუ განეაგრძობთ, იმდენად დიდია „მზიანი ღამის" მნიშვნელობა ქართულ სახისმეტყველებაში: „ბნელსა შინა იხილე ნათელი დიდი" (წინ. ეს. 9,2), „მაშინ აღმობრწყინდეს ბნელსა შინა ნათელი შენი და, ბნელი შენი, ვითარცა შუადღე" (წინ. ეს. 58,10), „ამან (ნინო - ტ. მ.) წმინდამან აღანთო გულსა ჩემსა სანთელი ნათლისა შუკა ღამეს ოდენ მეჩუენა მე მზე ბრწყინვალე, ქრისტე ღმერთი ჩვენი"[1], „ნათელი ბრწყინვალენი ღამე ყოველ, ვითარცა ლამპარნი აღნთენებულნი"[2], „უკუეთუ მოგცეს შენ მაღალმან

---

[1] ძეგლები, გვ. 158.
[2] იქვე, გვ. 183.

ცხორებაი. იხილო შემდგომად სამი დღისა ამბოხებაი, და მეექსეულ გაძობრწყინდეს მზე ღამესა და მთიელარე ღელვესა"[1].

ზემოთ დამოწმებული ციტატები, როგორც მკითხველმა დაინახა, აღებულია ბიბლიური ტექსტებიდან, ჰაგიოგრაფიული და აპოკრიფული თხზულებებიდან. ამგვარად გვსურს თვალი გადაგაყოლოთ ჰიმნოგრაფიულ საშყაროს, თუ რა ნიმუშების წარმოჩენაა შესაძლებელი იქიდან, რომ „კიდევ ერთხელ გაეხვა ხაზი „მზიანი ღამის" შესაძლო წყაროების პოპულარობას, საერთოდ, სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

„თუალთაგან გონებისა ნემისათა მოსძარცუე ბნელი უმეცრებისაი, ნათელო დაუსაბამო ქრისტე"[2], „ქრისტე თვით მნათობი დაულაჟებელი ადამის განანათლებელი, ბნელისა ძალსა დამხსნელი, ადამიანთა მხსნელი"[3], „მზე სიმართლისა... აღმობრწყინდა დღეს საფლავისაგან განაქარვა ბნელი"[4], „ცხოვრებისათვის ადამის ნათესავისა შეცთომილი, მრავალ მოწყალე მოჰხუელ. ქუეყანელად და განაქარვე მთავრობაი ბნელისაი, ხოლო განათლდეს ბნელისა მყოფნი ნათლისა უხილავისა ბრწყინვალებითა"[5], „ნათელი რა გამოუჩნდა სოფელსა წარუვალი და ღამე ღელვა მოგუეახლა ჩვენ"[6], „საღმრთონი მცხინვარებანი ელვიღეს საუნჯესა წყუდიადისათა"[7], „ალიცესეს საღმრთო სინათლისა ელვითა ბნელისა საუნჯენი, რაუამს შთაჰხედ ქრისტე ნათელი უსხეულოი, განჰკუეოდ ძალი წყუდიადისა და მის მიერ დაშჯილთა სულთა აღმოუწოდე ნათლად ღმრთეებისა შენისა"[8], „ესე რა შობად ქალწული მიუღგეს

---

[1] ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, I, გამოსცა ც.ქურციკიძემ, თბ., 1970. გვ. 340.
[2] ბიქაელის ჰიმნები, გვ. 125.
[3] იქვე. გვ. 440.
[4] ძველ-ქართული სახელიერო პოეზია, გვ. 325.
[5] იქვე. გვ. 19.
[6] ნეკმირებული ძილისპირნი, გვ. 203.
[7] ძველ-ქართული სახელიერო პოეზია, გვ. 311.
[8] იქვე. გვ. 324.

- თქვა: ლამპრეტ მნათობო ღამისა"[1], „ბნელისა განსქარვებად მზე მოვალს"[2].

შეიძლება დავასკვნათ: როგორც შოთა რუსთაველის, ასევე დაკით გურამიშვილის პოეტურ სამყაროში „მზიანი ღამე" გააზრებულია ქრისტეს სიმბოლოდ, სოლო ორივე დიდი შემოქმედის მასაზრდოებელი წყარო, როგორც ჩანს, სახელიერო მწერლობა იყო. ეს განსაკუთრებით დაკით გურამიშვილზე ითქმის, რადგან მასთან „მზიანი ღამე" რუსთაველისაგან განსხვავებით, შეიძლება ითქვას, ჰიმნოგრაფიულ კონტექსტშია მოაზრებული, კერძოდ, ძველ დღესთან, ბნელ ღამესთან მიმართებაში.

აღსანიშნავია, რომ „მზიანი ღამის" სიმბოლიკა XX საუკუნის ქართული პოეზიის ცაზეც გაკრთა. გალაკტიონი იტყვის: „ის დღეები დაიკარგა, ღამე - რაღაც მზიანი, ისევ ისე დაიქარგა ქალაქის ყრუ ზიანი („ტფილისი ღამით"). ლ. სორდია თვლის, რომ აქ „მზიანი ღამე" პოეზიის სიმბოლოა. გალაკტიონის ღამის მზეს არავითარი კავშირი არა აქვს მითოლოგიური ღამის მზესთან. იგი „სხივთან", „შუქთან" ერთად გამოცხადებაა, მაგრამ არა ლმერთის, არამედ შთაგონების[3]. ჩვენ კი ირიქით მიგვაჩნია გალაკტიონი დიდი მცოდნე იყო ქართული სასულიერო მწერლობისა (რომ არაფერი ვთქვათ საერო ლიტერატურაზე) და კარგადაც ჰქონდა გაცნობიერებული „მზიანი ღამის" არსაც. დიდ შემოქმედს „მზიანი ღამე" სწორედ უფლის, კერძოდ, მაცხოვრის მეტაფორულ სახელად უნდა ჰქონდეს გაშინაგანებული. გალაკტიონის ხემოთ დამოწმებულ სტრიქონებში ფორავს მწარე ხელა კომუნისტური აბსურდული, სასტიკი რეჟიმის მიერ ქრისტიანული რელიგიის, მაცხოვრის პიროვნების არსის

---

[1] ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლები, გამოსცა ი.ლოლაშვილმა, ობ., 1978, გვ. 432.

[2] იქვე, გვ. 211.

[3] ლ.სორდია, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრიზმ ემური საკითხები, გვ. 146.

ლევნისა. მისტერიის პოეტი იმ წარსულ დღეებს (რომლებიც ახლა დაკარგულან), როდესაც მორწმუნენი ეთაყვანებოდნენ ღმეროს, განადიდებდნენ მაცხოვარს, ასევე გალაკტიონს ეკუთვნის გამოთქმა - „მზიური ლამე" („მზიური ღამის ქარი").

მ ზ ი ა ნ ი. ჩ რ დ ი ლ ი. გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ მხატვრულ ლიტერატურაში „მზიანი ღამის" ანალოგით არსებობს ფრაზეოლოგიური ერთეული „მზიანი ჩრდილი", თუმცა მას ქრისტეს სიმბოლიკის გამოხატულებასთან საერთო არაფერი არ უნდა ჰქონდეს. „მზიანი ჩრდილის" ეტიუტიკა „ვეფხისტყაოსანში" ღასტურდება პირველად:

„ქედსა რაძე გაღაადგა, ველი ანდა მზიან - ჩრდილი".

ილია და გალაკტიონიც მიმართავენ რუსთაველის წაბაძვით ამ ფრთიან გამოთქმას: „საკვირველი ვარ ჩემს მზიან ჩრდილში„ (ილია), „ამ ხეივანის მუხა და ფიჭვი მე მიფარავდნენ მზიურ ჩრდილებით", ან „ადექ, „და დადუმდა ათასი მოა, მომლოდინე მზიან ჩრდილის" (გალაკტიონი)[1].

მ ზ ი ს თ ვ ა ლ ი. ზემოთაც გავკვრით შევეხეთ სიტყვა „თვალის" სინონიმებს. გავიხსენოთ კიდევ ერთხელ: „თვალი" ადამიანის სხეულის ნაწილია, ძვირფასი ქვის სინონიმია, „ბორბლის" გამომხატველიცაა და „წყლის სათავესაც" ნიშნავს თუ არ ვცდებით ამ მხატვრული სახის წონის მქონე სიტყვას („მზისთვალი") პირველად ძველი აღთქმის ერთ - ერთ წიგნში (III ეზრა) ვეცნობით: „ლიდ არს ქუეყანა, მაღალი არიან ცანი, მაღელ რბის მზის თვალი... " (III ეზ. 4,34). ამ შემთხვევაში „მზისთვალი ნიშნავს უფუოდ „მზის ბორბალს". უნდა აღინიშნოს, რომ საეკლესიო მწერლობაში საკმაოდ არის გავრცელებული „მზისთვალი" ქრისტეს სიმბოლოდ: „გარდამოხდა ანგელოზი ზეცით, ლოდი გარდააგორვა და გამოვიდა უფალი საფლავით, უბრწყინვალე მზისთუალისაი"[2], „გიხაროდნენ მზისთუალო

---

[1] ალრ. ლ.სირდიას დასახელებული ნაშრომი. გვ.146-147.
[2] უძველესი იადგარი. გვ. 137.

ყოველად ბრწყინვალეო"[1], რამეთუ მზისთუალი ცოცა შინა არს და ნათელი მისი ქუეყანასა ზედა მოფენილ არს"[2]. მარიამ ღვთისმშობელი მზისთვალის ლრუბლადაა მოხსენებული: „ლრუბელი ხარ მზის - თუალისაო მის, ქალწულო"[3]. მესიის ლექსი მზისთვალის (აქ უკვე ფიზიკური მზისთვალისა, ჩვენი ფიქრით) უბრწყინვალესადაა დასახული ჰიმნოგრაფიაში: „ღმრთისმშობელო, მზისა თუალისა უბრწყინვალეს ლაუცხრომელად გალობენთ შენ"[4].

„მზისთვალი" არა მხოლოდ სიმბოლოდ, არამედ ჩვეულებრივი შედარების საგნადაცაა ქცეული. წყალში ჩაყრილი მოწამეთა გვამის ნათება მზისთვალის ბრწყინვალებასთანაა შემსგავსებული: „იხილნეს წმინდანი იგი გუამნი მოწამეთანი ბეჭთა ზედა წყალთასა, რომელნი ნათობდეს ვითარცა მზის - თუალნი". ბასილი დიდის სიტყვა მზისთვალის ბრწყინვალებაზე ძაღლაა დაყენებული: „სიტყვაი შენი უზეშთაეს მზისთუალისა გაბრწყინდა".

მ ზ ი ს შ ა რ ა ვ ა ნ დ ე დ ი. შარავანდედი შუა საუკუნეების ქრისტიანული კულტურის ძეგლებში იშვიათად, მაგრამ მაინც მოგვეპოვება ღვთისმშობლის სახელად, ასევე მაცხოვრის ხატად. დავით გურამიშვილს აქვს ასეთი სტრიქონი:

„სიხარბით ნათლად ვერა ცნა შარავანდედი მზე ცხლისა"[5].

ან კიდევ:

„ნათელო შარავანდედო საცნაურისა მზისაო".

დამოწმებულ სტრიქონთაგან პირველში „მზე ცხელი" მამალმერთის სიმბოლოა, ხოლო „შარავანდედი" - მაცხოვრისა. მზის შარავანდედი - ე. ი. მაძის ძე, მისი თანაარსი მეორე ტაეპში კი „შარავანდელი" მარიამ ღვთისმშობლის პიროვნებაზე

---

[1] ნეკერეტელი ძლისპირნი, გვ. 281.
[2] შატბერდის კრებული, გვ. 313.
[3] ძლისპირნი, გვ 11. შდრ. ნეკერეტელი ძლისპირნი, გვ. 273
[4] მიქაელის ჰიმნები, გვ. 43.
[5] დ.გურამიშვილი, ლაეთიანი, გვ.39.

მიგვანიშნებს.

მ თ ვ ა რ ე. მზესთან შედარებით მთვარე ძალზე ეფემერულად არის გამოყენებული სიტყვაკაზმულ მწყურლობაში ღვთის, შესის, ან წმ. მარიამის მეტაფორად. ლეთისმშობელზე უძველეს ადგარში ნათქვამია: „მთოვარე დაადგა წმინდისა ზედა ღვთისა ქალწული უბიწოთ“[1]. დავით გურამიშვილი მაძაზეკიერს მზესთან ერთად მთვარის ნათებასაც ადარებს:

„მზეე მზისა მაძზეკებელო,
მე შენსას ვერის ვზარობა,
მიუწოლიმელო ნათელო,
სად პირად მოკარობ, სად მზობა“[2]

ბ ო ი ე ბ ი. ამ ცნების შესახებ სულხან - საბა ორბელიანი გვეუბნება შემდეგს: „მთიები ესე არს აფროდიტი (ხაზგასმა დიდ ლექსიკოგრაფს ეკუთვნის - ტ. მ.), რომელ არს ცისკრის ვარსკვლავი. მთიები ითქმის განმანათლებლად. მთიები რომელი წერილ არს მთავარი ეშმაკთა და აწ წმინდათათვის არსნახელი იგი და ადგილი მისი ზეცისა სასუფეველსა“. დ. ჩუბინაშვილის თანახმად, მთიებად იწოდებიან აგრეთვე მოძღვარნი ეკლესიისანი“[3].

ამრიგად, მთიები იგივე მნათობია, მაგრამ ის არ არის ფიზიკური, არამედ სულიერი მნათობია და აქედან განსახოვნდა ქრისტეს სახელად ჰიმნოგრაფი წმ. მარიამს მოკრძალებით ეთაყვანება: „რომელმან ჰშვა მთიები მზისა უბრწყინვალესი“[5] ამ ფრაზაში „მთიები“ სულიერი მნათობია, ხოლო „მზე“ („მზისა უბრწყინვალესი“) ფიზიკური მზეა. ე. ი. ავტორი ხალხურ მზეზე უფრო მეტი ბრწყინვალების მქონედ სახავს მაცხოვარს და ეს გასაგებია, ვინაიდან ფიზიკურ მნათობთა შემოქმედი თავად

---

[1] უძველესი ადგარი, გვ. 439.
[2] ლ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 74.
[3] სულ ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ. 203.
[4] ძველქართული-ქართულ-რუსული ლექსიკონი, გვ. 721.
[5] ნეტარებული ძლისაური, გვ. 243.

ქრისტეა. ან კიდევ: „ღრუბელი ნათლისაი ხარი შენ, ქალწულო მარიამ, რომელმან შეე ძე, უწინარესი მთიებისაი"[1]. აქ იმაზეა მინიშნებული, რომ წმ. მარიამმა ღაბადა და კაცობრიობას მოუკლინა მხსნელი პირველადი (უპირველესი) მნათობი მესიის სახით. ახლა კი კვლავ ღ. გურამიშვილის სიტყვები გავიხსენოთ:

„განთიადისა ვარსკვლავო, მის ბზეთა - მზისა მთიებო".

„მზეთა - მზის მთიები" აიხსნება როგორც მამის ძე ანუ მამა ღმერთის მემკვიდრე და თანაარსი ძე ღმერთი (ქრისტე). პოეტი მარიამ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ერთ ერცელ ლექსში უბიწო ქალწულს „მთიების დედად" წარმოსახავს:

„მის მთიებისა დედობით ბნელ ქვეყნის მანათობელო,
შენ განმინათლე გონება, იესოს ქრისტეს მშობელო".

სასულიერო მწერლობაში „მთიები" გამოყენებულია შედარების საგნად, მაგრამ ეს მთიები უკვე ფიზიკური მნათობია და არა სულიერი. წმ. მამები თავიანთი ღვაწლისა და საქმიანობის გამო მნათობთა ბრწყინვალებასთან არიან შედარებულნი: „რომელი - იგი (ილარიონ თუალოელი - ტ. მ.) მას ჟამსა ვითარცა მთიები ბრწყინავდა კრებულსა შორის მამათასა" („გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება")[2]. ქრისტეს დიდებული მოწამე გიორგი „ვითარცა მთიები, მდიდარი ბრწყინვალებითა ვარსკლუავთა შორის, გამოჩნდა ყოვლად ბრწყინვალე იგი და საჩინო მნათობი, უძველესი მხედარი მეუფისა ღიდისაი" („ნინოს ცხოვრების" არსენი ბერისეული რედაქცია)[3]. წმ. მოწამეთა - დავითისა და კონსტანტინეს წყალში ჩაყრილი გვამები შედარებულია განთიადის ვარსკვლავთან: „გუამი იგი წმინდათა მოწამეთანი (დავით და კონსტანტინესი - ტ. მ.) ბრწყინვიდეს წყალთა მათ შინა, ვითარცა მთიებნი განთიადისანი"[4].

---

[1] უძველესი იადგარი, გვ. 472.
[2] ძეგლები II, გვ. 156.
[3] ძეგლები III, გვ. 11.
[4] იქვე, გვ. 261.

მთის ლოდი გამოძრობილი. ძველი ალთქმის ერთ-ერთ წიგნში-„წინასწარმეტყველება დანიელისა“ ვკითხულობთ: „ჰხედევდ, ვიდრე არა გამოეკუეთა ლოდი მთისაგან თვინიერ ხელთასა...“ (წ. დან. 2,34). ეს ფრაზა მარიამ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ჰიმნოგრაფიულ ძეგლებში ასეა „კომენტირებული“: „დანიელ ჰრეველ გიხილა მთად გამოუკუეთელად, რომელისაგანცა ლოდი თვინიერად ხელისა გამოეკუეთე ქრისტე“[1]. ის, რაც „დანიელის წინასწარმეტყველებაში“ დაფარული და საიდუმლო იყო, ჰიმნოგრაფმა მკითხველისათვის მარტივად გასაგები გახადა: „მთა“ წმ. მარიამის სიმბოლოა, ალეგორიაა, ხოლო მისგან გამოკვეთილი ლოდი - მაცხოვრისა. ე. ი. განდა ქრისტეს კიდევ ერთი მეტაფორა - „ლოდი“. ამ სახისადმი ინტერესის გაზრდის მიზნით რამდენიმე საილუსტრაციო მასალას ამოვიწერთ სასულიერო პოეზიიდან: „მთისაგან სამოოიხედა ლოდი სარწმუნოებისაი გამოისახე ქალწულისაგან უქცეველად შობითა, ქრისტე ღმერთო“[2], „ლოდი მთისაგან იშვა, ქრისტე ღმერთი ქალწულისაგან“[3], აჰა, ესერა გამოეკუეთა მთისაგან ყოვლად წმინდისა ქალწულისა უბიწოისა ლოდი მტერთაი დაბრკოლებისაი ქრისტე საიდუმლოდ“[4], „ლოდი საკიდურო უხელოდ გამოეკუეთა შესგან მთაო, გამოუკუეთელო ქალწულო“[5].

სპეციალურად გავიხსენოთ, რომ ქრისტეს მეტაფორად „ლოდი“ სასულიერო პოეზიაში ახალი აღთქმიდან შემოდის. პეტრე ასე მიმართავს ერის მთავრებს და ისრაელ ხალხს: „ესე არს ლოდი (იგულისხმება ქრისტე - ტ. მ.), რომელიცა შეურაცხ იქმნა თქუენ მიერ მაშენებელთა, რომელი იქმნა თავსაკიდურთა და არავინ არს სხვით ცხოვრება“ (საქ. მოც. 4,11).

ტრადიციის კვალობაზე ღვთით გურამიშვილი ქრისტეს და

---

[1] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 72.
[2] ჭილ-ეტრატის იადგარი, გვ. 101.
[3] მიქაელის ჰიმნები, გვ. 55.
[4] იქვე, გვ. 116.
[5] ბლისპირნი, გვ. 16.

ღვთისმშობლის მეტაფორად იყენებს „მთასა“ და „ლოდს“:

„ვით მამათ - მამის შერდულო, მთავ, ლოდის გამამტყორცნელო... “

„ჩვენად ხსნად, შენად საქებრად მის მთით მის ლოდის მძრობელო... “

„გამოუოქმელად ნათქვამი, მთით ლოდო გამოკვეთილო“[1].

მ კ ვ ი დ რ ი მ ი ვ ნ ურ ი. ქრისტეს სახელად „მკვიდრი მივნური“ „დავითიანის“ გარდა არსად შეგვხვედრია. პოეტი ერთმანეთის უპირისპირებს რა ორ რელიგიას - ქრისტიანობას და ისლამს, ბრეკელს „მკვიდრ მივნურად“, ვარდის კონად ნათლავს, მეორეს კი - წუთიერ საყვარლად, ანძალად, დ. გურამიშვილი კიცხავს ქრისტეს რჯულის უარმყოფელთ და ისლამთან ზიარების მომხრეთ, ან გამუსლიმებულთ:

„მკვიდრს მივნურს ზურგსა შეაქცევს,
წუთს გულზე დაიკონებსა,
ვარდის კონასა დაფუშავს,
ანძალას დაიკონებსა“[2].

ან კიდევ:

„შეშინდენ, ტრფიალთ გაექცნენ, შეჰკადრეს უარობაო,
წუთს მოყვარესა დამოყვრდნენ, მკვიდრსა დაუწყეს მტრობაო“.

მ ნ ა თ ო ბ ი. საეროდ, სასულიერო მწერლობის ასტრალური სიმბოლიკა მონოგრაფიული კვლევის საგანს შეადგენს. როგორც უკვე დავინახეთ, მზეთამზე, მზე, ვარსკვლავი, მთვარე თავიანთი შესაფერისი ატრიბუტებითურთ მაცხოვრის, ღვთისმშობლის, სამების, წმ. მამების სიმბოლიკა - ალეგორიას წარმოადგენენ. ეს გასაგებიცაა იმიტომ, რომ ქრისტიანული რელიგია სინათლის რელიგიაა. ქრისტემ დაამხო ბნელეთი და ადამიანები აზიარა სინათლეს. ჰიმნოგრაფები ქრისტეს სახელად არცთუ იშვიათად „მნათობს“ ხმარობენ (ჩვენ ამ შემთხვევაში ხაზს ვუსვამთ ოღონ

---

[1] დ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ.8[illegible]
[2] დ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 36.

ცნების - „მნათობი“, თორემ მზე, ვარსკვლავები განა მნათობნი არ არიან?). ასე რომ, ქრისტეს მეტაფორად „მნათობის“ ხმარებაში თავისთავად იგულისხმება მზე - ქრისტე, მთვარე - ქრისტე, ვარსკვლავი - ქრისტე, მთიები - ქრისტე, შარავანდედი - ქრისტე, ნათელი - ქრისტე და ა. შ. „ქრისტე თვით მნათობი დაულამპ�pe-ლი, ადამიანის განმანათლებელი ბნელისა ძალსა დამხსნელი, ადამენთა მხსნელი“[1]. ქრისტეს პარალელურად წმ მამებიც მნათობად იწოდებიან: „აბიბოს მეგობარი იყო ბრწყინვალისა მის მნათობისა სვიმეონ მესუეტისა ანტიოქელისაი („აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა“)[2], „რაჟამს ბრწყინვალე იგი მნათობი ნათესავისა ჩუენისაი დიდი ეფთვიმე აღმოგვიბრწყინდა ნათლად და სიჩარულად... “) („გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“)[3].

მ ტ რ ე დ ი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, ძველად ხელოვნებაში მტრედი სიყვარულსა და მეგობრობის სიმბოლოდ გვევლინება. იგი წარმართებთანაც მშვიდობის სიმბოლო იყო[4]. დავით გურამიშვილი ლექსავს რა ბიბლიური წარღვნის ლეგენდას, საგანგებო ადგილს უთმობს ამ ეპიზოდს, სადაც გადმოცემულია წარღვნის დაცხრომისას ნოეს მიერ კიდობნიდან მტრედის გამოშვება და ამ უკანასკნელის კვლავ უკან დაბრუნება ზეთისხილის რტოთი: „და აქუნდა ზეთისხილისა ფურცელი რტოითა პირსა შინა მისსა“ (დაბ. 8,11). ეს იყო ნიშანი იმისა, რომ „მოაკლდა წყალი ქუეყანისგან“, სიცოცხლე და სიმწვანე დაბრუნდა თუ აღორძინდა დედამიწაზე და კიდობნის მკვიდრთაც დატოვეს იგი, მიაშურეს ამწვანებულ ხმელეთს. დავით გურამიშვილი იმიტომ მიაქცევს ამ ეპიზოდს სპეციალურ ყურადღებას, რომ მასში ხიბლავს მტრედი და რტო ზეთისხილისა, როგორც გაზაფხულის, მშვიდობის, სიცოცხლის

---

[1] მიქაელის ჰიმნები, გვ. 440.
[2] ძეგლები I, გვ. 242.
[3] ძეგლები II, გვ. 108.
[4] რაბინოვიჩ ნარკვევები ძველი ალიზის ისტორიიდან, გვ. 192.

მაუწყებლის სიმბოლო: „ტრედი გაფრინდა, განხდა, ნაპირად, შტო ზეთისხილთა მიიცა პირად“.

„ურჯულოს ქვეყანას“ დატყვევებული პოეტი მტრედის ხატებას მოუხმობს:

„მტანჯავენ, სიმეო, აწ ვით დაგთმო, ვით უმანკოვ ტრედო - გვრიტო?“[1]

აქ მტრედი ჩვეულებრივი, პირდაპირი მნიშვნელობითი კი არ გაიაზრება, არამედ იგი სახე - სიმბოლოდაა ქცეული, კერძოდ, მაცხოვრის სიმბოლოდ.

„მტრედი“ უმანკოების სიმბოლოდ პირველად (თუ არ ვცდებით) მათეს სახარებაში გვეელინება. მაცხოვარი თავის მოწაფეებს ეუბნება: „მოგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვარია შორის მგელია, იყუენ... უმანკო, ვითარცა ტრედნი“ (მათე, 10,16). ძველი და ახალი ალთქმის წიგნებთან შედარებით სასულიერო ძეგლებში მტრედის მხატვრული ფუნქციის არეალი გავრცობილი ჩანს. „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ მტრედი შიოს გადამრჩენელია, რომელიც მას „დღითიდღე უბოძებდა საზრდელსა“[2]. ჰიმნოგრაფი ნოესთვის ზეთისხილის რტოს მომტან მტრედში მაცხოვრის სახეს ხედავს. ეს უაღრესად საგულისხმო მომენტია: „წყლით რღუნასა ცოდვისასა ან გუახარებს დაცხრობასა სულისა იგი მტრედი, რამეთუ მადლისა რტოი უტევრთავს და განვიყოფს ყოველთავე უხრწნელებასა მაღლით“[3].

მათეს სახარების მიხედვით, მდინარე იორდანეში ნათელღებულმა ქრისტემ „იხილა სული ღუთისა, გარდამომავალი, ვითარცა ტრედი“ (მათე, 3,16-17).ამასვე იმეორებს პოეტი - ჰიმნოგრაფიც: „სული წმინდაი სახედ ტრედისა იხილვა გარდამოსრული“[4]. „სინურ მრავალთავში“ მარიამ ღვთისმშობელი

---

[1] ლ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 73.

[2] ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1953, გვ. 96.

[3] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 221

[4] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 223.

შედარებულია მტრედის უმანკოებასთან: „რომელი წმინდისა და ტრედისა მარიამისაგან იშვა“[1]. „გიხაროდენ, მარიამ... წმინდაო... ტრედო უმანკო“[2]. სხვათა შორის, „შესაქმის“ პირველ სტრიქონშივე მოცემულ გამოთქმაში „სული ღმერთისა იქცეოდა ზედა წყალთა“, ჯონ მილტონს „სული“ მტრედის ფრთებად წარმოსახვია: „მაგრამ წყალზე კი, დამშვიდებულ ლიკლიკვა წყალზე გადაეშალა სულს მტრედივით თავისი ფრთები“[3]. როგორც მარიებულად შენიშნავს ზ. გამსახურდია, რელიგიასა და ლეგენდისმეტყველებაში სულიწმინდის საყოველთა-ოდ ცნობილი სიმბოლოა მტრედი. იგი ამ თვალსაზრისით გამოუყენებია „თამარიანის“ ავტორსაც. თამარი შედარებულია მტრედთან („ვინა მტრედია... “)., რაც იწვევს სულისწმინდის ასოციაციას“[4].

მ წ ყ ე მ ს ი. სწორად შენიშნა რ.ბარამიძემ, რომ მწყემსის სიმბოლოს ძველი ალეგორიის ტექსტებში იპოვის დაინტერესებული პირი[5]. „ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში“ უფალმა ადამიანები ცხვრად („ცხოვარნი“) მოინათლა, ხოლო მათ მწყემსად შერაცხა დავითი: „აღვადგინო მათ ზედა მწყემსი ერთი, რომელი ჰმწყსიდეს მათ“ („ცხოვართა“ - ტ. მ.), „მონაი ჩემი დავითი; მან მწყსნეს იგინი, და მან განუსუენოს მათ და იყოს იგი მწყემს“ (ეზეკ. 34,23). ცხვარი რომ ადამიანია სიმბოლოდ წარმოადგინა უფალმა, აქაზე მისავე „კომენტარი“ მიგვანიშნებს: „ცხოვარნი ჩემნი და ცხოვარნი საძოვრისა ჩემისანი, - კაცნი ხართ“ (ეზეკ. 34, 31). იოანეს სახარებაში მაცხოვრის ენით ნათქვამია: „მე ვარ მწყემსი კეთილი“ (ი. 10,11). ე. ი. ქრისტე თავის თავს მწყემსს

---

[1] სინური მრავალთავი, გვ. 46.

[2] სინური მრავალთავი, გვ. 203.

[3] ჯონ მილტონი. დაკარგული სამოთხე, სამსონი, თბ., 1978, გვ. 206.

[4] ზ.გამსახურდია, ევროპისტყოფისანიბ ხახისმეტყველება, თბ., 1991, გვ 139.

[5] რ.ბარამიძე, ნარკვევები ძველქრისტიანული პრიზის ისტორიიდან, გვ. 194.

უწოდებს. აქედან დამკვიდრდა სასულიერო მწერლობაში „მწყემსი“ ქრისტეს მეტაფორად.

ახალ აღთქმაში არა მარტო ქრისტე, არამედ მღვდელიც მწყემსად იწოდა: „და მან მოპბცნა... რომელნიმე მწყემსნი და მოძღუარნი“ (ეფეს. 4,11). სასულიერო პროზასა და პოეზიაში მწყემსის სიმბოლიკის ზღვა მასალა იპოვება. მხოლოდ ერთ საინტერესო ნიმუშს ამოვიწერო, რომელსაც თაეის დროზე რ.ბარამიძემ მიაქცია ყურადღება[1]. გრიგოლ ხანძთელი ეძებს თაეის მოწაფეებს: „და რაეამს ცნა ნეტარმან გრიგოლ წარსელაი თევდორესი და ქრისტეფორესი... წარვიდა ძიებად კრავთა მათ რჩეულთა მწყემსი იგი კეთილი“[2]. ამდენად, გიორგი მერჩულეს მიხედვით, გრიგოლ ხანძთელი მწყემსია, ხოლო მისი მოწაფენი - „რჩეულნი კრავნი“.

„დავითიანში“ ქრისტეს მეტაფორად „მწყემსი“ ძრავალგზის დასტურდება. პოეტი ზოგჯერ „მწყემსის“ ნაცვლად მაცხოვარს „მეცხვარედ“ იხსენიებს:

„იესო მწყემსო კეთილო, კაცთა მეცხორეო“.

დავით გურამიშვილი მარიამ ღვთისმშობელს მიმართავს როგორც მწყემსის დედას: „ტარიგის და მწყემსის დედავ“.

ნ ა თ ე ლ ი. საღვთისმეტყველო ლიტერატურაში უზენაესი არსების ერთ ერთ ყველაზე გავრცელებული სახელია „ნათელი“. მაგრამ ეს არ არის ფიზიკური ნათელი, არამედ ბიბლიური კოსმოგონიის მეოთხე დღემდე არსებული ნათელია. ხილული ნათელი სწორედ იმ უხილავი, ღვთიური, სულიერი ნათელის წყალობით შეიქმნა. ახალი აღთქმის წიგნებში ქრისტეს უპირველესი სახელი არის ნათელი. იოანეს სახარებაში ქრისტეს ენით ნათქვამია: „მე ნათელი სოფლად მოვიელინე, რათა ყოველსა, რომელსაც ჰრწმენეს ჩემი, ბნელსა შინა არა

---

[1] რ.ბარამიძე. ნარკვევები ძველი ქართული პროზის ისტორიიდან, ტ.2. 194.

[2] ძეგლები I, გვ. 267.

დაადვრეს“ (ი. 12,46). ბნელში ჰყოფთ (ე. ი. წარმართებს) დიდი ნათელი ამოუბრწყინლათ „ერი, რომელი ჰსხლა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი“ (მათე, 4,16) „ნათელი (ე. ი. მაცხოვარი - ტ. მ.) მოვიდა სოფლად“ (ი. 1,9).

ძ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ერთ - ერთი ფილოსოფიური სკოლა (სეითიანები, ჰეროლომეოსი) ამბობდა: ზეციური მამა პირველადი ნათელია, მისი არსება - მუდმივი, აბსოლუტური ნათელია[1]. მეცნიერმა სამართლიანად შენიშნა: „ქართველებს გაქრისტიანების აღმნიშვნელად სხვა ტერმინი არ მიელიათ, თუ არა ნათლება, ნათლისღება, მონათვლა“[2]. ქრისტე მორწმუნეთ შთააგონებს, რომ ის სოფლის ნათელია და მისი აღმსარებელი წყვდიადის ტყვე არასოდეს გახდება. ჰიმნოგრაფიც აღტაცებას ვერ ფარავს მესიის გამოცხადებათ სოფლად: „ნათელი მოვიდა, ქრისტე სოფლად“[3]. დავით გურამიშვილი აღნიშნული ტრადიციების საფუძველზე მაცხოვარს ზოგჯერ „ნათლის“ სახელით მიმართავს:

„დიდება შენდა ნათელო, ერთო, საბ - სახეო“[4].

ღვთისმშობელი ჯვარცმულ ძეს დასტირის:

„ეგრეთ შენ მე ბნელს, ნათელო, აწ ვით მიშრტები მთებარე“[5].

ნ ა თ ე ლ ი დ ა უ შ რ ე ტ ე ლ ი. როგორც მკითხველმა იცის, ზემოთ გექონდა საუბარი ღაუბადებელ, დაუსაბამო, დაუღამებელ, თვალშეუდგამ ნათელზე. გარდა ამისა, სასულიერო მწერლობაში ნათლის საკმაოდ ბევრი ატრიბუტი მოგვეპოვება: დაუშრეტელი, მიუაჩრდილებელი, უსხეულო, შეუხებელი, მიუწვდომელი, შეუქმნელი, შეუცავი, ჭეშმარიტი, სამარადისო, წარუვალი, მიუთხრობელი, მოუკლებელი და ა. შ.

---

[1] კეკელიძე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.II, თბ., 1981. გვ. 192.

[2] იქვე

[3] უძველესი იადგარი, გვ. 422.

[4] ლ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 81.

[5] ლ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 42.

ქრისტე ისეთი ნათელია, რომელსაც დაშრეტა, ჩაქრობა, დაბნელება არ უწერია. ამისათვის მადლობა ეკუთვნის ღვთისმშობელს, რომელმაც გამოუბრწყინა ადამიანებს ასეთი ნათელი: „რამეთუ გამოგვიბრწყინე ჩუენ ნათელი დაუშრეტელი"[1]. ამასთან დაკავშირებით რაიმე წინააღმდეგობის შემცველი ხომ არ არის „დავითიანში" ჯვარცმულ შვილზე გოდებისას წმ. მარიამის მიერ თქმული სიტყვები:

„მზეკ, წარუალი ნათელი
დამიშრტი, ვითა სანთელი"[2].

ამ შემთხვევაში უფლის დედა მოსთქვამს მისი ძის ფიზიკურ აღსასრულზე და არა სულიერ სიკვდილზე. საკუთარი ფიზიკური სიცოცხლის დაშრეტის ნიადაგზე გამოისყიდა მაცხოვარმა ადამისა და ევას თუ მათ შთამომავალთა ცოდვები.

ნ ა თ ე ლ ი მ ი უ ა ჩ რ დ ი ლ ე ბ ე ლ ი. ქრისტე მარადიული ნათელია, რომელსაც ჩრდილი არასოდეს არ მიადგება. ე. ი. მაცხოვარი ჩრდილმოუდგომელი ანუ ძველი ქართული სიტყვით რომ ვთქვათ - მიუაჩრდილებელი ნათელია. ცოდვილი ადამიანი მუდამ ეეედრება ღმერთს, რათა მისთვის მარადიული ნათელი მიეშუქებინა, ცოდვისგან განეწმინდა, სასუფეველის გზისთვის გაეყენებინა. ღმერთიც სიკეთეს ჰპირდებოდა ცოდვილთ, თუ ისინი მონანიებით ზნეობრივი განწმენდისათვის იზრუნებდნ: „ძრავალ-მოწყალეო ღმერთო, ნათლითა მით მიუაჩრდილებელითა განგუანათლენ"[3], „ცისკარი აღმოგვიბრწყინდა საღმრთოისა ნათლისა და აჩრდილი იგი შჯულისა განქარდა, რომელ ნათელ არს ქრისტე მიუაჩრდილებელი"[4]. ღვაწლმოსილი ადამიანები ხორცთაგან განსვლის შემდეგ თავიანთი სულიერი აქლადიებით მიდიოდნენ

---

[1]ნეემირებული ძლისპირნი, გვ. 635.
[2]დ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 140.
[3]ნეემირებული ძლისპირნი, გვ. 561.
[4]ბიქელის ჰიმნები, გვ. 79.

ღვთის წინაშე: „ხოლო იგი (გარდაცვლილი ეფთვიმე - ტ. მ.) წარვიდა წინაშე ღმერთისა ნათელსა მას მიუანრდილებელსა“[1].

ნ ა თ ე ლ ი მ ი უ თ ხ რ ო ბ ე ლ ი. ღვთის აპოფატიკური სახელია „გამოუთქმელი“, რომელიც ძველ ქართულ ენაში „მიუთხრობელი“ სიტყვითაც გამოიხატება. ასე რომ, შესიტყვება „გამოუთქმელი ნათელი“ და „მიუთხრობელი ნათელი“ ერთი და იგივე შინაარსის შემცველია და მაცხოვრის მეტაფორულ სახელს გულისხმობს. შიომ „იხილა ქუაბსა მას შინა ოვისსა ნათელი მიუთხრობელი“[2].

ნ ა თ ე ლ ი მ ი უ წ ვ დ ო მ ე ლ ი. ჰიმოგრაფიაში ქრისტე ხშირად იხსენიება როგორც „მიუწვდომელი ნათელი“: „ნათელსა მას მიუწვდომელსა“[3], „ცხოვრებაი სოფლისაი, მიზეზი კეთილთაი, ნათელი მიუწდომელი, სულთა ჩუენთა განმანათლებელი“[4]. დავით გურამიშვილიც ქრისტეზე იტყვის: „მიუწდომელო ნათელო, გრძელო, ძველო დღეო“.

ნ ა თ ე ლ ი მ ო უ კ ლ ებ ე ლ ი. „მოუკლებელი“ ნიშნავს არდაკლებულს, შეუნელებელს, განუწყვეტელს. ქრისტე ისეთი ნათელია, რომლის ელვა ებას ვერაფერი შეწყვეტს, შეანელებს: „მოუკლებელმან ნათელმან, უკდავმან მოკუდავთათვის თავს იდვა აღსელაი ხორცითა ჯუარსა ზედა“[5].

ნ ა თ ე ლ ი ს ა მ ა რ ა დ ი ს ო. ღმერთი იმიტომაა მარადიული ნათელი, რომ ის არ შობილა და არც არასოდეს ჩაქრება, იქნება სამარადისო ნათება: „დაუსაბამოი ღმერთი, ნათელი სამარადისოი მოჰუედ მაცხოვრად სოფლისა“.

ნ ა თ ე ლ ი ს ა მ წ უ ხ ა რ ო ი. აქ სიტყვა „სამწუხარომ მწუხარების ასოციაცია არ უნდა გამოიწვიოს. იგი უსაბოლოდ წარმოებულია სიტყვიდან „მწუხრი“ (შელამება). ამ შესიტყვებას

---

[1] ძეგლები II, გვ. 91.
[2] ძეგლები III, გვ. 128.
[3] მიქაელის ჰიმნები, გვ. 153.
[4] ნუმარებული ფლისტორინი, გვ. 531.
[5] უძველესი იადგარი, გვ. 412.

მხოლოდ და მხოლოდ იოანე მინჩხის პოეზიაში შეეხედით:

„დალაცათუ ნათელი მზისაი
ღაბნელდა ქუეყანასა ზედა -
ჯუარცმასა ღმრთისა სიტყვისასა,
არამედ ბნელი წყუდიადისაი განათლდა, ...
რამეთუ მუნ შთახდა
სამწუხაროდ იგი ნათელი
და ნათელ - სცა ქუესკნელისაია"[1].

ე. ი. პოეტი - ჰიმნოგრაფის მიხედვით, ქრისტე ჯვარცმით ქვესკნელში ანუ ჯოჯოხეთში ჩავიდა როგორც წყვდიადის, ღამის („სამწუხაროი") განმანათლებელი („ნათელი") არსება.

ნ ა თ ე ლ ი უ ს ხ ე უ ლ ო. „მიქაელის ჰიმნებში" ფიგურირებს მაცხოვრის სახელად „უსხეულო ნათელი": „თეითმნათობი ნათელი უსხეულოი ხარ ქრისტე"[2]. ამით ხაზგასმულია, რომ ქრისტე ფიზიკური, ნივთიერი ნათელი კი არ არის, არამედ დროსა და სივრცის მიღმა არსებული უნივთო, უხილავი ნათელი.

ნ ა ე ლ ი შ ე უ ხ ე ბ ე ლ ი. „მიქაელის ჰიმნებში" ვკითხულობთ ქრისტეს შესახებ: „თეითმნათობი ნათელი შეუხებელი პირველი მთიებისა მზე სიმართლისა ხატი და ბრწყინვალება უხილავისა მამისა". ამით ჰიმნოგრაფი მიგვანიშნებს ღმერთზე როგორც ხელშეუხებელ, მიუწდომელ, მიუკარებელ ნათელზე.

ნ ა თ ე ლ ი შ ე უ ქ მ ნ ე ლ ი. ღმერთს ვინაიდან დასაბამი, დასაწყისი არა აქვს, დროსა და სივრცის მიღმა არსებულია, ამდენად, იგი შეუქმნელია, დაუბადებელი. ჰიმნოგრაფი ერთგან ასე მიმართავს მარიამ ღვთისმშობელს: „ნათელი შეუქმნელი საღმრთოი იტვირთე, ღრუბელო სულმცირეო"[3].

ნ ა თ ე ლ ი შ ე უ ც ა ვ ი. ზემოთ შეეხეთ ნათლის

---

[1] იოანე მინჩხის პოეზია, გვ. 281.
[2] მიქაელის ჰიმნები, გვ. 151. იხ. აგრეთვე გვ. 125,151
[3] ნეტარებული ძლისპირნი, გვ. 399.

(ღ მერთის) აჩრიბუტებს, რომელთა შორის აღნიშნავთ- „მიუწვდომელი ნათელიც". ძველ ქართულ ენაში „მიუწვდომლის" სინონიმია - „შეუცავი". ასე რომ, ჰიმნოგრაფებს გამოუყენებიათ ეს სიტყვაც და ქრისტეს „შეუცავ ნათელს" ეძახიან. ქრისტე „შეუცავი ნათელი შეგიცავ ბნელმან კაცობრიეითა ბუნებითა ხორცთაითა"[1]. „ბუნება ჩემი მიიღე და მით იგნე შეუცავი ნათელი შემიცავ..."[2] ცნება „შეუცავი" (ოღონდ ქრისტეს სახელად არა) „გრიგოლ ხანთელის ცხოვრებაშიც" გვხვდება: „ხოლო ქებაი იგი შესხმისაი, ჟამისა მის ბრძენთა მაცერ შეუცავი, ფრიად სთნა კურაპალატსა".

ნ ა თ ე ლ ი წ ა რ უ ვ ა ლ ი. მაცხოვარი რადგან დაუსაბამო, დაუბადებელი, შეუქმნელი ნათელია, ამღენად იგი წარუვალიც არის: „გამოგეიბრწყინდა ჩუენ ნათელი წარუვალი ზეცისა ნათლისაი ჭეშმარიტი - ქრისტე ღმერთი ჩუენი"[3]. „დავითიანშიც" ვკითხულობთ:

ძზეე, წარსუალი ნათელი
დამიშრტი, ვითა სანთელი"[4].

ნ ა თ ე ლ ი ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი. ძესია ჭეშმარიტი, სწორედ მართალი ნათელია: „იხილეს დღეს ნათელი ჭეშმარიტი ნათლისაგან უჟამოისა, ნათლისღებითა შენითა, ქრისტე"[5].

ნ ა თ ე ლ ი ჯ ო ჯ ო ხ ე თ ი ს ა. ღმერთმა ჯვარცმის შემდეგ ჯოჯოხეთში ინება ჩასვლა, რათა მისი ცეცხლი დაეშრიტა, ცოდვილთათვის, წამებულთათვის აღდგომის საშუალება მიეცა, ნათელი შეეტანა მათთვის, გაენათებინა ჯოჯოხეთი. ე. ი. მოესპო იგი, მკვდარმა ძვლები ხორცით შეემოსა და ნათელში გაეყვანა: „ჯუარსა ზედა ივნო ჩუენთვის... ცხოვრებაი ჯოჯოხეთისა ნათელი".

---

[1] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 13.
[2] იქვე, გვ. 53.
[3] უძველესი იადგარი, გვ. 427.
[4] ღ.გურამიშვილი. დავითიანი, გვ. 140.
[5] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 206.

ქართული ქრისტიანული მწერლობიდან ნათელთან დაკავშირებული ნიმუშების ვრცლად გაცნობა მკითხველს შეუძლია ე. ნოზაძის საინტერესო წიგნში-„ეკეკლესიასტეოსნის“ ღმრთისმეტყველება“[1].

ერთ-ერთ ჰიმნში ქრისტეს ქალწულისაგან შობა წარმოსახულია როგორც ნათლისაგან ლოდის გამოკვეთა: „წმინდათა უწმინდესი ნათლისაგან გამოკუეთა ლოდი საკიდური ესე არს სახოი ხსნისაი და მიზეზი საუკუნეთა კეთილთაი, დედაი ცათა მეუფისაი“[2]. ე. ი. ისევე როგორც მაცხოვარი, მისი დედაც „ნათელია“.

ნ ა თ ლ ი ს ძ ე. მამა ღმერთი, მარიამ ღვთისმშობელი „ნათელია“, ხოლო ვინაიდან მაცი სულიერი და ფიზიკური მემკვიდრეა ქრისტე, იგი იწოდა „ნათლის ძედ“, ანუ მამის თანაარსად. იოანეს სახარების თანახმად, ქრისტეს მორწმუნენი და მიმდევარნი „ნათლის ძენი“ გახდებიან: „ვიდრე ნათელი გაქუს (ვიდრე ქრისტიანი ხარ - ტ. შ.), გრწმენინ ნათელი (გწამდეს მაცხოვარი-ტ. მ.). აქ მხედველობაშია მიიღება ქრისტეს სულიერი ძეობა ანუ შვილობა („ძე ნათლისა“).

აქვე შევნიშნავთ, რომ წმ. მამები სასულიერო მწერლობაში გათანაბრებული არიან „ნათელთან“. ეს გასაგებიცაა. ცავიანთი მოღვაწეობით, სულიერი მხნეობით და გმირობით ისინი მიახლოებულნი არიან ღმერთთან: „წმიდანი მამანი, ნათელნი სოფლისანი“[3]. ასევე მართალთა გზა ნათლის ბრწყინვალებასთანაა შედარებული: „გზანი მართალთანი, ვითარცა ნათელი ბრწყინავენ“ (იგ. 4,18).

ნ ა კ ვ ე რ ც ხ ა ლ ი. მაცხოვარი ცეცხლის ნაპერწკლად ანუ ნაკვერცხლადაც წარმოსახვიათ ჰიმნოგრაფებს: „ცათა დაუტევნელი ღმერთი, ნაკუერცხალი იგი“. მარიამ ღვთისმშობელმა

---

[1] ეზნოზაძე ეკეკლესიასტეოსნის ღმრთისმეტყველება, გვ.100-101.
[2] მიქაელის ჰიმნები, გვ. 439.
[3] ძეგლები I, გვ. 224.

შეიწყალა და დაიტია ცათა დაუტეველი ღმერთი ვითარცა ნაპერწკალი: „დაიტია ცათა დაუტეველი ღმერთი ნაკუერცხალი ივი"[1].

ნ ე რ გ ი. ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ შესიტყვებაზე „ხე ცხოვრებისა". აქ კი მოკლედ აღვნიშნავთ, რომ სასულიერო მწერლობაში ქრისტეს მეტაფორად მოაზრებულია „ნერგი ცხოვრებისაი"[2], „ნერგი დაუნერგველი" („დაანახა სამოთხე სულიერი და თვით აღმოცენდა მისგან, ბუნებითი ნერგი დაუნერგველი")[3], „ნერგი ედემეანი" („შუენიერი ნერგი ედემეანი ყუავილი გარდაფენილი აღმოსცენდი შენ")[4].

ო რ ბ ი. ორბის სიმბოლიზირება ფსალმუნთა წიგნშია მოცემული, სადაც ივი დასახულია სიჭაბუკის, განახლების, გაახალგაზრდავების სიმბოლოდ: „რომელმან აღავსო კეთილითა ნებაი შენი და განაახლა, ვითარცა ორბისა, სიჭაბუკე შენი" (ფს. 102,5). აქ შეეძლებელია ერთი გარემოება არ გავიხსენოთ, თუმცა იგი არ არის ჩვენი საკითხისათვის საუბრის პირდაპირ გაგრძელება. მხედველობაში მაქვს მესამე ათასწლეულის ძეგლი „ვილგამეშიანი". ამ თხზულების მთავარი პერსონაჟი გილგამეში ღვთის წყალობით უკვდავყოფილი უთანაფიშოის საშუალებით მოიპოვებს განმაჭაბუკებელ ბალახს[5]. აქაც, ისე როგორც ფსალმუნში, ადამიანის არსებობაში სიჭაბუკის დაბრუნებაზეა საუბარი, მის გაახალგაზრდავებაზე, განახლებაზე. ამ მოტივს სასულიერო მწერლობაში განმსაზღვრელი ტონი მისცა ქრისტეს პიროვნებამ. ქრისტე განახლებული ძველი ღვეა - ახალ ღვედ, მზიან ღამედ მოვლენილი. მაცხოვარმა ჯვარცმის შემდეგ მიწაში დაფლვით და მკვდრეთით აღდგომით თუ

---

[1] ძიქაელის ჰიმნები, გვ. 78.
[2] სინური მრავალთავი, გვ. 37.
[3] იოანე მინჩხის პოეზია, გვ. 243.
[4] ძიქაელის ჰიმნები, გვ. 239.
[5] გილგამეშიანი,აქადურიდან და შუმერულიდან თარგმნა ზ.კიკნაიემ, თბ., 1984.

ამაღლებით ახალი სული ჩაიდგა, ახალი ხორცი შეისხა, განახლებული სიცოცხლით ცის სასუფეველში დამკვიდრდა. ჩვენის აზრით, დავით გურამიშვილს ქრისტეს პიროვნებაში სწორედ ეს მომენტი შთააგონებს და ხიბლავს, ვინაიდან იგი მიგვანიშნებს სიცოცხლის გაგრძელებაზე, მარადიულ გაზაფხულზე. ამავე დროს, პოეტის მიხედვით, მისი ეპოქის საქართველო ჯვარცმულ ქრისტეს გვაგონებს, მაგრამ გვაიმედებს ის გარემოება, რომ ტანჯული ხალხი ქრისტესავით აღსდგება მკვდრეთით და აღორძინდება. ერთ ერთ ლექსში დავით გურამიშვილი მოგვითხრობს საფლავიდან აღმდგარ ქრისტეზე, რომელმაც ცხოვრების წყარო დასძრა ადამიანებისაკენ, დაშრიტა ჯოჯოხეთის ცეცხლის ალები, მისცა ცოდვით მკვდარ თუ ტანჯულ ადამის მოდგმას „ალდგომის ძალები". პოეტი ქრისტესთვის გოლგოთის ტრაგედიის თავს დამტეხ უმეცართა მისამართით გამომწვევი, დამცინავი კილოთი ლაპარაკობს, რომ ჯვარცმით არა მარტო მოკლეს ქრისტე, არამედ ამით სამუდამოდ განაახლეს მისი ბუნება. ამ მომენტის ჩვენებისას დავით გურამიშვილი ფსალმუნიდან ზემოთ დამოწმებული ფრაზის გავლენიდან ამოდის:

„ქვეყნად ძე მოკლეს უგბილთა არ მაძა ზესკნეთოვანი,
იგი კი ისევ განახლდა, ვითარცა ორბი ფრთოვანი"[1].

ერთ - ერთ თხზულებაში - „სიტყვა ესე ღვთისა" - მაცხოვარი შთააგონებს პოეტს: თუ იგი მესიის ყოველგვარ დავალებას შეასრულებს, კვლავ გაყმაწვილდება, განახლება მოელის მას: „თუ ვითარ გაგაყმაწვილო, აღარ დაბერდეო"[2].

ჰაგიოგრაფულ ლიტერატურაში არა მარტო ფიზიკურ განახლება გაჭაბუკებაზეა აქცენტი გაკეთებული, არამედ სულიერ განახლებაზეც: „და ძალსა მას საცნაურსა სულისა

---

[1] ამ სტრიქონის წყარიზე მიუთითა ნ.ქაჯაია-„შენი სიბერე სიახლე ორბის", ჟურნ. „ცისკარი", II, 1983.გვ.15ნ.
[2] დ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 128.

ჩუენისა, ვითარცა ორბისა სიჭაბუკესა, განვაჭაბუკებდეთ და ვითარცა მთოარესა, ეგრეთ განვაარლებდეთ...[1] "

ო ქ რ ო. დაკვირვებამ ცხადყო, რომ ოქრო, ვერცხლი ღვთის სახელად სასულიერო მწერლობაში არ შეინიშნება. ამ მხრივ დაგვაინტერესა „დავითიანმა". ლეკების ტყვეობაში მყოფი პოეტი განსაცდელშია ჩავარდნილი. მაჰმადიანური გარემოცვა საშველს არ აძლევს ქრისტეს რჯულის ზეიმისა თავის სულში. უფრო მეტიც, იგი არა მარტო განიცდის ქრისტიანული სამყაროდან მოწყვეტას, არამედ მას აძალებენ კიდეც რჯულის დაგდებას. ტყვე პოეტი მტკიცედ დგას ქრისტიანობაზე და მკვეთრად აცხადებს:

„რაგინდ მე ასრე გაკგიჟდე, ოავი ვახალო ტინზედა,
მხეცნი, ფრინველნი ვასერო ჩემსა ხორცსა და ტვინზედა
იგ მარგალიტი თალლითზე, ოქრო გავცვალო სინზედა,
ვგონებ არც მაშინ გავცვალო იგი მზე (ქრისტე ტ. მ.) თინათინზედა"[2].

ამ სტრიქონების „მარგალიტი" და „ოქრო" ქრისტეს სახელებია, ხოლო თალლითი და სინი - ქრისტიანობას დაპირისპირებული რელიგიაა. „სინი" არის მღარე ხარისხის შავი რვალი. ს. - ს. ორბელიანს მოვუსმინოთ: სინი „რვალი არს უთეთრესი და ხმაკეთილ მჟღერალე, ხოლო სინაი უდარეს და უშავეს მისა"[3].

პ ურ ი ზ ე ც ი ს ა. ეგვიპტელთა ტყვეობას თავდალწეული ებრაელები უდაბნოში დაეხეტებოდნენ მშიერ - მწყურვალნი. მოსემ კვერთხი დაჰკრა კლდეს, საიდანაც წყალი გადმოქუხდა და დაარწყულა ისინი. ამავე დროს მათ სასტიკად შიოდათ, ღმერთმა გამოუგზავნა ციური მანანა (საკვები), რითაც იხსნა ისინი შიმშილისგან. კლდიდან გადმომსკდარ წყალში და ციდან ჩამოყრილ მანანაში ალეგორიულად ქრისტეს სახე იკითხება.

---

[1] ძეგლები I, გვ. 107.
[2] დ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 75.
[3] ს-ს ორბელიანი. სიტყვის კონა, გვ. 318.

ჯერ ჰიმნოგრაფს მოეუსმინოთ: „გუახარა ჩუენ ქუეყანით აღმოცენებად პური ზეცისაი ქრისტე ქალწულისაგან"[1] ამით პოეტმა მიგვანიშნა, რომ ციური მანანა (პურის მარცველები ანუ მაცხოვარი) მიწიდან აღმოცენდა (ანუ ქრისტე ღმერთი განკაცდა) და მხსნელად გამოეცხადა ადამიანებს. ერთი სიტყვით, მიწიდან აღმოცენებული ზეცის პური ნიშნავს ღვთის განხორციელებას, განკაცებას ქალწულის წყალობით.

პ უ რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა. ქრისტე იწოდა „ცხოვრების პურად". ამას საფუძვლად დაედო მაცხოვრის განცხადება: „მე ვარ პური ცხოვრებისა" (ი. 6,34). ეს „პური ცხოვრებისა" იგივე „ციური მანანაა", ოღონდ ერთი განსხვავებით. ციური მანანა ღმერთმა შიმშილისაგან სახსნელად გამოუგზავნა ქანაანის ქვეყნისაკენ მიმავალ ებრაელებს მხოლოდ, ხოლო „პური ცხოვრებისა" მთელ კაცობრიობას მოევლინა მესიად, ღვთაებრივ მხსნელად. ეს „პური ცხოვრებისა" ფიზიკური შიმშილის წამალი კი არ არის, არამედ - სულიერი შიმშილისა. უპირველეს ყოვლისა, ლოცვა - კურთხევა და დიდება ეკუთვნის ღვთისმშობელს, რომელმაც უწყალობა მხსნელი ადამიანებს: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, საცნაურო ბეთლემო, რომელი - ეგე იქმენ სახლ და საგებელ და ბუნება შემზავებელ პურისა მის ცხოვრებისა"[2]. არჩილი მაცხოვარს ასე მიმართავს თავის პოემაში - „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა": „მე ნუ განმანქრეე ღაწვადა, შენ, პურო, ცხოვრების ხოვ"[3]. დავით გურამიშვილი ქრისტეს იმედით ცხოვრობს: „უკვდავების წყალს მიბოძებს „ცხოვრებისა პურსა"[4].

ჟ ა მ ი უ ჟ ა მ ო. „ეფეზისტყაოსანში" ვკითხულობთ: „იტყვის: „ჰე მზეო, ვინ ხატად გოქვეს მზიანისა ღამისად,

---

[1] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 52.
[2] ძველი მუტაფრასული კრებულები, გვ. 147.
[3] ქართული პოეზია, წ. III. გვ. 419.
[4] დ.გურამიშვილი, ლაკონიანი, გვ. 145.

ერთ - არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად".

მ. რაფავას[1] და მ. გიგინეიშვილის[2] აზრით, „უჟამო ჟამი" არის უშუალო მითითება ქრისტეზე. ე. ხინთიბიძის შეხედულებით, „ვეფხისტყაოსანის" „უჟამო ჟამი" არის უზენაესი არსების კატაფატიკურ - აპოფატიკური სახელი და არა მაინც და მაინც სამების მეორე წევრის-ქრისტეს სახელი[3]. ღასახელებულ მკვლევარებზე დიდი ხნით ადრე თეიმურაზ ბაგრატიონი წერდა: „მის უჟამოსა ჟამისა" ღმერთი არს დაუსაბამო, სამარადისო და დაუსრულებელი, რადგან დაუწყებელი არის, ამისთვის ჟამსა შინა არ შემოვალს იგი, არამედ ჟამი მისი სამარადისოება, საუკუნო არს"[4]. ამავე აზრს იმეორებს ე. ნოზაძე: „ვეფხისტყაოსანის" „უჟამო ჟამი" არის მარადიულობა, საუკუნე და ესაა სახელი ღმერთისა, რომელს არა აქვს არავითარი ჟამი და რომელიც ყველა მარადიულობას წინ უსწრებს"[5].

გამოთქმული შეხედულებებიდან ჩვენ ვიზიარებთ მ. რაფავას და მ. გიგინეიშვილის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ „უჟამო ჟამი" არის კონკრეტულად ქრისტეს სახელი. საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე ნიმუშს ამოვწერ სასულიერო პოეზიიდან: „სიტყუაი უჟამოი ჟამიერად იშჟა ხორციითა დედისაგან უსძლოისა", „უჟამოი ჟამიერად გამოშჩნდი" (მიემართება მაცხოვარს- ტ. მ.), „აწ ქალწული შობს უჟამოსა ჟამიერად, რომელი იგი ადამის

---

[1] მ.რაფავა, ვეფხისტყაოსნის ზოგი ადგილის გაგებისათვის, კრებ. „შოთა რუსთაველი", ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი, კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწ. ინსტიტუტი, თბ., 1966, გვ. 116.

[2] მ.გიგინეიშვილი, „მზიანი ღამე" ვეფხისტყაოსნისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხები, კრებ. „ძველი ქართული მწერლობის საკითხები", III, თბ., 1968, გვ.27.

[3] ეხინთიბიძე, მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში, თბ., 1975, გვ. 141.

[4] თ.ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბ., 1960, გვ. 124.

[5] ე.ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ღვთისმეტყველება, გვ.127.

უწანარეს არს"[1]. საილუსტრაციოდ ქართული ჰიმნოგრაფიის საგანძურიდან განსაკუთრებით ერთ ნიმუშს მოვიტანთ, სადაც ზეციმიწეანით არის გამოხატული „უკამო ჟამის" რაობა: „ქრისტე ჟამიერი და უჟამოი ორითა ბუნებითა, ღმერთი და კაცი"[2]. აქ პირდაპირ არის მინიშნებული, რომ „უჟამო ჟამი" ქრისტეს სახელია. ჰიმნოგრაფი სრულიად მარტივად გვეუბნის, რომ ქრისტე უჟამოა იმდენად, რამდენადაც ღვთიური ბუნების მქონეა და ჟამიერიც-ვინაიდან კაცის ბუნების შემცველიცაა. „უჟამო ჟამში" რომ მაცხოვრის ორბუნებოვნებაა გაცხადებული, ამას ანტონ კათალიკოსიც ადასტურებს: „ვარდმოვალს უჟამოი იგი (ქრისტე - ტ. მ.) და იქნების ჟამიერ... დაიმკვიდრების ქალწულისა საშოსა და იქმნების შეზავებულ ხორცთაი"[3]. აქვე საგანგებოდ შევნიშნავთ, რომ ყველაზე ადრე (1936 წ.) კ. ეკაშვილმა მოგვცა სწორი შეხედულება „უჟამო ჟამზე" და ეჭვმიუტანლად აღიარა იგი ქრისტეს სახელად[4].

რ ტ ო. „რტოს" სინონიმებია: შტო, ყვერი, წინწკარი, ნოშო, ტოტი[5]. დ. გურამიშვილი ხშირად ხმარობს „შტოს". ქართულ ლექსიკურ ფონდში ეს სიტყვა ამ ფორმით არ შეგვხვედრია. სასულიერო პოეზიაში, „დავითიანში" ქრისტე დასახულია იესეს, დავითის ძირიდან ამოსულ ტოტად. ე. ი. იესე და დავითი არიან ძირი, ხე, რომელთა ტოტმა კარგი ხილი მოისხა, მხსნელი ქრისტეს სახით. ასევე „ძირი" და „ხე" მამაღმერთის სიმბოლოა: „მამას ვსახ ძირად და ძეს შტოდ პირად" (112), „მამისა სიტყვა სახითა, ვით შტო ძირთაგან, ეხარა" (38). საინტერესოა, რომ „შარტბერდის კრებულში" „ხე" წოდებულია მამაღმერთის სახე-

---

[1] მიქაელის ჰიმნები, გვ. 54,80,161.

[2] ნეტმირებული ძლისპირნი, გვ. 203.

[3] ანტონ პირველი, მზამეტყველება, ტფ., 1892, გვ.17.

[4] კ.ეკაშვილი, კუზნისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის, კრებ. „შოთა რუსთაველი" (კ.კეკელიძის ხსოვნისადმი ხელვნაწ. ინსტიტუტის საიუბილეო კრებული). გვ. 236.

[5] ა.ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, გვ.396.

ლად, ხის მიერ გამოღებული ნაყოფი-ქრისტედ, ხის აჩრდილი კი -სული წმინდად: „ხოლო ხე იგი ყოველად ბუნებისა ღმრთისა მამისა და შემოქმედსა ყოველისასა ემსგავსების. და ჩიალი იგი - ძესა მისსა, უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, და აჩრდილი იგი მის ხისა-სულსა წმინდასა"[1]. ჰიმნოგრაფიაში მარიამ ღვთისმშობელიც იესეს ძირიდან აღმოცენებულად არის მოხსენიებული: „ქალწული წმინდაი იესეს ძირისაგან აღმოვეცენდ და გვიშვა სიტყუაი ღმრთისა"[2]. ახალ აღთქმას გადავხედოთ: „ძირი იგი წმინდა არს და რტონიცა მისნი" (რომ. II,16). ჩვენი დაკვირვებით, ქართულ ჰიმნოგრაფიაში მამა ღმერთის, იესეს, დავითის მოხსენიება „ხედ" და „ძირად" არც თუ ისე იშვიათი შემოხვედრია, ხოლო ქრისტე ამ ძირიდან ამოხეთქილ „მორჩად" მოიაზრება. ღ. გურამიშვილი კი „მორჩის" ნაცვლად ხმარობს „შტოს", „შრტოს", თუმცა ცნება „მორჩიც" მისთვის უცხო როდია: „შტო - მორჩად ქართველთ უფალთა, ვინც მაზედ ბმულ ჩანს ფესვითა" (27). „მორჩი, ნორჩი, - განმარტავს სულხან -საბა, -ახალ მოზარდე"[3]. ნ. ჩუბინიშვილსაც მორჩი-ნორჩი ახსნილი აქვს, როგორც ახალმოზარდი ნერგი[4]. ივ. გიგინეიშვილი კი ღ. გურამიშვილის მიერ გამოყენებულ „მორჩს" განმარტავს ასე: „მორჩი, ახალმოზარდი" (მცენარე, ხე), შტო, ამონაყარი (356). ამდენად, ჰიმნოგრაფების მიერ გამოყენებული მორჩი და ღ. გურამიშვილის „შრტო" ერთი და იგივე მნიშვნელობის შემცველია. „დავითის ძირთაგან მორჩი კეთილი აღმოსცენდა"[5]. იესეს ძირიდან აყვავებულ „მორჩს" განკურნავს ცნობადი ხის სიმწარე: „იესეს ძირიდან მორჩი აღყუავებელი... რომელისა ნაყოფითა განიკურნა სიმწარე ხისა მის ცნობადისა"[6]. ჰიმნოგრაფები ქრისტეს თვლიან

---

[1] შატბერდის კრებული, გვ.139.
[2] ძლისპირნი, გვ. 40.
[3] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ. 408.
[4] ნ.ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ.292,320.
[5] მიქაელის ჰიმნები, გვ. 130,348,399.
[6] პ.ინგოროყვა, თხ'ბ., III, გვ.73.

არა მხოლოდ რტოდ და მორჩად, არამედ იესე დავითის ძირიდან ამოსულ ყვავილად: „რამეთუ აღმოსცენდი შენ ყუავილად ძირთაგან იესეთა“[1]. ქრისტეს მეტაფორად „რტოს“, „მორჩის“, „ყვავილის“ გვერდით განიხილა „ნერგი“: „შეიწყნარეთ ნერგი იგი სიტყვისაი“ (კათ. ია.კ. I,21). „შუენიერი ნერგი ედემეანი ყუავილი გარეფენილი აღმოსცენდი შენ“[2]. „მხოლოისაგან წმიდისა მარიამისა ნერგი იგიცხოერებისაი აღმოვიფცენდა ნუენ“[3]. როგორც ვნახეთ, ქრისტეს გენეალოგიის მარტივად გასაგებად სასულიერო მწერლობაში მამა ღმერთი, იესე, დავითი ძირად, ხედ იწოდა, ხოლო მათ რტოდ, მორჩად - მაცხოვარი. ეს ძირი, ხე, რტო და მორჩი ის საგნებია, რომლებიც მიწაზე ხარობენ, ე. ი. ფიზიკურ - მიწიერი ბუნებისანი. ერთი საინტერესო ადგილი შეგვხვდა ჰიმნოგრაფიაში, სადაც გიორგი მოწამე წოდებულია „სულიერ ხედ“, „შვენიერ ვარდად“: სულიერო ხეო, ვარდო შუენიერო, სამყაროისა მნათობთა მიმსგავსებულო“[4]. ამან ერთი საგულისხმო საწყვეტი შეგვახსენა იოანე მიხეხის პოეზიიდან. შესაქმის წიგნის მიხედვით ღმერთის მიერ მოცემული სამოთხე, სადაც ხარობდა ხე ცნობადისა „ნაყოფთგამხრწნელი“, ჰიმნოგრაფს მოუაზრებია ფიზიკურ სამოთხედ, ხოლო ქრისტეს მიერ აღამიანებისათვის მონიჭებული ედემი, ეს სულიერი სამოთხეა: „დაასხა ღმერთმან აღმოსავლით ედემი საშუებელად კაცთათვის შესაქმესა ხილულთასა და აღმოაცენა მას შინა ნერგი იგი, ნაყოფგამხრწნელი, და ჟამთა აღსასრულსა დაისხა სამოთხე სულიერი და თვით აღმოცენდა მისგან, ბუნებითი ნერგი დაუნერგველი“[5].

რ ჟ ა. „დავითიანში“ ერთი ვრცელი ლექსია შესული „დავითის შესხმა პირველი“. იგი ფსალმუნთა ავტორის ქება -

---

[1] ძიქაელის ჰიმნები, გვ. 4.
[2] იქვე, გვ. 4.
[3] სირერი მრავალთავი, გვ. 21.
[4] ძიქაელის ჰიმნები, გვ. 304.
[5] იოანე მიხეხის პოეზია, გვ. 242.

დიდების შემცველია. ჩვენი საკითხისათვის სწორედ ე', თხზულება გამოიყურება განსაკუთრებით საყურადღებოდ. საქმე იმაშია, რომ ამ ლექსში ქრისტე წოდებულია დავითის (წინასწარმეტყველი ტ. მ.) რქად. ამდენად, რქა ქრისტეს მეტაფორაა. ეს ცნება ერთი და იგივე მნიშვნელობით არ გამოუყენებია პოეტს. ერთ შემთხვევაში იგი მას პირდაპირი, ჩვეულებრივი შინაარსით მიმართავს, როგორც ჯერ კიდევ ს. ორბელიანი განმარტავდა „რქა არს პირუტყვთა თავსა ნაბამი"[1]. სულხან - საბა აქვე წერს: „რქა ეწოდების ვენახის ლერწსა"[2]. ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით, რქა არის ვაზის ბაბილო, ვენახის ნორჩი... აგრეთვე იგი ნიშნავს ძალას, ძლიერებას, სიმტკიცეს[3]. სხვათა შორის „ბაბილო" „დავითიანშიც" იჩენს თავს: „ვიმცვრივე ჭალას ბაბილო, ნაქაჯი და ნაჭაჭარი". „დავითიანის" 1955 წ. აკადემიურ გამოცემაში დართულ ლექსიკონში „ბაბილო" განმარტებულია როგორც მალალი ვაზი, დობილო: ტყის ვაზი, კრიკინა (327). დავით წინასწარმეტყველის ქების გამომხატველ საანალიზო ლექსში „რქას" ხშირად მიმართავს პოეტი. ეს იმიტომ, რომ „ფსალმუნში" „რქა" გავრცელებული სიტყვაა: „ნუ აიმაღლებთ მაღლად რქათა თქუენთა" (ფსალ. 74,6), „ყოველნი რქანი ცოდვილთანი შეიმუსრნენ" (ფს. 74,11). „რქა", როგორც ვხედავთ, გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი. „რქა" როგორც ბაბილო თუ რტო ვენახისა „ფსალმუნშიც" მოიპოვება: „დაფარნა მთანი ჩრდილმან მისმან (ვენახის - ტ. მ.) და ბაბილოთა მისთა ნაძუნი ღმრთისანი", „მისწუადნა რქანი მისნი (ვენახის - ტ. მ.) ზღუამდე და მდინარემდე - მწუერვალნი მისნი" (ფსალ. 79,11-12). მაგრამ „ფსალმუნში" განსაკუთრებით არის ერთი ადგილი, რომელიც შთაგონების წყაროა არა მხოლოდ ა. დ. გურამიშვილისათვის, არამედ ჰიმნოგრაფებისათვის საერთოდ:

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ.540.
[2] იქვე
[3] ნ.ჩუბინიშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ.337.

„მუნ აღმოუცენო რქაი დავითს და განუმზადი სანთელი ცხებულსა“ (ფსალ. 131,17). ეს სიტყვები ეკუთვნის ღმერთს. ლუკას სახარებაში იოანე ნათლისმცემლის დაბადებისას მისი მამა ზაქარია ქება - დიდებას აღავლენს უფლისადმი, რომელმან „აღმოდგინა ჩუენ რქაი ცხოვრებისაი შორის სახლსა მას დავითს, მონისა თჳისისა“ (ლ. 1,69). ახლა დ. გურამიშვილს ვათხოვოთ ყური: „ძე დავითს რქადა ღმერთმან უქადა: რქა აღგიღგინო, მით მტერთა რქენდი“ (112). როგორც ჩანს, პოეტი უშუალო მიმართებაშია ლუკას სახარების აღნიშნულ პასაჟთან. მასში გაუგებრობა არ უნდა შეიქმნეს იმას, რომ ზაქარია „ცხოვრების რქად“ იოანეს თვლის ეს ის იოანეა, რომელმაც თვითონვე მოუწოდა ადამიანებს „რქა ცხოვრებისაი“ მაცხოვარი, რადგან იგი მის მიერ იქნა ნათელღებული. „დავითიანში“ უფრო ძლიერ მხატვრულ ასპექტშია წარმოდგენილი „დავითს რქის“ ხატება: „დავით რჩეულმან, ღვთის მიწნეულმან მტერთა სარქენლად ძე რქად ქადაგა. იგ დაიხარა, მისგან იხარა, ვით ძირი თჳისი. შრ(ა)ზედ რქად ღარგა“ (114). პოეტის მიხედვით, გადატანითი მნიშვნელობით დავით წინასწარმეტყველი ვენახია, ხოლო მისი რტო, იგივე რქა - ქრისტეა. მაცხოვარი ხომ, საერთოდ, თეოლოგიაში, სასულიერო მწერლობაში დავით ფსალმუნთა ავტორის სორციელ მემკვიდრედ ითვლება. „დავითიანში“ ეკითხულობთ: „ვაქებ მიტომა, დავითს (წინასწარმეტყველს - ტ. მ.) შრტომა ზედ გამოიბა კარგი ყურძენი“ (113). მიგვაჩნია, რომ დ. გურამიშვილის მიერ არაერთხელ დასახელებული „დავითს რქა“ ეს არის ძალის, ძლიერების, სიმტკიცის სიმბოლო. აქვე არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ღმერთი ძლიერების სიმბოლოდ და „რქად ცხოვრებისად“ მეფეთა წიგნშიც დასტურდება: „ღმერთი ჩემი, მფარველი ჩემი! რამეთუ იგი არს ჴელმწიფე ჩემი და რქა ცხოვრებისა ჩემისა“ (II მეფ. 22,3). გამოთქმა „რქაი ცხოვრებისაი“ რომელიც ღმერთის არსებას გამოხატავს, პირდაპირ გადასულა გაქვავებული სახით სასულიერო პოეზიაში: „აღმოგვიცენე რქაი

ცხოვრებისა, ქრისტე ღმერთი,მარიამ"[1]. „ჯურთხეულ არს ღმერთი, რომელმან აღმო- გვიცვნა ჩუენ რქაი ცხ კრებისაი"[2]. ამდენად, როგორც გიარკვა, ბიბლიაში, სასულიერო მწერლობაში ღვთის გამოსახატავად ცხოვრების ხის, ცხოვრების წყაროს და სხვა სახეთა გვერდით დამკვიდრდა „დავითის რქა", „რქა ცხოვრებისა". როგორც ქრისტეს სიმბოლო.

ს ა ვ ს ე ბ ა ყ ო ვ ე ლ თ ა. „ვეფხისტყაოსნის," ერთ - ერთ თავში - „აქა ტარიელისაგან და ავთანდილისაგან ქებაბს მისლვა და ასმათის ნახვა" - ასმათი ასე მიმართავს უფალს:

„ასმათ თქვა: „ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენათა,
შენ ხარ საკვება ყოველთა, აღგვავსებ მზეებრ ფენითა.
გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ - საქებელო სმენითა,
დიდება შენდა, არ მომკალ ამათთვის ცრემლთა დენითა" (926).

ამდენად, რუსთაველის თანახმად, ღმერთი არის სისავსე, სრულება, მოუკლებლობა ანუ სავსება. შესაძლოა პოეტს ღვთაების გამომხატველი ეს სიტყვა ბიბლიიდან ჰქონდეს აღებული: „უფლისაი არს ქუეყანაი და სავსებაი მისი" (1 კორ. 10, 26). „ჩემი არს ყოველი სოფელი საკვებითურო მისით") (ფს. 49,12). „და სავსებისაგან მისისა ჩუენ ყოველთა მივიღეთ და მადლი მადლისა წილ" (ი. 1,16). მაინც როგორ გავიგოთ რუსთაველის შესიტყვების - „სავსება ყოველთა" - აზრი. სწორია ნ. ნათაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ იგი აღნიშნავს ღმერთს, როგორც ყოველივე არსებულის სრულყოფილების წყაროს. სრულყოფილების ის ხარისხი, რომელიც ამა თუ იმ საგანს აქვს, მას ღვთისაგან აქვს[3].

რუსთაველის გამოთქმა - „სავსება ყოველთა" - გამოუყენებია

---

[1] მიქაელის ჰიმნები, ვვ. 9.

[2] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, ვ.194, შდრ. ძლისპირნი, გვ.5,60.

[3] იხ. ნ.ნათაძის კომენტარი, რომელიც ერთვის „ვეფხისტყაოსნის" 1976 წლის გამოცემას, გვ.533.

თეიმურაზ პირველს თავის ნაწარმოებში „ხიფლის სამდურავი“:

„ღმერთო, რომელი შენ ჰსუფევ ჰაერთა თანა ცაშიგან,
შენ ჩარ საკსება ყოველთა, რაც არის ქვეყანაშიგან...“

აქ წყაროდ მარტო „ეფეზისტყაოსანს“ იმიტომ ვასახელებთ, რომ პირდაპირ გადმოულია თეიმურაზ პირველს რუსთაველის ზემოთ მოტანილი გამოთქმა.

ს ა კ ი დ უ რ ი ქ ვ ა. „უძველეს თადგარში“ ეკითხულობთ: „კიდობანი იგი რჩულისაი სახედ შენდა გამოჩნდა, ცოცხალმჭიბელო ქალწულო, რამეთუ მან მოგუართუნა ფიცარნი იგი ქვეყანანი ღმრთიკ სულიერნი სიტყუანი, ხოლო შენ საკიდური იგი ქვაი, სიტყუაი ღმრთისაი“[1]. ე. ი. წმ. მარიამმა გვიწყალობა („მოგუართუნა“) „საკიდური იგი ქვაი“, ანუ შვა ქრისტე. ამდენად, „საკიდური ქვა“, რომელიც ბიბლიაში არაერთგზის იხსენიება („არა მოიღონ შენგან ქვაი საკიდური“ - (I. იერემ. 51,26); „ლოდი, რომელ შეურაცხყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავ საკიდურთა“ - (ლ. 20,17) ქრისტეს სახელია. ხოლო დ. გურამიშვილის ენით რომ ვთქვათ, მისი „გამტყორცნელი“ არის მთა - ღვთისმშობელი.

ს ა მ მ ნ ა თ ო ბ ი ე რ ი. ზემოთ აღინიშნა, რომ „მნათობი“ ქრისტეს სახელია. იგივე ეწოდება სამების ოჯახის თითოეულ წევრზე - მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა მნათობის სახელის მატარებელია. ისინი ბუნებით ერთარსებანი არიან, მაგრამ „თვითებით სამგუამოვნად იწოდების“. აქედან გამომდინარე, სასულიერო მწერლობაში სამება მონათლულია „სამმნათობიერად“: „ესრეთ ვიცნობთ ჩუენ ჭეშმარიტსა ღმერთსა ბუნებით ერთარსებად, ხოლო თვითებით სამგუამოვნად სრულად იწოდების სამმნათობიერი ერითი ბრწყინვალებით“[2].

---

[1] ქართული პოეზია, III, გვ. 164.
[2] უძველესი თადგარი, გვ. 476
[3] ნეკმარეული ძლისპირნი, გვ. 583.

„იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ ეკითხულობთ: „სამმნათობიერსა წმინდასა სამებისათა...[1]“

ს ა მ ნ ი მ ზ ე ნ ი. რადგან „მზე“ ღმერთის სიმბოლოდაა ანუ სახელდება, სამების ყველა წევრიც მზედ მოიაზრება. აქედან წარმოსდგა ფრაზეოლოგიური ერთეულიც - „სამნი მზენი“: „ვითარცა სამთა მზეთა შორის ნათელი ერთი, ესრეთ არს ყოლად წმინდაი სამებაი, რამეთუ მამაი და ძე და სული წმინდაი გუამოვნებითა სამ არს, ხოლო ბუნებით ერთღმრთეებაი არს“[2]. საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა იმპერატორ თულიანოსის (332 - 364 წწ.) მითითება სამი მზის შესახებ. მისი აზრით, არსებობდა სამი მზე, რომელთაგან ორი უხილავია, აქედან პირველი მზე არის პირველადი სათავე, საწყისი, ანუ პრინციპი. ეს არის ერთი, ანუ ღმერთი, უწინარესი მიზეზი ყველა არსებათა წინაარი. მეორე მზე წარმოშობილია უწინარეს საუკუნეთა პირველი მზისაგან და იგი არის ბონებრივი მხარე, გონება, ანუ სიტყვა, ანუ ლოგოსი. ეს მეორე მზე ჰგავს პირველს და ლავალებული აქვს უწინარეს საუკუნეთა ხილული ქვეყნის წარმოქმნა. და ბოლოს, მესამე მზე არის ხილული, მატერიალური მზე, ხილული ქვეყანასთან წარმოშობილი. ეს ხილული მზე არის მეორე მზის (გონების) ხატი[3].

რაკი ბიბლიასა და საერთოდ, ღვთისმეტყველებას ქრისტე განსაკუთრებულ ლოგოსად მიაჩნია, ხოლო ლოგოსი მეორე მზეა, ანუ ხატი პირველი მზისა, ამდენად, დასახელებულ სამ მზეთა შორის ამგვარი მიმართება არსებობს: „პირველი მზე (მამა ღმერთი) - მეორე მზე - ქრისტე (ხატი პირველი მზისა) - მესამე მზე, ხილული, მატერიალური (ხატი მეორე მზისა, ანუ ქრისტესი).

„ეკეგზისტყოსანშიც“ დასტურდება გამოთქმა - „სამი მზე“.

---

[1] ძეგლები III, გვ. 106.

[2] იოანე მიხეხის ბიუნია, გვ. 275.

[3] შდრ. ვ.ნიბანაძე, ეკეგზისტყოსანის ფხისმეტყველება. გვ. 59.

ტარიელისან გაგზავნილ წერილში ნესტან - დარეჯანი ერთგან ამბობს:

„შენმან მზემან, უშენოსა არეის მიჰხვდეს მთვარე შენი.
შენმან მზემან, ვერვის მიჰხვდეს, მო - ცა - ვიდნენ სამნი მზენი!
აქა თავსა გარღვიქცევ, ახლოს მიხლვან დიდნი კლვენი.
სული ჩემი შეიველრე, ზეცით მომხვდნენ ნუთუ ფრთენი“ (ᲬᲘᲠ).

ტექსტის ირდაპირი წაკითხვიდან ის აზრი გამოიტანება, რომ ნესტანი მხოლოდ და მხოლოდ ტარიელს ეკუთვნის. ვეფხისტყაოსანი ჯაბუკი სხვაზე არ გაიცვლება. იგი არის ერთადერთი მზე, რომელიც ანათებს სატრფოს გულს, გონებას, სულს და საერთოდ, ცხოვრებას. ტარიელზე სამჯერ უფრო ლამაზი ვაჟკაცი რომ გამოჩნდეს ნესტანის ხელის მთხოვნელი, იგი „ვერვის მოჰხვდება“. შესაძლოა, ნესტანის სიტყვებში („სამნი მზენი“) ალეგორიულად სამება იგულისხმებოდეს. აზრი შესაძლებელია შემდეგნაირად განვითარდეს: ნესტანი, მართალია, ღვთისმოსავია, ღვთის მიჯნურია, მაგრამ ამჯერად ის ჰყავს დამონებული ტარიელის სიყვარულს, რომ უფალიც დავიწყებული აქვს. ტარიელზე ფიქრისას მას რომ სამებაც („სამნი მზენი“) გამოეცხადოს და თავი შეასხეულოს მისადმი მიჯნურობისა, ანუ სულიერი მიჯნურობისა, იგი ამ შემთხვევაშიც არ დასთმობს სარიდანის ძის სიყვარულს.

საგულისხმოა, რომ ანტონ კათალიკოსი „მარტირიკაში“ შალვა და ელიზბარ ერისთავების, ბიძინა ჩოლოყაშვილის მაშულისადმი თავდადებას „სამი მზის“ ბრწყინვალებასთან აიგივებს, უფრო სწორად აღარებს მას, ე. ი. სამების ბრწყინვალებას: „განბრწყინდეს ვითარცა სამნი მზენი...[1]“

ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲔᲓᲘ. ჩვენს ეროვნულ მწერლობაში სამების გამოსახატავად გვხვდება გამოთქმანი: „სამხატელი“, „სამხატი“, „სამწილი“, „სამსახე ნათელი“, „სამ - ბრწყინვალება“ და ა. შ. ეს, რა თქმა უნდა, ივიენ მნიშვნელობის მატარებელია როგორც

---

[1]ძეგლები VI, გვ. 74

„სამნათობიერი“, „სამნი მზენი“.

არჩილი წერს: „ვეკამოენებით სამჩატეღო, ღვთაებითა მხოლოდ ერთო“[1]. ასევე „არჩილიანში“ დასტურდება ზემოთ დაფიქსირებული სამების აღმნიშვნელი სიტყვები: „სამხატი“, „სამწილი“. დავით გურამიშვილის მიმართვა უფლისადმი ერთგან ასეთი გახლავთ:

„დიდება შენდა ნათელო, ერთო, სამ - სახეო“[2].

„ილარიონ ქართველის ცხოვრებაში წერია: „აღიდების ერთ - არსებასა სამ - ბრწყინვალებით და სამებასა ერთუფლებით“[3].

ს ა ნ თ ე ლ ი ნ ა თ ლ ი ს ა. ქრისტე სანთელია ნათლისა, ე. ი. ნათლის აღსანთებელი თუ ამნთები. აქ იმაზეა ყურადღება გამახვილებული, რომ ფიზიკური ნათლის მომნიჭებელი ქვეყნიერებისაეის არის სულიერი ნათელი - ქრისტე. ახლა კი ჰიეტ- ჰიმნოგრაფს დავუგდოთ ყური: „ეურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაელისაი, რომელმან ბერწისაგან და უტყვისა ძირთაგან უნაყოფოთა აღმოაცენა ნაყოფი კეთილი, მთიები მზისა წინამსრბოლი, ცისკარი ნათლისაი, ხმაი სიტყვისაი, სანთელი ნათლისაი“[4].

ს ა ც ნ ა უ რ ი ც ე ც ხ ლ ი. მაცხოვარი საცნაურ ცეცხლადაც იწოდა. ქრისტე-საცნაური ცეცხლი ჩავიდა ჯოჯოხეთში და მოსპო მისი ბორკილების ცეცხლის ბუდე: „შენ ცეცხლად საცნაურად, ღმრთისა სიტყეაო, შეგიწყნარა ქუეყანელმან ჯოჯოხეთმან... “[5] იოანე მინხეი წმ. გიორგისადმი მიძღვნილ საგალობელში ამბობს: „რაკამს აღეგზა შენ თანა საცნაური ეგი ცეცხლი“[6]. დავით გურამიშვილი ღმერთს უცნაურ მზედ სახავს, ხოლო ფიზიკურ მნათობს-საცნაურ მზედ: „ჭირს საცნაურის მზისაცა სწორად გამართვა თვალისა... “(გვ. 74).

---

[1] ქართული ჰიეზია, III, გვ.503.
[2] ლ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 81.
[3] ძეგლები III, გვ. 209.
[4] ნეგმირებული ძლისპირნი, გვ.323.
[5] იოანე მინხეის ჰიეზია, გვ. 289.
[6] იქვე. გვ.337.

ს ი ტ ყ ვ ა შ ვ ე ნ ი ე რ ი. დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნთა წიგნში ღმერთი მშვენიერ არსებად მოიხსენიება: „ულამაზო... აბაღლდა დიდად შვენიერებაი შენი ზესკნელსა ცათა“ (ფს. 8,2). ღვთისმეტყველებაში სიტყვა ღვთის სახელია. იოანეს სახარება ასე აწყობს: „პირველითგან იყო სიტყვა და სიტყუაი იგი იყო ღუთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუა იგი“ (ი. 1). დავით გურამიშვილი ღვთისადმი, კერძოდ მეხიისადმი მიძღვნილ ჰიმნში იტყვის: „სახით სიტყვა შვენიერი, სხეო, მზეთა - მზის სახეო“[1]. ამდენად, ფსალმუნთა წიგნსა და იოანეს სახარების კვალობაზე პოეტი ქრისტეს „სიტყვა შვენიერად“ წარმოსახავს. ამ გამოთქმას უკავშირდება „სიტყვა ძლიერიც“: „გამოგვიცხადეს, გვასწავლეს, გვაცნობეს სიტყვა ძლიერი“. თუ პრეტენზიულ განცხადებაში არ ჩამოგვერთმევა, შესიტყვება „სიტყვა შვენიერი“ და „სიტყვა ძლიერი“[2] მაცხოვრის სახელად „დავითიანამდე“ სხვაგან არსად არ შეგვხვედრია.

ს ი ძ ე. სახარებაში მოთხრობილი ათი ქალწულისა და სიძის ქორწილის ამბავი დ. გურამიშვილის შთაგონების წყარო გამხდარა. იგი ამ ეპიზოდს ბევრჯერ უბრუნდება. „მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათა ათთა ქალწულთა“, რომლებმაც აიღეს თავიანთი ლამპები და წავიდნენ სიძის მისაგებებლად. ევანგელისტი წინასწარ აფრთხილებს მკითხველს, რომ ამ ათი ქალწულიდან „ხუთნი იყუნეს ბრძენნი და ხუთნი სულელნი“. ხუთი ქალწულის გონიერება იმაში გამოიხატება, რომ მათ ლამპრებთან ერთად „მიიღეს მათ თანა ზეთი ჭურჭელთა მათთა“. სიძემ მოსვლა დააყოვნა, ქალწულებს ძილმა დარია ხელი, „მიერულა ყოველნი და დაიძინეს“. შუაღამით ხმა გაისმა სიძის მოსვლისა. ყველანი გაემზადნენ მის მისაგებებლად. ხუთმა სულელმა ქალწულმა ბრძენ ქალწულებს ზეთის თხოვნა დაუწყეს, „რამეთუ ლამპარნი ჩუენი ღაშრტებიანო“. მათ უთხრეს:

---

[1] დ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 73.
[2] იქვე. გვ. 87.

შესაძლოა ზეთი ნაკლებ არ გვეყოს, ამიტომ სჯობია მის საყიდლად წახვიდეთო. მათ წაბრძანებას დაემთხვა სიძის მოსვლა და „განმზადებულნი იგი შევიდეს სიძისა თანა ქორწილსა, და დაეხშა კარი". დაბრუნდნენ სულელად წოდებულნი ქალწულნი, ქორწილის კარი დახშული დახვდათ, ხვეწნა დაუწყეს უფალს, რათა გაელო მათთვის კარი. ღმერთმა უპასუხა: „არა გიცნი თქუენ. იღვიძებდით უკუე, რამეთუ არა იცით ღღე იგი, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისა მოვიდეს" (მათე. 25,1-13).

სასულიერო მწერლობაში თუ საერთოდ ფილოლოგიურ ლიტერატურაში ჩახედულთ კარგად იციან, რომ აქ დასახელებული „სიძე" ქრისტეა, ხოლო „ქორწილი" - ღვთის სასუფეველი. ამასთან დაკავშირებით „ჭილ ეტრატის იადგარიდან"[1] ერთ ნაწყვეტს მოვიშველიებ, სადაც სრულიად უბრალოდ და მარტივად არის ახსნილი ჩვენთვის საგულისხმო ცნობები: „... სანთელი (ლამპარი, რომელიც ქალწული ეჭირათ - ტ. მ.) იგი, რომელ არს სიწმინდე, ზეთი იგი - წყალობა და სიხარული და სიძე იგი - თავადი ქრისტე და ქორწილი იგი - რომელ არს სასუფეველი". როგორც ვთქვით, ათი ქალწულისა და სიძის ქორწილის ამბავს, ხუთი სულელი, ლამპადაშრეტილი ქალწულის ქორწილის (სასუფევლის) კარებს მიღმა ღარჩენის ამბავს რამდენიმე თხზულებაში იყენებს დ. გურამიშვილი. განსაკუთრებით გვინდა შეეხეროთ ერთ - ერთ მათგანზე - „ოდეს დავით გურამიშვილი ბრუსიაში დაჭყოვდა" (131 - 132). ტყვეობაში მოქცეული პოეტი ასე გადმოგვცემს თავის ვარამს: ჩემი თავი განსაცდელში ჩავაგდე, როგორც გზას ამცდარი, ფარეხთა გარეთ დარჩენილი ცხვარი, რომელსაც .მგელი

---

[1] ჭილ-ეტრატის იადგარი, გვ.101. ქრისტიანული თეოლოგიაში შეჩუქებულ სიმბოლური ხასიათია ამ სისტემის, რომელიც რეალური ცხოვრებიდან არის აღებული, ეხება თავის ნარკვევში ბ.ლარჩია - „სატრიფიალიზმის" საფარულის გაგებისათვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1965, N2, გვ. 67.

ელოდება, „წარსაგებად“. ეს მომიკლა სიგლახაკისა და დაკრდომილობის გამო, დავისაკე კიდეც - საუნჯის კარებს გარეთ ვდგავარ. დავკარგე შეება და ჩემი საუკუნო განსასვენებელი „ვანი გებადიც“ მექცევიან“. ამის შემდეგ პოეტი სიზმრადნახულს გადმოგვცემს: ქორწილის კარებთან ვრეკავდი, შიგნით “შესვლად ვიწევდი“. იგი ემუდარება ქრისტეს: „ძ. ბოძე ასეთი ბედი, შენსა მას ქორწილს მეცა მიწვევდი“ ამას მოსდევს ჩვენთვის ფრიად საგულისხმო სტროფი: „მტერმან განძარცვა მე შესამკელი, ტანთ საქორწინე შესამოსელი, ეა, თუ მით ვიქნა გარეთ მრეკელი, ქორწილსა შინა ვიღარ შემსვლელი!“ ვფიქრობთ, აქ დასახელებული „მტერი“ ადამის პირველი შემცდენელი სატანაა და არა ის, ვინც იგი დაატყვევა. გამოთქმაში - „განძარცვა მე შესამკელი“ იგულისხმება ღვთიური ნათელი, ღვთის საფარველი. შეკუდარით მას დ. გურამიშვილის თხზულებიდან - „ადამის საჩივარი“ სტრიქონები, სადაც ადამი გოდებს: მტერმა წამართვა, „ტანთ ნათელი შემოძარცვა, ცხვრის ტყავუჩი მამახვია“ (შდრ. „ღა უქნა უფალმან ღერთმან ადამს და ცოლსა მისსა სამოსელნი ტყავისანი და შეჰმოსა მით“. დაბ. 3,21). ღვთიური ნათელი პოეტს „ტანთ საქორწინე შესამოსელად“ დაუსახავს, ეინაიდან აქ საუბარია ქორწილში (ქრისტეს სასუფეველში) შესვლაზე და მხოლოდ ამგვარი მხატვრული გამოთქმა თუ მოუხდებოდა ამ მომენტს. ადამის ცოდვა, თეოლოგიური მრწამსით, მემკვიდრეობით გადაეცა მის შთამომავლებს. დ. გურამიშვილს ტყვეობაში მოხვედრა მემკვიდრეობითი თუ მისი პირადი ცოდვის გამოცალინებად მიუჩნევია, რადგან საკუთარ თავს ადანაშაულებს, რომ დარჩა „მგელთ წარსაგებად ფარეხთა გარე“. იგი, მართალია, შესთხოვს ქრისტეს მაღლით შემოსოს შიშველი, მაგრამ ისიც იცის, რომ ღვთისაგმი მხოლოდ აჯა და მუდარა ვერ შეცვლის საქმეს. აქ დ. გურამიშვილი აცლენს ისეთ სულიერ შემართებას, რაც საერთოდ სასულიერო მწერლობაში იშვიათად თუ შეხვდება საკითხით დაინტერესებულ პირს. მხედველობაში მიიღება ის

გარემოება, რომ მორწმუნე შემოქმედის გავლენით, ღვთისაგან წყალობის მოლოდინთან ერთად თვითონ ადამიანი უნდა იღგეს თავისი თავის წინაშე, თავისი მოწოდების სიმაღლეზე - მუდამ ფხიზელ მდგომარეობაში, მოსალოდნელი უბედურებისათვის შემზადებული დამძღეული ძალით აღჭურვილი. იგი საკუთარ (და საერთოდ ადამიანთა) სულს მოუწოდებს, განაგდოს მისგან „სულელი, ზარმაც უდები" ყოფნა: „ნუ გძინავს, სულო, აწ განიღვიძე, რომ არ შეიქმნა ლამპარ შრეტილი, შუალამისას მოვალდეს სიძე, გარეთ არ დარნე ,კარ - დაკეტილი". ეს სიტყვები მოწოდებასავით გაისმის. ვინაიდან ის ხომ მომსწრე და მოწმე იყო თავისი ერის გარკვეულ ნაწილში სულის მიძინებისა, ეროვნული მეობის დაუძლურებისა, პატრიოტული აღტკინების მინავლებისა, სარწმუნოებრივ - ეროვნული გადაგვარებისა. დ. გურამიშვილი მტკიცე ხმით ამბობს - „ნუ გძინავს, სულო, აწ განიღვიძე". ამით იგი საკუთარი სულის ძალზე კი არა ქართველი ერის სულის გამოღვიძების აუცილებლობაზე მიგვანიშნებს, რათა მისი თანამემამულენი ერისა და ღმერთის წინაშე ვალმოხდილი ყოფილიყვნენ და პირწმინდად, „ჭანთ საქორწინე შესამოსელით" შესულიყვნენ მაცხოვრის სასუფეველში (ქორწილში). ეს მომენტი აინტერესებს პოეტს და წინა პლანზე გამოაქვს იგი, როცა სახარების ზემოთ მოტანილი ეპიზოდის პოეტურ ვარიანტს გვაძლევს. სხვა ლექსშიც („თავისის ცოდვის მოგონება... " გვ. 120-121). დ. გურამიშვილი იგივე კონცეფციას ავითარებს: „სულო ცოდვილო... აწ ნუ გძინავს, ადექ, იღვიძე". ამ ნაწარმოებში პოეტი უკვე მემკვიდრეობითი და პირადი ცოდვის აღსარების საფუძველზე გვესაუბრება. იგი, როგორც ცოდვილი ადამის შთამომავალი, წინასწარ გრძნობს, რომ „ქრისტეს სასწორით ასაწონი" არაფერი გაანია. მან ცხოვრების გზაზე დაარღვია ათი მცნების საზღვრები: „რაც იძრუშე, აქ შენ ისიძვე, მუნ სასწორსა ზედა ისი ძე". სწორედ ამ მომენტში მოუწოდებს იგი სულს - გამოიღვიძოს. „სულის გამოღვიძებაში" ნაგულისხმევია

ცოლვების მონანიების ფაქტორი, რის განხორციელების შემდეგ უფლებამოსილი გახდება ლამპარდაშრეტელი მიეგებოს მაცხოვარს და მისი ქორწილის ღია კარებში თავისუფლად შეეიდეს: „ნუ გძინავს (მიემართება სულს ტ. მ.), ილვიძე, შუვალამეს მოვალს ის სიძე, არ დაგიშრტეს შენი ლამპარი, სამეუფეოს დაგეხშას კარი. თვალთა ცრემლი შენ აწანწკარი".

საფლავით აღმდგარი ქრისტე ჰიმნოგრაფის მიერ შედარებულია მშვენიერ სიძესთან, რასაც შეჰყურებდა ღვთისმშობელი: „აღდგომილსა მეუფესა, ვითარცა შუენიერსა სიძესა, ხედავ, ღმრთისმშობელო"[1].

ტ ა რ ი გ ი. ქრისტე იწოდა ღვთის უბიწო კრავად. ამაზე ზემოთაც გვქონდა ლაპარაკი. მხოლოდ ერთ სიმუშს მოვიტანთ მიქაელის მიერ შედგენილი ჰიმნების კრებულიდან: „აჰა, ქრისტე ტარიგი უბიწოი"[2]. იოანე საბანისძე ქრისტეს ტარიგად სახავს იმიტომ, რომ იგი ადამიანთა სიკეთისათვის ეწამა: „ტარიგ ეწოდა, „რამეთუ ჩვენთვის დაიკლა" და მარადის ცხოველ არს და ხორცთა და სისხლითა მისთა ჩვენდა განყოფითა ცხოვრებასა საუკუნოსა მოგვანიჭებს".

ტ ა ძ ა რ ი. ტაძარი საუფლო სახლია, ღვთისთვის შეწირული შენობა, მორწმუნეთა შესაკრები ადგილი. სიმბოლურად ტაძარი მაცხოვრის სხეულია. ამისი გაგებენით სასულიერო მწერლობაში ადამიანების ხორციც (სხეული, ტანი) ტაძრად იწოდა: „ხორცნი ეგე თქუენი ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმინდისაი".(I კორნ. 6,19). იოანე მინჩხიც წერს: „და ხორცნი ჩუენნი ტაძარნი სულისა წმინდისაი"[3]. ანდრია კრეტელის სიტყვებიც დავიმოწმოთ: „ბიწიან ვყავ ტაძარი ხორცთა ჩემთა, დავაბნელე ხატება და მსგავსება... " დავით გურამიშვილის პოეზიაშიც ადამიანის სხეულიც ტაძრადაა

---

[1] ნეკროსირებული ტროპარი, გვ. 291.
[2] მიქაელის ჰიმნები, გვ. 126.
[3] იოანე მინჩხის პოეზია, გვ.213.

გაიზრეალული:

„მუხლებმა რეცვა დამიწყეს, ხე ტანმა შეექმნა ხანზარი,

ველარ დაიგნეს სვეტებმა და გარდაიქცა ტაზარი“.

„ტ ე ვ ა ნ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა“. ტტევანი ძველი ქართული ენით გამოიხატებოდა როგორც „ტევანი“. სახელმწიფო მწერლები მაცხოვარს ცხოვრების მტევნად სახავდნენ: „ტევანი ცხოვრებისა, რომლისაგან იწყნიდა სიტკბოებაი გამოსხნისა ჩუენისაი, ღმერთისმშობელო, შენ მიერ მოვისოფულეთ“[1] ყურძნის მტევნის დაწურვის შეადგენდ ვლებულიბთ ღვინოს. ასევე ქრისტეს ხორცის ტანჯვის შედეგად, სადაც გამოხდა სისხლი, ადამიანებმა მიიღეს ხსნა, ვინაიდან მისმა ამათ ხორციელი დანაშაული ხორცის წამებითაც დაიმრგუნა და გამოისეილა ცოდვები.

უ კ ვ ლ ა ვ ე ბ ი ს ნ ა ყ ო ფ ი. ქრისტე უკვლავების ნაყოფის გამომდებ ხეა, რომელიც ადამიანებს მიანიჭებს მარადიულ სიცოცხლეს, კერძოდ იმათ სულს, ვინც ციურ სასუფეველში მოიხვედრებს თავს „ეთილი მოქმედებით და საქმიანობით: „ცხოველს მყოფელი ძელი დაეწერგა ადგილსა თრქმისასა, ვითარცა საცნაურსა ედემსა ხე ცხოვრებისა ალსავსე ნაყოფითა უკუდავებისაითა“[2].

უ კ ვ ლ ა ვ ე ბ ი ს წ ყ ა რ ო. წყაროზე, რომელიც ძე ღმერთის სიმბოლოზე, ქვემოთ შეეხეერდებით, აქ კი ორიოდე სიტყვით ალვნიშნავთ, რომ ქრისტე უკვლავების წყაროდაცაა მონათლული: „შენ, უკვლავებისა წყაროსა, რომელი მშობლისა შენისა მიერ ლხინებასა კაცთა ნათესავსა მოეშალენ. ქრისტე“[1]. ღავით გურამიშვილი არაერთგზის ახსენებს მესიას „უკვლავების წყაროდ“:

„შენი უკვლავების წყარო

---

[1] ძიქაელის ჰიმნები. გვ. 213.
[2] ძიქაელის ჰიმნები. გვ 211.
[3] ეკეელესი იადგარი, გვ. 412.

გულს მაჭკურე, ღამასველე"[1].

ასევე გავიხსენოთ ალეგორიის ნაწარმოებია სათაურებიც: „უკვდავების წყაროს ეგავ" (37), „უკვდავების წყაროს ეკავთ ახსნა" (45). ორივე ნაწარმოებში ქრისტეზეა საუბარი, რომელიც „უკვდავების წყაროდ" იხსენიება.

უ კ ვ დ ა ვ ე ბ ი ს ხ ი ლ ი. ქრისტე ასეთი ნამყენია, საიდანაც მხოლოდ უკვდავების ხილი იკრეფება, რადგან თავად იგი უკვდავების ხილია თუ ნაყოფი. ამ მხრივ ერთ სტროფს ამოვწერთ „ლაკეთიანიდან":

„ეთია ნამყენი, გამოსაყენი,
უკვდავებისა ხილთ მოსართლელი,
უგბილთ ახილეს, არაკ ახილეს,
მოაკვეთეს, ჰკადრეს: „ავს ხილს ამბემდი"
ეგ მოკვეთილი, ნაყოფ კეთილი
ისევ განცხოველდა, მე მით ვილხენდი"[2].

უ ნ ი ვ თ ო ც ე ც ხ ლ ი. მაცხოვარი ჰიმნოგრაფის მიერ წარმოდგენილია უნივთო ცეცხლად, ე. ი. სულიერ ცეცხლად, რომელიც იშვა წმინდა მარიამისაგან: „რაჟამს იგი უნივთოი ცეცხლი დაუსაბ[illegible]ოი, იშვა მისგან ხორცითა"[3].

უ ჟ ა მ ო. ზემოთ ვიღაბარაკეთ ქრისტეს ერთ - ერთ სახელზე „უჟამო ჟამი". სადაც აღნიშნეთ, რომ იგი გულისხმობს ქრისტეს ორბუნებოვნებას. როდესაც ვამბობთ ქრისტეზე როგორც მხოლოდ „უჟამო" არსებაზე, ეს მის ღვთიურ ბუნებას გახაზავს: „რამეთუ რომელი იგი უჟამოი მამისაგან გამობრწყინდა გამოუთქმელად ხორცითა, ბუნებით ღმერთი იყო და ბუნებით კაც იქმნა ჩუენთვის"[4].

უ ს ხ ე უ ლ ო შ ა ნ თ ი. ისევ როგორც უნივთო ცეცხლი,

---

[1] დ.გურამიშვილი, ლეგენდანი. გვ. 263.
[2] დ.გურამიშვილი, ლეგენდანი, გვ.263.
[3] მიქაელის ჰიმნები, გვ 8.
[4] ეფესელეანი იადგარი, გვ. 399.

მაცხოვარი უსხეულო. ანბანადაც იწოდა, რომელმან ჯოჯოხეთიდან იხსნა ცოდვილ ადამიანთა სულები, ადიდვინა ისინი მკვდრეთით: „შენ ცოცხლად საცნაურად, ღმრთისა სიტყვაო, შეგიწყალა ქუეყანელმან ჯოჯოხეთმან, შანთი უსხეულოი, დაუსაბამოი“[1].

უ ც ნ ა უ რ ი მ ზ ე. მესია უცნაური ანუ შეუცნობელი უხილავი მზეა, ე. ი. სულიერი მზე, დავით გურამიშვილი ქრისტეს შესახებ წერს:

„ჭირს საცნაურის მზისაცა სწორად გამარჯვება თვალისა,
არამ - თუ უცნაურისა ცნობა გზისა და კვალისა“[2]

„უ ხ ი ლ ა ვ ი ა მ ხ ე ც ო ა ლ ა მ ს ხ ა რ ტ ი“. ძველი ადიქმის წიგნში მითოსური შინაარსის შემცველი ერთი ნოველაა შეტანილი - „წინასწარმეტყველება იონასი“. უფალმა ურჩია იონას საქალაქებლად ნინევაში გამგზავრება. იგი ნავით წავიდა. აჩუქა ქარი, ზღვა შეიერყა და დიდი ტალღები ეხეთქებოდა ნავს. მენავეები შეშინებულნ, იონას კი ეძინა, რომელიც მენავეებმა გააღვიძეს და თანაც უსაყვედურეს. იონამ გააცნო მათ თავისი ვინაობა. ზღვის ღელვა უფრო და უფრო აშინებდა მენავეებს. იონამ მათ ურჩია: „აიმიღეთ მე და შთამაგდეთ ზღუაჲ და დაყუენეს თქუენგან ზღუაი მით, რამეთუ ვსცნობ მე, ეითარმედ ჩემთჳს არს ღელვა ესე დიდი თქუენ ზედა“ (წ. ი. 1,12). მენავეებმა იგი ზღვაში გადაგდეს და „დადგა ზღუაი რყევისაგან მისისა“. უფალმა ვეშაპს უბრძანა „შთანთქმად იონა“ და ისიც დიდი ვეშაპის მუცელში აღმოჩნდა, სადაც დაყო სამი დღე - ღამე. ამის შემდეგ „ებრძანა უფლისა მიერ ვეშაპსა და განაგდო იონა ხმელსა ზედა“ (წ.ი. 2,11). ვეშაპის მუცელში სამი დღე - ღამის განმავლობაში იონას ყოფნის მითოსური ეპიზოდი ახალ აღთქმაში და ქართულ სასულიერო მწერლობაში აღეგორიულად იქნა წაკითხული. მწიგნობარნი და ფარისეველნი ქრისტეს ეტყვიან: „მოძ-

---

[1] იონე მინსკის ბიუსია, გვ.289. წიგნ. ისაქაელის ბიბლია, გვ.126.

[2] ლ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ.74.

ლუარ, გუნებავს შენგან სასწაულისად ხილულად". იგი მათ ითხა წინასწარმეტყველის სასწაულს შეახსენებს: „რამეთუ ვითარცა იგი იყო ითონა მუცელსა ვეშაპისასა სამ - ღამე და სამ - ღამე ეგრეთ იყო ძე კაცისა გულსა ქუეყანისასა (მიწის - ტ. მ.) სამ - დღე და სამ - ღამე" (მათე. 12,40). ამ სიტყვებით მაცხოვრის მიერ ნაწინასწარმეტყველებია მისი დაფლვა მიწაში და იქ ყოფნა სამი ღღე - ღამის მანძილზე, ისე როგორც ითონამ ღაჰყო ამდენივე ხანი ვეშაპის მუცელში. ეს კონცეფცია სასულიერო პოეზიაშიც გადადის, სადაც „ვეშაპის მუცელს" ორმაგი ალეგორიული ღატვირთვა მიეცა. ერთ შემთხვევაში იგი მარიამ ღვთისმშობლის მუცელთანაა გაიგივებული, რომელშიც „ღაცვულ იქნა" ქრისტე: „ღმრთეებისა ცეცხლმან არა შეწუა საშოთ შენი ქალწულო უბიწოო, არამედ ეითარცა ითონა ღაცვულ იქმნა მუცელსა შინა"...[1] მეორე, ვეშაპის მუცელში მოხვედრილი ითონა პიძნოგრაფის ალეგორიული მრწამსით იგივე მიწაში დაფლული ქრისტეა, ხოლო ითონას გამოსვლა 3 ღღის შემდეგ ვეშპის მუცლიდან მოასწავებდა მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას: „ხლვისა მხეცისა მუცელსა იყო რაი ითონა, ჯუარის სახედ ხელნი გაბიჯრნა და მოასწავა ენებაი მსხნელისაი და სამ ღღე დაფლვა და ვამოაჩინა უზეშთაესი ბუნებისა აღდგომაი"[2]. ამ სტრიქონებთან უშუალო კავშირშია დ. გურამიშვილის ასეთი პოეტური საილუსტრაციო მასალა: „ვით ვეშაპის მუცლით ითონას ხვდა მესამეს ღღეს ლხინება, ეგრეთ იესო - ქრისტესა საფლავით წამოიდგინება" (45).

დ. გურამიშვილი თავის ერთ - ერთ ლექსში („ველრება ღვთის - მშობლისა დავითისაგან") ქრისტეს დედას ახე მიმართავს: „ნათელო და ბრწყინვალეო, იქმულო აღდგომისა ხატო, საფლავიერთა ცხოვართ ქნარო ლა უხილავთ მხეცთ დამსხარტო" (88). გამოთქმაში - „უხილავი მხეცი" - იგულისხმება ვეშაპი. ამის

---

[1] ძველსაბრძ., გვ. 191.
[2] იგივე.

ახსნაში გვეხმარება ქართული ჰიმნოგრაფია: „რაჟამს იორდანეს შეეშჳსრე (მიეძართება ძაცხოვარს - ტ. მ.) თავები უხილავისა მის ვეშაპისაჲ". ამრიგად დ. გურამიშვილის მიერ ნახსენები „უხილავი მხეცი" ვეშაპია. ჰიმნოგრაფიიდან ჩვენ მიერ აქ დამოწმებული ნაწყვეტი გამეორებაა ფსალმუნის სიტყვებისა. დავითი ეუბნება უფალს: „შენ შეეშჳსრე თავები ვეშაპისაჲ მის" (ფს. 73,14). ოღონდ ქართველი ჰიმნოგრაფი ამ ჰასაფს უმატებს ეპითეტს - „უხილავი". „უხილავისა მის ვეშაპისა", ხოლო დ. გურამიშვილი კი ასე „ადარგმნის" მას: „უხილავი მხეცი". წიგნში „წინასწარმეტყველება ესაიასი" გკითხულობთ: „მას დღესა მოაწიოს უფალმან მახჳელი წმინდაი და დიდი და ძლიერი ვეშაპსა ზედა გუელსა მტოლვარესა, ვეშაპსა ზედა გუელსა გულარაწილსა, და მოკლას ვეშაპი მას დღესა ზღვასა შინა" (ეს. 27,1). ამ მოძღვნაში ვეშაპი ბოროტების და უღმობლობის სიმბოლოა, ისე როგორც ურჩხული, დევი, გველეშაპი. სასულიერო პროზასა და პოეზიაში გაბატონებულია აზრი, რომ ქრისტემ მღინარე იორდანეში ნათლისღებით შეეშჳსრა ვეშაპის თავები, გაანადგურა ადამიანთა მტერი, ეხსნა ცოდვილნი, დაუბრუნა მათ ადამიანური სახე და ბუნება: „გამომძხსნელად ჩუენდა მოხუელ დამბადებელო, რომელნი შთაეენთქენით, მძლავრებითა მტერსა, ვეშაპსა კაცის მკვლელსა და მოჰკალ იგი"[2]. „ხოლო ღღეს იორდანეს ძლე�oთ შეეშჳსრე თავი ვეშაპისა და აღმოჰხუელ მიერ, ვითარცა ლიმბ"[3] მოტანილი სათანადო ნიმუშების შინაარსს ვერ აეხსნით თუ არ გავიგეთ „უხილავი მხეცისა" თუ გველეშაპის რაობა. ეს „ვეშაპი" სწორედ ის გველი და სატანაა, რომელმაც ჰარეულად შეაცდინა ადამი და ევა, ცოდვის ჭეშმარიტებაში გაუყენა ისინი და სამოთხე დააკარგვინა, ჰარეულქმნილი ცოდვის ტრაგედიაში უპირველესი წვლილი შეიტანა. ეს სატანა ჰიმნოგრაფებმა გვე-

---

[1] მიქაელის ჰიმნები, გვ. 127.
[2] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 14.
[3] იქვე, გვ. 44.

ლეშაპად, უხილავ მხეცად მონათლეს. ჰიმნოგრაფიაში გვხვდებისეთი აღგილებიც, სადაც ქრისტე გველის შემმუსვრელად არის აღიარებული: „ლეკვე ლომისად იწოდე ღმრთისა სიტყუაო მხოლოდშობილო, რომელმან ძლიერებით შემუსრე თავი გველისა მის"[1]. მესიის მოელინებით სატანა დათრგუნვილი იქნა, შეიმუსრა ვეშაპის თავები, გამოსყიდული იქნა ადამიანთა ცოდვები. ამრიგად, ვიმეორებთ, რომ აქ ვეშაპი, გველეშაპი თუ გველი ბოროტების სიმბოლოა, ხოლო ქრისტეს საქმიანობის უძირითადესი მისია და შედეგი ბოროტების აღგვა იყო პირისაგან მიწისა. ვინაიდან მაცხოვრის მშობელი მარიამი გახდა, ამიტომ ისიც ითვლებოდა ბოროტების დამთრგუნველად, უხილავთა მხეცთა შემმუსვრელად. დ. გურამიშვილმა სწორედ მარიამ ღვთისმშობელს „დაკისრა" ამ დიდი საქმის მოგვარება, ვეშაპთა თავების შემუსვრა: „სიტყვიერთა ცხოვართ ქნარო და უხილავთ მხეცთ დამსხარტო". ახსნას საჭიროებს სიტყვა „დამსხარტი", იგი წარმოებულია არსებითი სახელიდან-„სხარტი", რაც ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც ნადირობისას ფრინველთა სასროლად გამზადებული კაპიანი ჯოხი. ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში" კი შ. არაგვისპირელის პირით გადმოცემულია შემდეგი: „სხალტა-ჯოხია, რომელსაც გვერდებზე დაწყობილებული ტოტები აქვს. ყმაწვილები ამას მწყრალობის დროს ხმარობენ"[2]. ამდენად, „სხარტი" და „სხალტა" ერთი და იგივე სიტყვაა. რატომ შეეჩერდით მასზე სპეციალურად? დავით გურამიშვილის გამოთქმაში „დამსხარტი" ნიშნავს „დამსხარტველს", ხოლო უხილავი მხეცის (გველეშაპის) „დამსხარტველად" მარიამ ღვთისმშობელი გვევლინება, მაგრამ, ცხადია, მასში ქრისტეს ძალისხმევა ივულისხმება. დავით გურამიშვილის სიტყვიდან „დამსხარტო" ის აზრი უნდა ამოვიკითხოთ, რომ ქრისტეს სრულებითაც არ გასჭირვებია

---

[1] ძველადის ჰიმნები, გვ. 157.
[2] ალ.ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, გვ.557.

საჭანის (ვეშაპის) შემუსრვა. ისე ადვილად მოკლა იგი, როგორც ბავშვი კაბიანი ჯოხით გაუსწორდება ფრინველს. ე. ი. მაცხოვარმა მოსპო ბოროტება და ადამიანები იხსნა მისგან, მისცა მათ კეთილად ცხოვრების საშუალება.

უ ხ რ წ ნ ე ლ ი წ ყ ა რ ო. ძე ღმერთი უკვდავების მომნიჭებელი წყაროა, ამდენად, იგი უხრწნელი წყაროცაა: „აღმოგვიცენა წყაროი უხრწნელი"[1].

ფ ა რ ი. ბიბლიაში ღმერთის საბელად მზესთან ერთად მოიაზრება ფარიც. ვ. ნოზაძე გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ფსალმუნში ღვთის სიმბოლოდ დაფიქსირებული ფარი ქართულ ენაზე განსხვავებულად არის თარგმნილი. მკვლევარი ბერძნულ, გერმანულ, რუსულ ენებზე ამეტყველებულ ბიბლიას მიაქცევს ჩვენს ყურადღებას, სადაც ღვთის გამომხატველ გამოთქმად მოიაზრება მზე და ფარი. ვ. ნოზაძე წერს: „საკვირველია ქართულ ბიბლიაში (გამოცემა 1884 წლისა) სწორად არაა ნათარგმნი ის ადგილი, რომელიც ამბობს: ღმერთი არის მზე და ფარიო... ეს გამოურკვეველია და ღლეამდე არც არავის მიუქცევია ამისათვის ყურადღება"[2]. მზე და ფარი არა მარტო 1884 წლის ბიბლის გამოცემაში, არამედ სხვა გამოცემაშიც არ დასტურდება. განსაკუთრებით ასევე მხედველობაში მაქვს ფსალმუნთა წიგნის მზ. შანიძისეული გამოცემა (1960 წ.) რომელიც ემყარება X XIII სს. ხელნაწერებს.

როგორც მკითხველისათვის ცნობილია, 1989 წელს თბილისში (საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა) გამოქვეყნდა ბიბლია. იგი თანამედროვე ქართულ ენაზეა ამეტყველებული, რათა ნებისმიერი მკითხველისათვის მისაწვდომი ყოფილიყო მისი არსი და რაობა. „წინასიტყვაობა" გვაუწყებს, რომ ძველი აღთქმა

---

[1] მიქაელის ქებანი, გვ. 357.

[2] ვ. ნოზაძე, ეკლესიასტეანის მზის-მეტყველება, სასტიოანი ღე ნიღე. 1957, გვ. 31

თარგმნილია ძველებრაული ენიდან, ახალი აღთქმა კი ბერძნულიდან. ასევე ძველი აღთქმის ის წიგნები რომლებიც მხოლოდ ბერძნულ ენაზეა შემორჩენილი (მენაშეს ლოცვა, მეორე ეზრა, ტობითი, იუდითი, სიბრძნე სოლომონისა და ა. შ.). აღსანიშნავია რომ ვ. ნოზაძისათვის საკვირველი ფაქტი ამ გამოცემაში გამოსწორებულია. წაიკითხოთ იგი: „რადგან მზე და ფარია უფალი ღმერთი. მადლსა და ღირსებას მისცემს უფალი, სიკეთეს არ მოაკლებს უბიწოდ მოარულთ" (ფს. 83,12)[1].

ამდენად, ბიბლია უფალს სახავს მზედ და ფარად. მზეა იგი იმიტომ, რომ ადამიანთათვის სინათლის სიკეთის მომტანია, ხოლო ფარი გულისხმობს ადამიანია მხსნელსა და მცველს.

ქ ვ ე ყ ა ნ ა. ქვეყნის სიმბოლიკასთან დაკავშირებით იოანე საბანისძე ამბობს: „ქვეყანა ეწოდა, ვითარცა თქვა დავით: „ქვეყანამან გამოსცა ნაყოფი თვისი, მაკურთხენინ ჩვენ, ღმერთო ჩვენო!" ჭეშმარიტად ქვეყანისა დამბადებელი იგი ქვეყანად მოვიდა და ქვეყანით მიწისაგან შექმნულთა მათგან მიწისა ბუნებისა იგი ხორცნი, ვითარცა შვენიერი ჯეჯილი, აღმოსცენდა ქვეყანით და ნაყოფად გამოიხენა წმინდანი თვისნი მოციქულნი და მოწამენი და მარტალნი და დაწყეული იგი ქვეყანაი ნაყოფითა კურთხევასათა აღავსო" („ჰაბოს წამება").

ქ უ ხ ი ლ ი ს ი ს ა რ ი. დავით გურამიშვილი ქრისტეს ქუხილის ისარს ეძახის:

„მეხო, ქუხილის ისარო, მტერთ გულზე დასარჭობელო,
დავითის ვარდო, აბრამის ყვავილო დაუჭკნობელო"[2].

ყ ვ ა ვ ი ლ ი. ქართულ სასულიერო მწერლობაში (და არა მარტო ქართულში) ყვავილი გამოყენებულია მაცხოვრის და ღვთისმშობლის სიმბოლოდ. იოანე საბანისძის თქმით, ქრისტეს „ყვავილ ეწოდა, რამეთუ ძირისაგან იესეისისა ყვავილად

---

[1] ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 1989, გვ. 535.

[2] დ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 86.

ალმოსცენდა ეკლესიასა წმინდისა ქალწულისა მარიამისაგან ხორციელად, ხოლო სულენელებითა მით ღმრთეებისაითა სული იგი შადლისაი მოჰფინა ჩვენ ზედა". „ჰაბოს წამების" ავტორი თუ სხვა სასულიერო მწერალი ქრისტეს მეტაფორად ყვავილის გაცნობიერებისას ესაა წინასწარმეტყველის წიგნიდან ამოიღის, სადაც ვკითხულობთ: „და გამოვიდეს კუერთხი ძირისაგან იესესსა და ყუავილი ძირისაგან ალმოხდეს" (ეს. 11,1). ქართულ ჰიმნოგრაფიაში არაერთ ნიმუშს იპოვის მკითხველი, სადაც მაცხოვარი დასახულია იესეს ძირიდან ამოსულ ყვავილად: „ესეს ძირისაგან ალმოსცენდი მორჩი სიტკბოებისაი და გამოიღე ყუავილი ყოველთავე სულნელ მყოფელი"[1], „ყუავილი შუენიერი ალმოსცენდი მორჩითაგან იესესითა, რომელმანცა ალმოჰფხუარ იორდანეს ურჩებისა ეკალი"[2]. სასულიერო მწერლობაში ძე ღმერთი ღვთისმშობლიდან ალმოცენებულ ყვავილადაც იწოდა: „შეეამკობდეთ ყოველად წმიდასა ღმრთისმშობელსა, რომელმან გამოიღო ყუავილი იგი სურნელებისაი"[3], ან კიდევ: „აჰა ესერა, კუერთხად ვპოვეთ ქალწული, რომლისა მიერ თვინიერ ქორწინებისა ალმოსცენდა დაულევნელი და დაუჭკნობელი ყუავილი უხრწნელებისაი - ქრისტე"[4].

ყ ვ ა ვ ი ლ ი ა ბ რ ა მ ი ს ა. დავით გურამიშვილი წერს:

„ვით ღამე ბნელსა მზიანი მოჰბმია დღე ნათლიერი,
ეგრეთ აბრამის ყვავილი (ქრისტე- ტ. მ.) დავითზე ნაყოფიერი"[5].

ყ ვ ა ვ ი ლ ი გ უ ლ ი ს ა. დავით გურამიშვილი მარიამ ღვთისმშობელს იესო ქრისტეზე ათქმევინებს:

„დამიჭკნა გულის ყვავილი,
გაეხდი ვით გალი რგულობით".

ასე მოთქვამს ჯვარცმული შვილის შემყურე დედა, რომელსაც

---

[1] მიქაელის ჰიმნები, გვ. 23.
[2] მიქაელის ჰიმნები, გვ. 170.
[3] იქვე, გვ. 143.
[4] ძველი მეტაფრასული კრებულები, გვ. 103.
[5] ღ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 37.

გულის ყვავილს უწოდებს.

ყ ვ ა ვ ი ლ ი ს ა ლ მ რ თ ო ი. მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილ ჰიმნების კრებულში ერთგან ვკითხულობთ: „ვან�d დღეს ბეთლემს საძოთხეი, მოვედით, გვმოი ვეხილეთ ხისა მის ცნობადისაი, რომელ არს ქრისტე, საღმრთოი ესე ყუავილი, რომლისაგანცა სიტკბოებაი აწრეხ“[1]

ყ ვ ა ვ ი ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა. ქრისტე ცხოვრების ყვავილია: „კეერთხი რომელ ძირისაგან იესესისა აღმოვეცენდა საღმრთოისა მის კიდობანისა, რომელმან გამოიღო ყუავილი ესი ცხოვრებისაი ღმერთ იორდანეს გამოეცხადნა“[2]. „რომლისაგან ქრისტე - ცხოვრებისა ყუავილი აღმოეცენა“[3].

როგორც ქრისტე, ასევე მარიამ ღვთისმშობელიც ყვავილადაა წოდებული: „ეიხაროდენ, მაკუალო შეუხებელო... კიდობანო, დავითის გამოსახულო და ყუავილო“[4].

ქრისტესთან, მარიამთან ერთად წმ. მამებიც სიმბოლურად ყვავილად არიან გამოხატულნი. ეს მიგვანიშნებს თავიანთი ღვაწლითა და ასკეტური ცხოვრებით შათ მიახლოებას ღვთიურ ბუნებასთან. ამიტომაა ჰაგიოგრაფები წმ. მამებს იგივე ეპითეტითა თუ მეტაფორით ამკობენ, რითაც წარმოსახავენ მაცხოვრის და მისი დედის პიროვნებას: „ხოლო წმინდაი შინ, მკვიდრი უდაბნოისა და ყუავილი შუენიერი, ნერგი უკუდავებისაი... “ („ცხოვრება „შიოსი და ევაგრესი“)[5]. იგივე მხატვრული სამკაულებითაა წარმოჩენილი ისეს პიროვნება: „მოეიხსენეთ ერთი მოწაფეთაგანი ანი წმინდისა იოანესთაი, სახელით ესე... ნერგი იგი სამოთხისაი, ყუავილი შუენიერი და ყოვლისა კეთილისა ძირი“[6]. დავით და ტირიჭანი ჰაგიოგრაფს

---

[1] მიქაელის ჰიმნები, გვ. 63.
[2] მიქაელის ჰიმნები, გვ. 63.
[3] ძველი მეტაფრასული კრებულები, გვ. 136.
[4] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 383.
[5] ძეგლები, I, გვ.226.
[6] იქვე, გვ. 221

ყვავილად ესახება: „მისცა მათ უფალმან ორნი შვილნი, ესე ყუავილნი შუენიერნი, ნერგნი სამოთხისანი მის ეფესისანი“[1].

ყ ურ ძ ე ნ ი. „დავითიანში“ ქრისტეს სახელად ყურძენი მოიხსენიება:

„ვაქებ მიტომა, დავითის შრტომა
ზედ გამოიბა კარგი ყურძენი“ (113).

შ ა რ ბ ა თ ი. შარბათი სპარსული სიტყვაა, ხილთა შაქრიან წვენს ნიშნავს. ლეკების მიერ დატყვევებულ და „ურჯულოთა ქვეყანაში“ დატანჯულ დავით გურამიშვილს თავს ახვევენ მუსულმანურ სარწმუნოებას და აძალებენ ქრისტიანობის დაგდებას. ამას იგი მწარედ განიცდის და გოდებს. ქრისტეს მიმართავს ცრემლიანი ხმითა და თვალებით:

„მტანჯველენ, სთქეო: აწ ვით დაგიმო, ვით უმანკოვ ტრეფდოგვრიტო,
შენ, შარბათი, ვით დაგლვარო და ძიმწარის წვენი ვხვრიტო“[2].

პოეტი „შარბათში“ ქრისტეს გულისხმობს, „ძიმწარის წვენში“ კი მაჰმადის რჯულს. ასე რომ, ძე ღმერთის კიდევ ერთ სიმბოლიკას გვაძლევს დავით გურამიშვილი „შარბათის“ სახით.

შ ე მ ო ქ მ ე დ ი. უფლის უმთავრესი და უძირითადესი სახელია „შემოქმედი“. იგი „შესაქმის“ თანახმად, 6 დღის მანძილზე ქმნიდა ხილულ და უხილავ სამყაროს თუ არსებებს. მეექვსე დღეს მამაზეციერმა ამიტომ გააჩინა ადამიანი, რომ შემდგომ მას გაეგრძელებინა შემოქმედებითი საქმიანობა. „ღაბადებულნი შეძრწუნდეს, რაშეთუ გიხილეს შენ, შემომქმედი, ვითარცა მკუდარი, დადებად საფლავსა, რომელი ჰზი მაღალთა შინა“[3]. ღმერთი შემოქმედი შენი და შემოქმედი ცისა და ქუეყანისა“ (ეს. 51,13). ამდენად, თუ ადამიანი ღმერთს რაიმეთი ემსგავსება, ესაა შემოქმედებითი ძალა.

---

[1] ძეგლები, I, გვ. 186.
[2] ლ.გურამიშვილი, დავითიანი, გვ.73.
[3] უძველესი იადგარი, გვ. 434.

შ რ ო შ ა ნ ი. ჰიმნოგრაფს ქრისტეს სამყარო აყვავებული შროშანის ხატად წარმოსახვია: „სამწყსოო ქრისტეს ღმრთისაო შროშნის სახელ აღყუავილნა"[1]. ამასთანავე ჰიმნოგრაფიში წმ. ეკატერინე შროშანის სახელითაა წარმოდგენილი: „აღმოსცენდი შენ (მიემართება ეკატერინეს - ტ. მ.) შრომანი მრავალფერი და სურნელ ჰყენ მორწმუნენი"[2]. ასევე ერთ - ერთ ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში („ცხოვრება შიოსი და ევაგრესი") წმინდანი მამანი შედარებულნი არიან მოყვავილე შროშანთან: „ყუავიან სახლსა შინა ღმრთისა, ვითარცა ვარდნი შუენიერი, და ვითარცა შროშანი სულნელნი"[3].

შ უ ა დ ღ ე. ერთ ეროი ბიბლიური წიგნის (ესაიას წინასწარმეტყველება) მახედვით, ღმეროია ის ძალა და ნათელი, რომელიც შეიჭრება წყვდიადში. და სიბნელეს შუადღედ, ანუ შუადღის ელვარებად აღავსებს: „მაშინ აღმობრწყინდეს ბნელსა შინა ნათელი შენი, და ბნელი შენი, ვითარცა შუადღე" (ეს. 58,10).

„შ უ ე ნ ი ე რ ი მ ზ ე". მაცხოვრის მკეცრეთით აღდგომას ანუ საფლავიდან ამოსვლას ჰიმნოგრაფი მზის მშვენიერების აღმობრწყინებად წარმოიღგენს: „შუენიერი მზე ქრისტე აღმობრწყინდა კუალად საფლავიდან"[4]. ან კიდევ: „დაფარნა ცანი შუენიერებამან შენმან, უფალო"[5].

ჩ ა ფ ხ უ ტ ი. ახალ აღთქმაში („ეფესელთა მიმართ") ქრისტე აღიარებულია ცხოვრების ჩაფხუტად, სულის მახვილად: „ჩაუხუტი იგი ცხოვრებისა დაადგით და მახვილი იგი სულისა, რომელ - არს სიტყუა ღუთისა" (ეფ. 6,17).

ც ე ც ხ ლ ი. როგორც აღიარებულია, ცივილიზაცია სათაკეს ილებს ცეცხლის გამოყენების სწავლისაგან. ცეცხლი მიჩნეულია ადამიანის „მე" - ს ჩამოსვლად სულიერი სამყაროდან ფიზიკურ

---

[1] მიქაელის ჰიმნები, გვ. 327.
[2] იქვე.
[3] ძეგლები, III, გვ. 103.
[4] უძველესი იადგარი, გვ. 544.
[5] ქართული პოეზია, შ, ტ. 57.

სხეულში, საიდანაც გაუჩნდა მას „მე“-ს ცნობიერება[1]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გ. ნურსინის თანახმად, კულტურის განვითარების ადრინდელ ხანაში კავკასიაში არსებობდა ცეცხლის კულტი ზოროასტრიზმისაგან დამოკიდებულების გარეშე.

ბიბლიაში, სასულიერო მწერლობაში გვაქვს შემთხვევები ღვთის ცეცხლთან გაგივებისა ან მასთან შედარებისა. ჯერ კიდევ გამოსვლათა წიგნში (3,1-22) მაყველოვანს რომ ცეცხლ ეკიდა და არ იწვოდა, ეს ცეცხლი ქრისტეს ალეგორიად მოჩანს.

ქრისტე უსხეულო (ე. ი. სულიერი) ცეცხლია: „ჭეშმარიტი ცეცხლი უსხეულოი“[2]. იგი ისეთი ცეცხლია, რომელთანაც მიახლოება ადამის ძეს არ ძალუძს: „არა შეგწუა ცეცხლმან (ქრისტემ - ტ. მ.) მან ეიუახლებელმან“[3]. უფლის შედარებას ცეცხლთან ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წიგნებში ვპოულობთ: „რამეთუ, აჰა, უფალი, ვითარცა ცეცხლი, მოიწიოს... დევნად ალითა ცეცხლისათა“ (ეს. 66,16), „სოლო სახე დიდებისა უფლისაი, ვითარცა ცეცხლი მოტყინარე თხემსა ზედა მთისა წინაშე ძეთა ისრაელისათა“ (გამოს. 24,17). სულისწმინდის გადმოსვლაც ჰიმნოგრაფს ცეცხლს მოაგონებს: „მსგავსად ცეცხლისა გარდამოხდა სული წმინდაი“[4].

არა მარტო ღვთაება, არამედ ანგელოზებიც ცეცხლს ეძრებიან: „მცველთა მათ ქერობინოთა ცეცხლის მსგავსთა, ვერ განგიკითხეს“[5]. მორწმუნეთათვის ჯვარიც ცეცხლის სახედ მოჩანს: „ჩანოვიღეს ჯუარი ცეცხლისაი ღაგვირგვინებული ვარსკვლავითი და ღაადგრის ზედა ეკლესიასა... “[6] („ნინოს ცხოვრება“). „მერე კუალად იხილეს სხუაი სასწაული

---

[1] შდრ. ზ.ვაშალომიძე, საქართველოს ხალიერი მისია, გვ.15.

[2] მიქაელის ჰიმნები, გვ. 82.

[3] ძლისპირნი, გვ. 17.

[4] ჭილ-ეკრატის იადგარი, გვ. 203.

[5] ძეგლები I, გვ. 78.

[6] იქვე, გვ. 148.

პატიოსნისა ჯუარისა ვითარცა ცეცხლი დგა და ვითარცა ალი ეგზებოდა ზედა თავს ჯუარსასა სამგზის მზისა უბრწყინვალესი და ვითარცა სახუმილისაი ნაბერწყალნი ალვალნ ძლიერად, ეგრე სახედ იყო" („ნინოს ცხოვრება")[1].

ზემოთ არაერთგზის მოგვიწია იმის შეხსენება, რომ ქრისტეზე, ღვთისმშობელზე, ანგელოზებზე გავრცელებული სახე სიმბოლონი თუ მეტაფორული სახელები ასევე გამოყენებულია წმ. მამათა პიროვნების წარმოსაჩენად. ათონის მთაზე ფერისცვალების დღესასწაულზე ხალხმა „იხილეს მამაი ჩუენი ეფთვიმე, ვითარცა ცეცხლი მგზნებარე და ზარმან შეიპყრნა ყოველნი" („ცხოვრება იოანე და ეფთვიმესი")[2].

ბიბლიის თანახმად, ღმერთი ღღისით ღრუბლის სვეტით ღადის და ღამით-„სუეტითა ცეცხლისათა". უფალო, „სუეტითა ღრუბლისაითა ხელ წინაშე მათსა ღღისი და სუეტითა ცეცხლისაითა ღამე" (რიცხ. 14,14). „ნინოს ცხოვრებაში" ვკითხულობთ: „ამა ვიხილე, სუეტი იგი ცეცხლის სახედ ჩამოვიდოდა"[3].

ახლა კი ერთ ნიმუშს ამოვიწერ ძლისპირიდან: „ალი ცეცხლისაი ცუარად გარდააქციეს და გარდაცვალა ცეცხლი იგი შემწეული ცუარად"[4]. ეს სიტყვები გამხდარა „ღავითიანის" ერთ - ერთი წყაროთავანი. პოეტი ღმერთს მიმართავს:

„ცეცხლგანმვლელველად მცხინვარებ, ცვარსა აპკურებ ნელადა".

ც ვ ა რ ი. სასულიერო მწერლობაში ქრისტეს კიდევ ერთი სიმბოლური სახელია ცვარი. ღვთისმშობლის სხეულში მისი ჩასახვა შედარებულია ღრუბელში ცვრის დამკვიდრებასთან: „ჯერ იჩინა გარდამოსლვაი ზეცით და ქალწულისა მუცელსა ვითარცა ცუარი ღრუბელსა სიმდაბლით შეეიდა"[5]. წმ. ძარიამმა მოუელინა ადამიანებს მაცხოვარი - მშვიდობის ცვარი: „ცუარი

---

[1] ძეგლები, I, გვ. 155.
[2] ძეგლები, II, გვ. 69.
[3] ძეგლები, I, გვ. 141.
[4] ძლისპირნი, გვ. 51.
[5] შიქაელის ჰიმნები, გვ. 11.

მშეიდობისაა (ქრისტე - ტ. მ.) ღრუბელმან სულმცირემან სოფელსა ასხურა"[1]. ღვთისმშობელია ზეცის ცვრის მტვირთველი: „გადიდებდეს ნაიელსა და სულიერსა მას ღრუბელსა, რომელსა უტვირთავს ცუარი ივი ზეცისაი"[2] ქრისტე ცხოვრების მომნიჭებელი ცვარია: „რამეთუ შეიწყნარე საშოსა ცუარი ცხოვრებისაი"[3].

სასულიერო მწერლობის ტრადიციათა გაცლენით ლავით გურამიშვილიც ქრისტეს ცვრად მოიხსენიებს:

„ცვარი ზეგარდმო წვეთილო".

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა პოეტის მიმართვა წმ. მარიამისადმი: „ვით აგარაკო ზეგარდმო ცვარისა შემატკბობელო".

ცისარტყელა. ანტონ კათალიკოსი თავის „მარტირიკაში" იესო ქრისტეს წარმოსახავს ცისარტყელად: „ვითარცა ფერთა სახილავთაგან ირისე (ცისარტყელა - ტ. მ.) ღრუბლით წვიმიერით, ღმერთშარავანდედი -იგი ჩუენდა ხორციელად ღაიხატა"[4]. აღსანიშნავია, რომ ირისე ღვთისმშობლის სახელიცაა სასულიერო მწერლობაში.

ცისკარი. ქრისტეს იმ მრავალ სახე - სიმბოლოთა სისტემაში, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ცისკარსაც გარკვეული ადგილი უჭირავს. ქრისტეს დაბადება და ადამიანთა მხსნელად გამოცხადება დედამიწაზე ჰიმნოგრაფს წარმოუდგენია ცისკრის აღმობრწყინებად, რომელიც საღმრთო ნათლითაა მოსილი: „ცისკარი აღმოგვიბრწყინდა საღმრთოისა ნათლისაი... რომელი ნათელი არს ქრისტე მიუანრჩილებელი"[5]. „აღვიმსოობთ შენადმი, ქრისტე, ჭეშმარიტისა ცისკრისა, რომელი

---

[1] ძველქართული სასულიერო პოეზია, გვ.71.შდრ.მიქაელის ჰიმნები,გვ.78.

[2] მიქაელის ჰიმნები, გვ. 14.

[3] მიქაელის ჰიმნები, გვ.32, შდრ. ნეგმირებული ძლისპირნი, გვ.597.

[4] ძეგლები, VI, გვ. 208.

[5] მიქაელის ჰიმნები, გვ. 79.

ალმოჰბრწყინდი მამისა მიერ განათლებისათვის კიდეთა სოფლისათა ბრწყინვალებითა“[1].

სასულიერო პოეზიაში ეხვდებით ერთ ფრიად საგულისხმო შედარებას. ჰიმნოგრაფს სამი დღის მანძილზე მიწაში დაფლული ქრისტეს აღდგომა, საფლავიდან მისი ხორცის ამოტანა ცისკრის ამონათების დარად წარმოსახვია: „ვითარცა ცისკარნი საფლავით ხორცნი შენნი აღმობრწყინვენ“[2]. სხვათა შორის, ამ პოეტურმა შედარებამ სულ სხვა ვარიაციაში დამუშავებული არალოგიური სურათის სახება გაგვახსენა იოანე მინჩხის პოეზიიდან: „ვითარცა რაი მ'ხე ღრუბელთაგან, სიჩრდოისა მისგან საფლავისა გამოვიდა მაცხოვარი ნუენი“[3]. უთუოდ ესთეტიკური ემოციის მუხტის შემცველია იმის წარმოდგენა, რომ ღრუბლიდან გამოსულ მზედ წარმოგვესახოს მესამე დღეს ქრისტეს საფლავიდან თავდახსნა.

აღსანიშნავია, რომ დავით გურამიშვილს „ცისკარი“ გამოუყენებია მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორად. „დაუჯდომლის“ უშუალო გავლენით დაწერილ ერთ ერთ თხზულებაში პოეტი ქრისტეს ღედას ასე მიმართავს:

„შენ გევედრები ცისკარო საიდუმლოსა დღისაო“.

„ცისკარი“ მარიამ ღვთისმშობლის სახელია, „საიდუმლო დღე“ კი მაცხოვრისა.

ჰიმნოგრაფიაში იოანე ნათლისმცემელიც „ცისკრად“ იხსენიება, რომელიც მაუწყებელია მზისა: „მზისა მის სიმართლისა მთიები ცისკარო, მაუწყებელო გზისაო“[4]. ან კიდევ: „წინამორბედო მქადაგებელო ქრისტეისო, ვითარცა ცისკარი განთიადისაი და ვითარცა მასკულავი დღისაი წინაითქვ წარგიძღუანა შენ ნათლად წინაშე პირსა მისსა“[5]. გრიგოლ ღვთისმეტყველის ცისკრად წოდებაც მის აღიარებაზე

---

[1] სევერიანეული ძლისპირი, გვ. 285.
[2] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 314.
[3] იოანე მინჩხის პოეზია, გვ. 196.
[4] ძიქაელის ჰიმნები, გვ. 156.
[5] ჭილ-ეტრატის იადგარი, გვ. 141.

მიგვანიშნებს: „ცისკარი განთიადისა განანათლებს მსჯელ. მარადის ბნელსა შინა ღმრთის მეტყველო და აღმოაცენე წყაროი მადლითაა და მორწყენ მორწმუნეთა გულნი ღირსო გრიგოლი“[1].

ცხოვრება. ღვთისმეტყველებაში მაცხოვარი აღიარებულია ცხოვრების სიმბოლოდ, ამიტომ ღაერქვა მას ცხოვრება. ჯერ ქრისტეს სიტყვები უნდა დავიმოწმოთ: „მე ვარ აღდგომა და ცხოვრება“ (ი. 11,25). ჰიმნოგრაფი ძე ღმერთს ეუბნება: „შენ, რომელი საფლავით აღმოჰბრწყინდი, აღდგომაი და ცხოვრებაი“. კურთხეულია უფალი, რომელმაც ადამიანებს მიანიჭა ცხოვრების რტო: „კურთხეულ არის ღმერთი, რომელმან აღმოგვიცენა წუენ რქაი ცხოვრებისაი“ (ე. ი. მესია)[2]. ძე ღმერთი თვალია ცხოვრებისა, რომელიც დაბადა წმ. ქალწულმა: „რომელი მას შინა იშვა თუალი ცხოვრებისაი ქრისტე ღმერთი ქალწულისაგან“[3]. წმ. მარიამი არის ცხოვრების ყვავილის გამომლები: „ღმრთისმშობელი გამომლებელი ყუავილსა მას ცხოვრებისასა“[4]. მაცხოვარი ცხოვრების აყვავებული ნაყოფია: „სანატრელი საკუდილისაი და ნაყოფი ცხოვრებისი აღყუავილნა“[5]. მესია კაცთა მოდგმას გამოუბრწყინდა ცხოვრების სახით: „საფლავსა დაიდეკ ზუენთვის, უკუდავი ღმერთი, რომელი მამისა თანა განაგებდი, ცხოვრებაი გამოუბრწყინდი ნათესავსა კაცსათა“[6].

ძე ქუხილისა. ქუხილი მაცხოვრის სახელია, ხოლო ქრისტესმიერნი კაცნი ქუხილის ძედაა მიჩნეული სასულიერო მწერლობაში: „ქრისტესა ვაკურთხევდეთ უკეთურნიცა მადლითა სოფლისათა ძედ ქუხილის უწოდა და მეგობრად თავისა და თანამოღარედ მოციქულთა ნეტარისა ბასილის“. „გამხილოს და განმგანტყუვნოს შენ იოვანე საყუარელმან მოწამენამ, ძემან

---

[1] მიქაელის ჰიმნები, გვ. 249.
[2] ქართული პოეზია, I, გვ. 60.
[3] მიქაელის ჰიმნები, გვ. 84.
[4] იქვე. გვ. 214.
[5] იქვე. გვ. 507.
[6] უძველესი იადგარი, გვ. 435.

ქუხილისამან და ღმრთის მეტყველმან სიტყვათა ამით"[1].

ძ ვ ე ლ ი დ ღ ე. ბიბლიურ - ქრისტიანულ სამყაროში „ძველი დღე" ფართოდ დამკვიდრებული სახეა. იგი ღმერთის სიმბოლოა. კერძოდ მამალმერთის სახელადაა ფიგურირებული. ამოვიწერთ რამდენიმე მაგალითს: „ძველი იგი დღეთაი დაუსაბამიო დღეს იშვების ყრმად"[2], „დანიელ იხილა ძველი იგი დღეთაი ესე ჩუენებაი მაბისაი"[3]. დაკით გურამიშვილსაც გამოუყენებია იგი: „ძიუწდომელო ნათელო... ძველო დღეო", „ვირეშდის განახლდებოდა ძველი დღე - ღამე მზიანი".

წ ვ ი მ ა. მსაჯულთა წიგნში (6,36-40) არის ასეთი ეპიზოდი გედეონი მიმართავს უფალს: „უკეთუ იხსნა ხელითა ჩემითა ისრაელი, ვითარცა - იგი იტყოდე". უფალმა მოახსენა: ერთი მატყლის საწმისს დავდებ „კალოსა ზედა", თუ საწმისზე აღმოჩნდება ცვარი და „ყოველი ქვეყანა ხმელი იყოს, უწყოდი, რამეთუ ხელითა ჩემითა იხსნე შენ ისრაელი". განთიადისას გედეონმა „გამოწურა საწმისი იგი და გამოხდა ცვარი საწმისისა მისგან და აღავსო წყლითა მით". ეს პასაჟი გამხდარა დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნთა წიგნის ერთ - ერთი პუნქტის შთამაგონებელი: „გარდამოხდეს, ვ ითარცა წვიმა საწმისსა ზედა და ვითარცა ცუარი რაი ცურინ ;'ქვეყანასა ზედა" (ფსალ. 71,6). „გარდამოხდეს" ნათქვამია უფალზე. იგი გარდამოხდება ციდან და იხსნის ქვეყანას, როგორც წვიმა და ცვარი გამხმარ და მშრალ მიწას სიცოცხლის ძალას ჩაუყენებს: „მსაჯულთა" და „ფსალმუნთა" წიგნებიდან მოტანილ საილუსტრაციო მასალაში საილუმლო, დაფარული აზრი ღევს. ალეგორიულად აქ „საწმისი" მარიამ ღვთისმშობელია, ხოლო „წვიმა" და „ცვარი" მაცხოვარია. სასულიერო პოეზიაში ახსნილია კიდეც ეს „ოვავი": „წვიმაი

---

[1] მამაია სწავლანი, გვ. 206.

[2] სინური ძრაგანთავი, გვ. 33.

[3] იქვე. გვ.47. შდრ. მიქაელის ბიბლია, გვ.83., ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ.275.

საწმისად გარდამოსული პირველ რაჟამს იხილა გელეონ, გუაუწყა ხუენ შობისა შენისა საიდუმლო სძალო“ (მი

წყალთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, ქრისტეც წყალად იწოდა, რომელიც ჯოჯოხეთში ჩავიდა და მისი საშინელი ცეცხლი ჩააქრო. მან ამით შეძლო ცოდვილთა მკვდრეთით აღდგენა. მესია ის წყალია, რომელმაც შეძლო კაცთა დაძველებული ბუნების განახლება, ადამისათვის ცოდვის ტალახის ჩამორეცხვა - ჩამოწმენდა: „კურთხეულ არს მომავალი, რომელი მოვიდა დღეს განწმენდად მწირკულსა მას ადამის ცოდვისასა წყლითა სიწმინდისაითა და განახლებად ადამიანთა"[1]. დავით გურამიშვილი ცოდვილთა რიცხვში რაცხს თავის თავს და უფალს შესთხოვს: „მე შენ გცოლე ურიცხველი, მისთვის დამწვავს ცეცხლი ცხელი. შენ დამისხი წყალია, დამიშრიტე ალია"[2].

წ ყ ა ლ ი ც ხ ო ვ ე ლ ი. ჰიმნოგრაფის თანახმად, ქრისტეა სიცოცხლის მომნიჭებელი წყალი („წყალი ცხოველი" ანუ განმაცხოველებელი: „გუასხურე (მიემართება მაცხოვარს - ტ. მ.) ჩუენ წყალი ცხოველი"[3]. წყალი ცხოველი მომდინარეობს „წყაროთაგან სიხარულისათა". ბასილი დიდისადმი მიმართვაში პოეტი - ჰიმნოგრაფის მიერ ნათქვამია: „სულთა წყურიელთა ასხურეთ წყალი ცხოველი, რომელთაცა დაათრუნეთ ვითარცა ურწყულოია ღელვნი ეკლესიისანი და ნაყოფი საღმრთოი აღაყვავილნეთ"[4]. აქ საუბარია ქრისტეს რჯულის მოსიყვარულე წარმართებზე, რომელთა „წყურიელი სული" ძალე უნდა ეზიაროს ქრისტიანობას.

წ ყ ა რ ო. როგორც ვიცით, წყარო არის მიწიდან ან კლდიდან გამომდინარე წყალი. მოსეს რომ კვერთხი დაჰკრა კლდეს და უწყლობით ქანცმიწურვილნი ებრაელნი დაარწყულა კლდიდან გამომდინარე წყლით, ეს წყალი სულიერი წყაროა, იგივე

---

[1] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ.236.
[2] დ.გურამიშვილი, ლაეიოანი, გვ.143.
[3] ძიქაელის ჰიმნები, გვ. 150.
[4] იქვე გვ. 116.

მაცხოვარი, ადამიანია გადამრჩენელი. სწორედ ამიტომ ქრისტეს ერთ - ერთ სიმბოლოდ საეკლესიო ლიტერატურაში დაკანონდა წყალი - წყარო.

წ ყ ა რ ო ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა. ქრისტეს სიმბოლოდ „წყარო ცხოვრებისა" ნაწინასწარმეტყველევია ესაიას წიგნში: „აღმიღესეთ წყალი მხიარულებითა წყაროთაგან ცხოვრებისათა" (ეს. 12,3). საერთოდ, უფლის სახელდება „ცხოვრების წყაროდ" ბიბლიურ წიგნებში დამუშაღა: „დაუტეეეს წყარო ცხოვრებისა უფალი" (იერ. 17,13), „რათა არა მოგაკლდენ შენ წყარონი ცხოვრებისანი" (იგ. 4,21), „რამეთუ შენგან არს წყარო ცხორებისა და ნათლითა შენითა ვიხილეთ ჩუენ ნათელი" (ფს. 35,10) სასულიერო მწერლობაში, განსაკუთრებით ჰიმნოგრაფიაში „წყარო ცხოვრებისა" არა ზოგადად უფლის, არამედ კონკრეტულად მაცხოვრის სიმბოლოდ მოიაზრება: „შუენიერსა და წარუვალისა ნათლისა მშობელსა- ცხოვრებისა ჩუენისა წყარო - ქრისტესა"[1], „ეხილეთ... მაცხოვარი სოფლისაი, ნათელი ჭეშმარიტი, წყარო ცხორებისაი, ძე ღმერთისაი"[2]; „ეესუ ქრისტე, სულისა ჩემისა განათლებაო, წყარო ცხორებისაო"[3] არეოპაგიტიკაშიც ვკითხულობთ: „ამის მღვდელ - მთავრობისა დასაბამ არს წყარო ცხოვრებისა, არსება სახარებისა, ერთი იგი მიზეზი, არსთა სამება". „ცხოვრების წყაროდ" ქრისტეს წარმოსახვა თავისთავად სიმბოლური აზროვნების მიღწევა გახლდათ ბიბლიურ ტექსტებში, საიდანაც შეისისხლხორცა იგი ჰიმნოგრაფიამ, მაგრამ დ. გურამიშვილმა ეს სახე ახალ პოეტურ სამოსელში გააპვია, ე. ი. მხოლოდ კი არ გაიმეორა ეს გაქვავებული იერის მატარებელი სახე, არამედ ახალი სიცოცხლე შესძინა მას: „ცხოვრების წყაროს უხსენე ხე ცხოვრებისა ღარადო" (21), „გულზედ მქონდა მოხაზული ცხოვრებისა წყაროს ღარი" (საუბარია ქრისტეზე) (84). პირველ

---

[1] უძველესი იადგარი, გვ.475.
[2] იქვე, გვ. 472.
[3] ძველი შეტაფრასული კრებულები, გვ.337.

მაგალითში „ცხოვრების წყარო“ მარიამ ღვთისმშობელია, ხოლო „ცხოვრების ხის ღარი“ - ქრისტე. ამ აზრს მხარს უჭერს ერთი ასეთი ამონაწერი „სინური მრავალთავიდან“: „წყარო ცხოვრების მეყვან ჩუენ წმინდაი ქალწული“[1]. ჰიმნოგრაფი მარიამ ღვთისმშობელს წყაროდ მიიჩნევს, საიდანაც ცხოვრება (ქრისტე) ამოცენდა: „გიხაროდენ, წყარო ცხოვრებისა ამომცენებელო“. მარიამ ღვთისმშობლის ერთ - ერთ „შესხმაში“ პოეტი ძე ღმერთის დედას ასე შიმართავს: „ჩემი ცრემლი ზედ იდინე, ცხოვრების წყლის ღარო“ (115). აღვილი მისახვედრია, რომ გამოთქმა „ცხოვრების წყლის ღარი“ მარიამს მიემართება, საიდანაც ადამიანთა სახსნელად მოედინება ცხოვრების წყარო. ერთგან ავტორი ქრისტეს პირდაპირ ეუბნება: „ვაქე ჩემო საესავო, ტკბილო ცხოვრებისა წყარო“ (73). ჰიმნოგრაფი იტყვის: „ღღეს ქრისტე, წყაროი ცხოვრებისაი... შთახდა მდინარესა“[2]. საფლავიდან გამოსული მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს მიერ ჯოჯოხეთის დამხობა, ცოდვით ტანჯულთათვის სიცოცხლის დაბრუნება ასე მხატვრულად წარმოუსახავს პოეტს: „ცხოვრების წყარომ დაშრიტა ჯოჯოხეთს ცეცხლის ალები“ (45). აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართველ ჰიმნოგრაფებს ცხოვრების წყაროს ანალოგიურად ქრისტეს სახელად შეურჩევიათ „თუალი ცხოვრებისა: „ქრისტე ცხოვრების თვალო“ („დასდებელნი წმინდისა ალდგომისანი“), „მდინარე ცხოვრებისაი“ („მდინარე იგი ცხოვრებისაი შენგან (მიემართება ღვთისმშობელს - ტ. მ.) გამოვიდა და განვლო ყოველი სოფელი“[3]. ასევე მაცხოვარი „უკვდავების მდინარედ“ წარმოინდა ერთ - ერთ ჰიმნში: „შენ მიერ (მიემართება მარიამ ღვთისმშობელს - ტ. მ.) მოვიღეთ მდინარეი უკვდავებისაი, რომლისაგან აღვივსენით წყურიელნი მადლისაგან“[4].

---

[1] სინური მრავალთავი, გვ.21.
[2] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ.206.
[3] სინური მრავალთავი, გვ. 205.
[4] ძღისპირნი, გვ. 174.

ქრისტეს მეტაფორა „ცხოვრების წყარო“ მახლობელია ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურისათვისაც. მხოლოდ ერთადერ ნიმუში. ა. ჭავჭავაძე ამბობს:

„მე შექმნული შენი, დამბადებელო...
სიბრძნით შენით მე ეხრეთ ქმნული.
წყაროვ ცხოვრების, კეთილთ მიმცემელი“[1].

ნ.ბარათაშვილი იტყვის:

„ცხოვრების წყაროვ, ბასვ წმინდათა წყალთაგან შენდა“,
ლამინაქე მასში სალმობანი გულისა სენთა...“[2]

ლ. სორდიას აზრით, გალაკტიონის ლექსებში „წყაროს“ აღრესატი უმეტესად პოეზიაა, პოეტისა კი - კლდე[3]. „მაგრამ სალ კლდიდან ახლა ბეერფასად გადმოსკდა წყარო ანკარა ასად“.

ჭ ე შ ა რ ი ტ ე ბ ა. სახარების წიგნში ძე ღმერთი თავის თავს „ჭეშმარიტებას“ ეძახის: „მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება“ (ი. 14,7).

ხ ე. ქრისტე იესეს ძირიდან ამოზრდილი ხეა: „ნერგად მას ვსახავ, იგ რაც ხე ისახა იესესისითა, ვინაც გამოსცა ნაყოფი თვისთა ნათქვამთა, ხეს ვითა“ (27). ქრისტეს სიყვარულით განმსჭვალული დავით გურამიშვილის სხვა სტრიქონიც გაგიხსენთ: „ხეო გულზე ვიბი იგი ხე კაციანი და ღვთიანი“ (266).

ხ ე ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა. იესო ქრისტე ცხოვრების მომნიჭებელი ხეა. ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, სახულიერო პოეზიაში ხე ცხოვრებისა ღვთაების მეტაფორული სახელია (დაბ. 2,9); გამოცხ. იოან. 22,1-2). ხე ცხოვრებისას შესახებ სინტეზური შეხედულებები გააჩნიათ გრიგოლ ნოსელს[4],

---

[1] ა.ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბ. 1986, გვ.114.

[2] ნ.ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1968. გვ.108.

[3] ლ.სორდია, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, გვ.17.

[4] უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის ეპისტოლეთა და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათვის“, თბ., 1964, გვ.190.

იოანე დამასკელს და სხვ. ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიაში არცთუ იშვიათად ფიგურირებს ქრისტეს სახელად აღნიშნული შესიტყვება. მხოლოდ ორიოდე სიმუშს მოვიტანთ: „ხე ცხოვრებისა, რომელმან გამოიღო ყოველი სულნელი"[1]. „ქალწულო მარიამ, დაბნერგე ხე ცხოვრებისაი უბიწო"[2]. დ. გურამიშვილსაც „დაუნერგავს" თავის წიგნში „ხე ცხოვრებისა": „შენ, ცხოვარნო, წყემსის კვერთხო, ძველო ცხოვრებისა ხეო" (73), „ცხოვრების წყაროს უხსენე ხე ცხოვრებისა ღარადო" (2). ყურადღებას იქცევს ერთი ასეთი გამოთქმაც: „ზედ ვულზედ ვიბი ივი ხე კაციანი და ღვთიანი". ამ სტრიქონში ჩატანებულია აზრი ქრისტეს ორბუნებოვნების (ადამიანური და ღვთიური) შესახებ. სასულიერო პოეზიაში მარიამ ღვთისმშობელიც წოდებულია „ცხოვრების ხედ": „ხე ცხოვრების გვეუქმნა წმინდაი ქალწული მარიამ"[3].

ხ ი ლ ი. დავით გურამიშვილის მიხედვით, ქრისტე არის იესეს ძირიდან ამოცენებული ხე. ცხოვრების ხე და ხილი:

„ხილად ვსოქვი სიტყვა ღვთისა (ქრისტე ტ. მ.) და ძე კაცთა ნორჩის მგვანადო" (21).

ან კიდევ „დავითის ბალის ხილი სჯობს სხვათა წალკოტის ხილებსა...

ვინც შჯამს სნეული გაკურნავს, ბრმას თვალებს აუხილებსა" (265).

აქ საუბარია ქრისტიანული რელიგიის ჭეშმარიტებაზე, მის უპირატესობაზე სხვა რელიგიებთან შედარებით. „დავითის ბალის ხილში" ხაზგასმულია იმაზე, რომ ქრისტე არის დავით წინასწარმეტყველის ხორციელი მემკვიდრე, რომ მისი რჯული ყველაზე უკეთესი რჯულია.

ჯ ე ჯ ი ლ ი. ჰაგიოგრაფს ქრისტეს ხორციელი ბუნება

---

[1] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ.53
[2] ძლისპირი, გვ. 153.
[3] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 53.

შეუდარებია ჯვაჯვალისათვის: „იგი (მაცხოვარი - ტ. მ.) ქუეყანად მოვიდა და ქუეყანით მიწისაგან შექმნულთა მათგან მიწისა ბუნებისა იგი ხორცნი, ვითარცა შუენიერი ჯვაჯვალი ალმოცენდა ქუეყანით" („ებრაელთა წერილი")[1].

ამრიგად, ბიბლიური წიგნებისა და სასულიერო მწერლობის ტექსტების საფუძველზე მოკლედ გავეცანით იესო ქრისტეს სახე სიმბოლოებს, ალეგორიებს, მეტაფორებს, აბრევიატურებს თუ ნაკვალსახელებს. კიდევ ერთხელ ჩამოვთვალით მათ: ანგელოზთა დამბადებელი, ანგელოზი, არსთა მხადი, არსთა მხელი, ალდგომა, ახალი ადამი, ახალი დღე, ახალი ნოე, ბრწყინვალე, გვრიტი, გზა, გრძელი დღე, დღე, ელვა, ვარდი, ვარსკვლავი განთიადისა, ვაზი, ვენახი, ზეცის სიძე, ზაფხული, თულუნი, იფქლი, კარი, კვერთხი, კლდე, ლომი, მარგალიტი, მარცვალი, მდინარე, მეორე ადამი, მეხი, მზეთამზე, მზე, მზიანი დღე, მზიანი ღამე, მოვარე, მთიები, ნაკვერცხალი, ნერგი, ორბი, ოქრო, პური ზეცისა, პური ცხოვრებისა, ყამი უჟამო, რტო რქა, საკიდური ქვა, სამმნათობიერი, სამნი მზენი, სამხატველი, სანთელი, სიძე, ტარიგი, ტაძარი, უკვდავების წყარო, ფარი, ქვეყანა, ქუხილი, ყვავილი, ყურძენი, ჩაფხუტი, ცეცხლი, ცვარი, ცისარტყელა, ცისკარი, ძე ნათლისა, ძველი დღე, წვიმა, წყალი, წყარო ცხოვრებისა, ხე ცხოვრებისა, ხილი და სხვ.

---

[1] ძეგლები, I, გვ. 54.

ტიტე მოსია

საღვთო სახისმეტყველება

რედაქტორი: დ.ჯახია
ტექნიკური რედაქტორი: მ. შენგელია

ხელმოწერილია და დასაბეჭდად გადაეცა
22.12.95.
ქაღალდის ფორმატი 60X84 1/16 პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 7.75.
შეკვეთა 155, ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო.